


619
1972



ՆՊՈՒՆ

№ 9 ԵՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅ 1972



მარცხნიდან მარჯვნივ: აზერბაიჯანელი ქამალი კარახმაზლი, ქართველი ციური
 ჭიჭინაძე და სომეხი მარინე სარქისიანი.

მარცხნიდან მარჯვნივ: სომეხი სურენ აბოვიანი, ქართველი ნიკოლოზ სინჯია-
 შვილი და აზერბაიჯანელი იმრან მირზაევი მულანლოს ყანებში.



ფოტო
 ი. დავითაშვილისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



№ 9 (430) სექტემბერი, 1972 წ
 გამოცემის წელი 50-ე

უოველთვიური საზოგადოებრივ-
 კოლიტიკური და სალიტერატურო-
 სამხატვრო ჟურნალი

უუჟი სადსთა ქოგისა

პატარა, თავანკარა მდინარე დეპეტი ჩხრიალით მოედინება ფერდობზე. ჩაურბენს მინდვრებს, გულს გაუგრძობს ზვრებსა და ბაღა-ბაღებს, მერე სომხეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოივლება და მარნეულის რაიონში თავის ქართველ ძმას — ხრამს ჩაეკვრება გულში.

სომხეთის მთების გულიდან ნაუური წყლით ძალაშემატებული ხრამი წითელ ხიდან მტკვარს უერთდება და დეპეტის, ხრამისა და მტკვარის საერთო ნაკადი ახლა უფრო მხნედ, უფრო მძლავრად და უფრო წყალუხვად მოძვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აგრძელებს თავის გზას.

ისიც საგულისხმოა, რომ ეს მდინარეები ერთი-მეორეს ერთვიან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრების თავშესაყართან — წითელ ხიდან.

თუ თქვენ თბილისიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზით აზერბაიჯანში, ანდა სომხეთში გაემგზავრებით, წითელ ხიდს გვერდს ვერ აუვლით. აქ, ამ ქართული ბრტყელი აგურით აგებულ ხიდან სამი რაიონი ემეჩნება ერთი-მეორეს: მარნეული, კაზახი და ნოემბერიანი. პირველი — საქართველოა, მეორე აზერბაიჯანი და მესამე — სომხეთი.

ბევრი რამის მომსწრეა წითელი ხიდი... რა არ უნახავს მას: ვაჟართა აქლემების ქარავნები, აზიის შორეული უდაბნოებიდან რომ მოემართებოდნენ, ომების ქარცეცხლი, რბევა და აწიოყება...

წითელ ხიდს ახსოვს ცხრაასოცდღერით წლის თებერვლის ნათელი დღეა, როდესაც აქ გამოიარეს მეთერთმეტე წითელი არმიის ცხენოსნებმა, რომლებიც საქართველოს აჩანებულ მშრომელების დასახმარებლად მიეშურებოდნენ.

იმ დღიდან, ეს ხიდი ხალხთა ძმობის, სიყვარულისა და მეგობრობის ხიდად გადაიქცა. აქ, სამი რესპუბლიკის დამაკავშირებელ ხიდან უკვე კარგა ხანია, რაც ტრადიციად იქცა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მშრომელების საუბრის შეკრება.

ერთი ასეთი საზეიმო შეკრება წლევედელ ზაფხულში გაიმართა წითელ ხიდან.

შებინდა. აქა-იქ კოცონები აენთა. სამი რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების შეკრება გრძელდებოდა. აქეთ დოლ-გარმონის ხმა ისმოდა, იქით ხმაშეწყობილად მღეროდნენ. უხვი მოსავლის ოსტატები თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს.

და აი ამ საერთო მხიარულების დროს მე შემთხვევით მოვიხსინე ერთი პატარა ამბავი, რომელმაც ძალიან ჩამაფიქრა. არა, ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის მაგალითებით ვერავის გააკვირვებ. ამ მეგობრობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია და დულაბივით მტკიცე საძირკველი აქვს. მაგრამ ის, პატარა ამბავი, რაც აქ, მეგობრობის წითელ ხიდან გავიგონე, მაინც რაღაც თბილ და ჩვენი ხალხების უანგარო მეგობრობის კიდევ ერთ ამალევენებელ მაგალითად მეჩვენება.

აი ეს პატარა, არც თუ ისე განსაკუთრებული ამბავიც.

სომხეთში, ერზინანის რაიონში არის სოფელი, რომელსაც მეწამორი ჰქვია. ცხოვრობს ამ სოფელში ერთი ალაღმართალი, მშრომელი კაცი მამე გულიანი. იგი კოლმეურნეობის მექანიზატორად მუშაობს და მთელ რაიონში კარგი სპეციალისტის სახელი აქვს.

ერთ დღეს მამეს შემთხვევით მოხვდა ხელში სხვენიდან ჩამოტანილი ძველი წიგნი, რომლის თავფურცელზე რაღაც ანდერძივით სიტყვები იყო წარწერილი.

გამოიკვია, რომ ეს სიტყვები მის მამას სიკვდილის წინ ეკარნახა კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარისათვის.

წაიკითხა მამემ წიგნის თავფურცელზე მიწერილი ტექსტი და გული აუჩ-



აკაკი ხაქაურიძე (ცენტრში) პიონერებს უზიარებს იმ დღეების შთაბეჭდილებებს, როცა ამიერკავკასიის ხალხები იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ქროდა. მთელი დღე ჩაფიქრებული დადიოდა. არც ღამე მოუხუტავს თავი, იწვა ვაჟკაცი, ხელები თავქვეშ ამოდო და მის თვალწინ ისევ და ისევ ცოცხლდებოდა მამის კარნახით ჩაწერილი სიტყვები.

...რევოლუციის შემდგომი პირველი წლები. ჯერ ისევ უჭირს ქვეყანას. მამე მაშინ პატარა იყო, მისმა მამამ არმარისმა შავი დღისათვის გადანახული ორიოდ გროში ჩაიდო ჯიბეში, მეზობელ-ახლობლებში ნასესხები კაპიკები დაუმატა ზედ და გზას დაადგა.

იმის ფიქრმა, რომ ოჯახი უღუქმაპუროდ იყო დარჩენილი, არმარის ძალა შემატა. იარა, იარა ზორბლის საშოვნელად წასულმა ოჯახის პატრონმა და საქართველოში, თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირდელში ამოყო თავი.

სომეხი კაცი ბედმა ქართულ ოჯახში, დავით ცქიფურიშვილთან მიიყვანა. არც ერთს გაეგებოდა სომხური და არც მეორემ იცოდა ქართული, მაგრამ კეთილი ადამიანების გულები უსიტყვოდაც გაუგებენ ერთი-მეორეს.

ქართველმა კაცმა დალილ-დაქანცული და ფეხბადატყავებული არმარისი გულიად მიიღო, სუფრა გაუშალა, მოასვენა და მზრუნველობა არ მოუკლია მისთვის.

ორი დღე დაჰყო სომეხმა სტუმარმა ქართულ ოჯახში და ეს ორი დღე წარუშლელი მოგონებად გაჰყვა მთელს მის ცხოვრებას.

წამოსვლისას დავითმა მან კილოგრამი მარცვალი ჩაუყარა არმარისს ტომარაში, ფული კი რა სათქმელია, გასაჭირში ჩავარდნილ კაცს ფულს აბა როგორ გამოართმევდა!

არმარისმა იუარა — არანც ფოლი ჩემ ვერცნი, უფულოდ არ წავიღებო!

— ვერცრუ, ვერცრუ, წაიღე, წაიღე! — ხელების ქნევით და თითო-ორი-ლა სომხური სიტყვით დაამტვრია მასხინძელმა, — წაიღე. ქართველები და სომხები ძმები ვართ და ძმას გასაჭირში უნდა დახმარება.

„შვილო, — უბარებდა მამა შვილს წიგნის თავფურცელზე მიწერილ თავის ანდერძში, — არასოდეს არ დაივიწყო ეს სიკეთე. მე ველარ შევძელი, მაგრამ შენ გადაუხადე ვალი და მაძლობა ცქიფურიშვილის ოჯახს.“

ამ სიტყვების წაითხვის შემდეგ, ერთი დიდი სატიქარალი გაუჩნდა მამეს, ვერ იქნა, ველარ მოისვენა, შვებულება აიღო და საქართველოსაკენ გამოეშურა.

როგორც მამე ფიქრობდა, დავითი უკვე გარდაცვლილიყო. მისი შვილი ვალიყო მთელი ოჯახით ქუთაისში გადასულიყო საცხოვრებლად.

მოდო და ასე უცხად იზონენ ამხელა ქალაქში კაცი! უკვე ბინდია. მოდის მამე გზაზე, ვილაც გამვლელს თავისი გასაჭირი მოუყვა და რჩევა ჰკითხა.

— წავიდე! — მაშინვე მკლავზე შეავლო ხელი გამვლელმა, — ცქი-

აქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.



აკაკი ხაჭაპურიძე.

ფურიშვილი ქართველია, მეც ქართველი ვარ, ჰოდა, ისე ჩასთვალე. თითქოს მეც ვალიყო ვარ.

თორნიყე ფორჩხიძემ გზად შემთხვევით გაცნობილი სომეხი კაცი. შინ მნიყვანა, გაუმასპინძლდა, სუფრა გაუშალა, მოასვენა და მეორე დღეს ვალიკოს მონახვაში დაეხმარა.

და აი ასეთი თბილი, ასეთი ვაჟაკური. ასეთი გულითადი ამბების შემდეგ განა შეიძლება, როდესმე შეწყდეს გულიოანისა და ცქიფური-შვილის შთამომავალთა ურთიერთ სიყვარული და მეგობრობა?!

* * *

მარნეულის, ნოემბერიანისა და კაჯახის რაიონების მეგობრობას უკვე დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამიტომაც იყო, რომ არავის გაჰკვირვებია, როცა მარნეულის რაიონის ალგეთის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში კაჯახის რაიონის კომინტერნის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობიდან ცნობა მიიღეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად ჩამოვიდვიართო.

აწერბაიჯანელი მეგობრები მარტო სოციალისტური შეჯიბრების გასაფორმებლად როდი ჩამოვიდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ვაზი ოდითგანვე უყვარს ქართველ კაცს. ჩვენებური გლეხკაცი ვენახის საქმის დიდოსტატია. მას ესმის ვაზის ენა, იცის მისი ყველა საიდუმლო.

მომხე აწერბაიჯანის კომინტერნის ხან. მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში კი ვაზი შედარებით ახალი კულტურაა. აქაურ მუშებს, ცოტა არ იყოს, უჭირთ მისი მოვლა-პატრონობა და უზვი მოსავლის მიღება.

ჰოდა, აბა ვისგან შეიძლება ისწავლოს მეგობარმა, თუ არა ისევე მოძმისა და მეგობრისაგან?!

ჩამოვიდნენ აწერბაიჯანელი მეგობრები საქართველოში, გულდასმით დაათვალიერეს ალგეთის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის ნაპატები ზვრები, გაეცნენ მოწინავეთა გამოცდილებას.

ახალგაზრდული მერვე ბრიგადის ბრიგადირს აწერბაიჯანელ საიდველი-ეცს გულმა ველარ მოუთმინა, როცა ასევე ახალგაზრდული მეზუთე ბრიგადის ზვრები დაათვალიერა და გულწრფელად იკითხა:

— ნეტა მივაღწევთ როდისმე, რომ ყოველ ჰექტარზე თქვენსავით უზვი მოსავალი მოვიყვანოთ?

— ამას ორიოდ წელიწადში შესძლებთ! — მაშინვე მიაგება პასუხი ახალგაზრდული მეზუთე ბრიგადის ბრიგადირმა ამალია ყველაშვილმა, — სხვანაირად არც შეიძლება. თუ ჩვენ ვახერხებთ, თქვენც უნდა შესძლოთ.

მაგრამ საკითხავი სწორედ ის არის, თუ როგორ, რა გზებით და მეთოდებით უნდა შესძლონ მოძმე აწერბაიჯანელებმა ამის გაკეთება.

ეს იყო ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივ ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა საუბარი. ყველა, ყველა უკლებლივ, ისე როგორც ერთი, ცდილობდა სიტყვითა თუ საქმით რაიმე პრაქტიკული დახმარება გაეწია კომინტერნის სახელმძღვანელოს მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის.

და აქ, ამ ცხარე, საქმიან კამათსა თუ საუბარში ნათლად შეღავნებულადა საერთო საქმით დაინტერესება, მეგობრობის ის დიდი და დაუშრეტელი ძალა, რომელიც მხოლოდ ლენინის ბრძნული იდეების ცხოვრებაში გატარებამ გახადა შესაძლებელი.

აწერბაიჯანელმა მეგობრებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ვალდებულე-ბა აღდეს 240 ჰექტარი ვენახიდან თვითულ ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურ-

მენი მიიღონ. ისინი ყურძნის საერთო წარმოებას წელს 1400-1500 ტონამდე აიყვანენ და სახელმწიფოს ზეგეგმით სულ ცოტა 100 ტონა ყურძენს მიმ-სილიან.

249 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის თვითულ ჰექტარზე 74 ცენტნერი ყურძენი! — აი ასეთია წელს ალგეთის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივის გადაწყვეტილება. ჩვენი მევენახეები ყურძნის საერთო წარმოებას 2 ათას 600 ტონამდე აიყვანენ და სახელმწიფოს 452 ათასი მანეთის ზეგეგმით მოგებას მისცემენ.

— როგორც ხედავთ, ციფრებში სწავლობა, — გვითხრა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა იასონ ჭიჭიძემ, — მაგრამ ეს დროებითი ამბავია.

მეგობარს მეგობრული ხელის გაწევა სჭირდება. ალგეთელი მევენახეები სულ მალე ადგილზევე ინახულებენ აწერბაიჯანელი მეგობრების ზვრებს. იქ უფრო ნათელი იქნება ყველაფერი. ადგილზე უფრო იოლი და შედეგადაც გახდება საქმიანი რჩევა-დარიგებების მიცემა.

ისმენთ მეურნეობის დირექტორის, აქაური აგრონომების, რიგითი მუშების ასეთ საუბარს და თქვენს გონებაში ძალაუნებურად იბადება კითხვა:

სად, რომელ ჰექტანაში შეიძლება ნახოთ ასეთი რამ? სად, კიდევ რომელ ჰექტანაში შეიძლება შეხვდეთ საერთო საქმით ასეთ დაინტერესებას, ასეთი ძმური მეგობრობის მართლაც და ამაღლებებელ ფაქტებს?!

* * *

მარნეულის, კაჯახისა და ნოემბერიანის მშრომელთა ეს ძმობა ქართველი, აწერბაიჯანელი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

წელს მარნეულის რაიონის მულანლოს საბჭოთა მეურნეობაში ხორბლის უზვი მოსავალი მოვიდა. საბჭოთა მეურნეობის მუშებს თავი არ დაუშოვავთ



სოფ. შახლი (კაჯახის რაიონი).

დიდიდან სადამომდე მკლავებდაკაპიწებული დატრიალებდნენ ყანებში. მოსავლის შემეჭიდრობულ ვადებში უდანაკარგოდ აღება მაინც გაკირდა. ტექნიკა საქმარისი არ აღმოჩნდა, ზღვად მომსკლარი ხორბლის ასაღებად და დასაბინავებლად.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნიკოლოზ სინჯიაშვილმა ეს ამბავი ტელეფონით აცნობა კაჯახის რაიონის შახლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს იმრან მირზაევს.

მეორე დღეს ჭერ კიდევ ხეირიანად არც იყო გათენებული, როცა მულანლოს საბჭოთა მეურნეობაში სამი კომბაინი შემოგრიალდა.

კონკრტი მღ. ხრამის სანაპიროზე.



ქოჭის ფიქვი



ნოემბერიანის რაიონის სოფელ კობის ხედი.

— სალამ ალიქუმ! — ხელის აწევით მიესალმა აწერბაიჯანელი კომბაინერი ტოფიკ ეფენდიევი დამხვდურებს და მაშინვე დასძინა, — ბიჭები ჩამოვიყვანე. აბა დროს ნულარ დავკარგავთ!

ტოფიკ ეფენდიევის, ველი ველიევისა და ტოფიკ ჰუსეინოვის კომბაინერები უანებს შეესივნენ. მეგობრების დასახმარებლად აწერბაიჯანიდან საქართველოში ჩამოსული კომბაინერები დააღმასებულენი შრომობდნენ და რამდენიმე დღეში სამიათასი ცენტნერი ხორბალი გალენეს.

უამრავი მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება.

მარნეულის რაიონში ახალ სკოლას აშენებენ. მშენებლობის დროულად დასამთავრებლად მეგობრებს დახმარება სჭირდებათ და აი მოძმე სომხეთიდან ნიკოლოზ ბაგინიანის მეთაურობით ქვისმთლელობა ბრიგადა ჩამოდის საქართველოში.

არც საქართველოს მშრომელები რჩებიან ვალში თავიანთ მეგობრებს. დაამთავრეს თუ არა თივის ადგმა, მარნეულის რაიონიდან მაშინვე რამდენიმე მექანიკატორი გაემგზავრა სომხეთში, კობის მერქველობა-მეზოსტენობის საბჭოთა მეურნეობაში და მოსავლის აღების ცხარე დღეებში ხელი წაახმარა მეგობრებს.

ახლა კობელებმა გამოიღეს თავი. მეგობრებს დახმარება სჭირდებათ და საბჭოთა მეურნეობის სადურგლო სახელოსნოში თავიანთი ქართველი მეგობრებისათვის თამბაქოს გასაშრობად 10 ათასი ლასტი დაამზადეს.

მარნეულის რაიონში ამას წინათ მოძმე აწერბაიჯანიდან და სომხეთიდან ისევ ჩამოვიდნენ სტუმრები.

მულანლოს საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელ ხანებში ხორბლის ახალი ჯიშის „კავკასიის“ მოყვანა დაიწყო. ამ ახალმა ჯიშმა იმელები გაამართლა. მეურნეობამ ხორბლის უხვი მოსავლის მიღება დაიწყო.

ურიგო როდი იქნება, რომ ეს ჯიში სომხეთსა და აწერბაიჯანშიც გავრცელდეს.

ამ საკითხით მოძმე რესპუბლიკებშიც დაინტერესდნენ და აი მარნეულელებს გამოცდილების გასაზიარებლად ეწვივნენ ძველი მეგობრები.

კობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა სურენ აბოვიანმა და შახლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა იმრან მირზაევმა გულდასმით დაათვალიერეს ნათესები. მათ სათანადო კონსულტაცია და რჩევა-დარიგება მიიღეს მეგობრებისაგან.

მულანლოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა სომეხ და აწერბაიჯანელ მეგობრებს ალუთქვეს, რომ მათ დაუყოვნებლივ გამოუყოფენ „კავკასიის“ ჯიშის ხორბლის თესვას პირველი 10-10 ჰექტარი უანის დასათესად.

აქვე გადაწყდა ისიც, რომ სომეხი მეგობრები თავიანთ ქართველ და აწერბაიჯანელ მეგობრებს უახლოეს ხანში გამოუგზავნიან ატმის საჭვეუნოდ განთქმული ჯიშის — „ნარინჯის“ 10-10 ათას ნერგს. აწერბაიჯანელი მეგობრები კი ქართველ და სომეხ მეგობრებს ასევე საჭვეუნოდ სახელგანთქმული ყურძნის ჯიშის — განჯურას ნერგებით მოამარაგებენ.

შემოქმედებით შრომაში იწურება ყოველი დღე. ყოველ დღეს ახალი მისწრაფებები მოაქვს. ამ მიზნებისა და მისწრაფების განხორციელებაში კი მარტო ვერაფერს გახდები.

ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთ თანამშრომლობა — აი ჩვენს ქვეყნის სიმტკიცისა და ურყევი ძლიერების წყარო. მეგობრისათვის მეგობრული ხელის გაწვდენა საბჭოთა ხალხების უპირველესი თვისება და მოვალეობაა. სწორედ ამან აქცია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო ასე ძლიერ, ასე მონოლითურ და აუცვავებულ ქვეყანად.

ოთარ დემეტრაშვილი

მისი შუქთა ელვარებით დნება რვალიც, უამთადენას მოსდევს ძმობის წიგნი, საჭიროა როგორც პური, როგორც წყალი, ჰაერივით საჭიროა იგი.

ჰკითხეთ დიდგორს, ძმისთვის ძმა ვით მჭუხარებდა. როგორ ედგა თბილის-ქალაქს ფარად, ყური უგდეთ არაგველთა უკვდავებას, რომ გვეძახის სამშობლოსთვის მარად.

ჰკითხეთ ცაში მზედ ატყორცნილ ბაირაღებს და იმედოდ გადაძდობილ მკლავებს, ბეწვის ზიდზე რა დიდებით გავიარეთ, გავედით და რა ფიცვერცხლი ვთაღეთ.

ყველაფერი ხელისგულზე გიდეგს, ბედო, რა ვართ, ვინ ვართ დაწვრილებით იცი; ქართველს ძმობა გაჩენიდან სანთლად ენთო, გაჩენიდან ძმა ძმისათვის იბრძვის.

თბილისს ახსოვს ახლაც ისევ, თითქოს გუშინ, თითქოს გუშინ აქ იყო და ვნახეთ...

გული როგორ გავუშაღეთ მტკვართან პუშკინს, ჰკითხეთ ქარს და ორთაქალის ბაღებს.

თუ იკითხავთ, რომ მომყვება ვარდის დილას ზუმოვკელი ქალი გეტყვით ისევ, რატომ სძინავს ასე მშვიდად, ასე ტკბილად

გურამიშვილს მირგოროდის ცისქვეშ.

მოუსმინეთ მშველებს მოყოლილ მთების ნიავს, მის თრთოლვაში რა ტრფიალი ღვივის,

სურამულას ნაპირების გეტყვის ია, რად ინახავს უკრაინას ღიმილს.

ცხრაასშუთის ნაძალადევს ახლაც ახსოვს ძმობის ფიცი ხმამაღლა რომ ითქვა,

თბილისის ზღვას უნანავებს მკერდში რატომ მლაშე ტბების მღელვარება ზვირთთა.

დავიწყებამ, დავიწყებამ იროდი დაბრა, წლებს მომყვება ღვეგნდად და ზღაპრად,

მტრებს საფლავში ელანდებთ ვიცი ახლაც ძმისთვის მცვედარი ციმიბირელი შაბა.

ამ შენობის გალავანში დულაბს ვშლიდით და ხვეტები ამოგვყავდა მკერდით,

ვით იბრძოდა ცარიცინთან ჭულაშვილი, მოდულუნე ვოლგის ტალღა გეტყვით.

ვაუკაცებმა ურთიერთს მხარი როგორ მისცეს, როგორ ჰჭუხდნენ, მაჯა სცემდა სანამ,

ჰკითხეთ ძმათა საფლავებს და ობელისკებს, ობელისკებს, ლოცვებდა რომ დგანან...

დროშის კალთებს დაუყვარდები მკერდში იხვევს, ზედ ატოლებს განთიადი აფრებს.

მოსრიადე გაზაფხულის მერცხლებს ჰკითხეთ კვლავ ძმობის ხმა რა სიამეს გვაფენს.

ამ გულისთქმას რა ყვავილთა სუნთქვა მომყვა, მზე გვიღიმის, რა დიდების მჩენი,

როგორც დღემდის კვლავაც ურღვევ ძმობის ოჯახს აშშვენებდეს ქართველობა ჩვენი.

ჩემო ცაო, ჩემო ზღვაო, ჩემო მიწავ, არწივებო, მთებს ლაღად რომ უფლით,

ვინც თქვენ ძმობა საუკუნოდ შემოგფიცა, თქვენს ღირსებას ვინც პატავს სცემს გულით,

ვისი შუქიც, თქვენი თვალის სინათლეა, მალამოა დარდისა და ფიქრის,

მეც იმისი დღეგრძელობა მინატრია, ჩემი ღიზის თამადა იგი.

სინათლისკენ ცად აღმართულ ხელებს ცფიცავ, იმ სისხლს გმირი ძმობისთვის რომ ღვრიდა.

რომ ექნება ვარსკვლავეთს და დედამიწას ეს ალალი გული ძმობის ზიდალ!

ჩემი პირველი ქვეყანა...



კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარელში.

მეუღრო ღამე დასწოლია ალაზნის ველს. მაღალი, ტყით შემოსილი მთები პატარა ქალაქს ღამის თავზე წამოხობიან.

სწორედ ეს ცა, სწორედ აქაური შედამება დახატა ილია თავის პოემაში.

ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მთვარით განათებული სევდიანი ღამე, მობუტბუტე ალაზანი... ყველა სულდგმულს სძინავს, მხოლოდ ერთგან, უკაცრიელ გზაზე მძიმედ მიჭრიალებს ურემი და ზედ ნაღვლიანად დაჰღიღინებს მეურამე. იმისი ღულუნი მწარეა და გულში ჩამრჩენი.

გახსენდება უსამართლობას გაქცეული და ტყეში შეხიზნული ორი ყვარელი ვაჟკაცი, მაშინდელი ყვარელი.

მას აქეთ დიდი დრო გასულა, დიდმა ქარიშხლებმა გადაიარეს, დაიღწა და დაინგრა ძველი და დრომოჭმული. კაკოსა და ზაქროს ბორკილაყრილი შთამოშავალი თვით გახდნენ საკუთარი ქვეყნისა და მიწა-წყლის ბატონ-პატრონი და გამგებენი. აქი აღრევე უწინასწარმეტყველა აქაურმა ბრძენმა მთელ საქართველოს: აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენიაო.

თბილისიდან ღამით ჩამოსულნი სასტუმროს აივანზე ვსხედვართ, გადავცქვრით დღევანდელ ყვარელს და უნებურად ძველ ყვარელს დავტრიალებთ ფიქრით.

სიმწვანეში ჩაფლულა და ჩაყარულა პატარა ქალაქი. იალაღებზე ბალახი ბიბინებს, ბაღჩაბაღებში ვარდებისა და იასამნების ნახი და, ამავდროს, მძაფრი სურნელი ტრიალებს.

წუხანდელი წვიმებისაგან დასველებულ ხეთა ფოთლები დიღოს მზეზე შრებოან. ახლა ის დროა, როცა პატარა ქალაქი უკვე ცხოვრების ფერხულში ებმება. სამუშაოზე მიდიან მშენებლები, მუშა-მოსამსახურენი, ყველა ცდილობს, დილითვე ნახოს თუ ვინმე სანახავი ჰყავს, დილიდანვე მოაბას საქმეს თავი.

განსაკუთრებით პარტიის რაიკომში იგრძნობა ეს ხალხმრავლობა.

— ყვარლის ზღვა ნახეთ?

— არა.

— ღვინის ქარხნის მიწისქვეშა გვირაბი?

— არა.

— ილიას გორაზე იყავით?

— არც ილიას გორაზე ვყოფილვართ.

პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ავთანდილ დავითაშვილი იღიმება და გვეუბნება:

— მაშ რაღა ნახეთ, ხალხნი და ჯამათნი!

კულტურის სახლი ვნახეთ, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს და რომელიც ყვარლის მშენებება იქნება. ვნახეთ ახალი კინო-თეატრი, ახალი ბაგაბალი, რომელიც წელს გაიხსნა და რომელშიც 150 ბავშვი დაიარება. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ყვარლის ქველთაგანვე განთქმული ტყე, მდინარე დურუჯის ხილზე მეტყვევების მიერ გაშენებული ახალი ხეივანი, ილიას მუდამ სტუმრიანი სახლ-მუზეუმი, კოტე. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი და ბევრი კიდევ სხვა. სხვათა შორის, რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყვარელი ამ შემოდგომით ბევრ სტუმარს უმასპინძლებს. ოქტომბრის თვეში სრულდება დიდი რეესორის დაბადების ასი წლისთავი. მუზეუმს რომ ვესტუმრეთ, კაბიტალური რემონტი მიმდინარეობდა და ყველაფერი თვალდაყირა იყო.

— ეგ ყველაფერი კარგია, — იღიმება მდივანი, — მაგრამ ყვარელზე ნათელი წარმოდგენა არ გექნებათ, თუ ის, რაც მე ჩამოვთვალე, არა ნახეთ.

— მეც ეგ ვუთხარი ჩვენს სტუმრებს, — დასძინა რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ ოთარ სამხარაულმა.

მეორე დღეა, რაც ეს შესანიშნავი ვაჟკაცი, თავმდაბალი, უბრალო და სადა ადამიანი ოთარ სამხარაული ჩვენი მეგობარია. როგორ არის მოწყვნილებული, რომ ყველაფერი, რაც კი ყვარელში კარგა და გასახარებელია, ჩვენც ვნახოთ, რომ რაც მას მოსწონს და ახარებს თავის რაიონში, ჩვენც მოგვეწონოს და გავიხაროთ.

ეს მარტო სამხარაულს კი არა, თითქმის ყველა ყვარელს შეეძინეთ, მათ უყვართ თავიანთი რაიონი, უხარიათ თუ რამ კარგი გაყვებდა, თუ რამ კარგი აშენდება და ცდილობენ ჩასულ სტუმარს ყველაფერი აჩვენონ. ყვარელები ამყობენ, რომ აქაური ქინძმარაული მსოფლიოში სწორუბოვარი ღვინოა. ყვარელები ამყობენ, რომ აქაურმა სულგუნმა 1970 წელს მოსკოვში დეგუსტაციაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. აქ-

ურები ამყობენ, რომ ყვარელში შენდება დიდი ლიმონათის ქარხანა, რომელიც მთელი კახეთის რაიონებს ამ სასმელით მოამარაგებს.

მაგრამ ყვარლის მშენებება და ნამდვილი სანახაობა მაინც ის ყოფილა, რაზედაც რაიკომის მდივანი გველაპარაკებოდა.

ახლა ჩვენ ქინძმარაულის ღვინის ქარხანაში ვართ. ჩვენს წინ მაღალი, ტინიანი მთა აღმართულა. ბევრმა არ იცის, რომ ამ მთის ქვეშ მთელი მეტროპოლიტენია, რომ შიგ უზარმაზარი ფართობი, დაახლოებით შვიდი კვადრატული კილომეტრი, პირდაპირი და გარდღარდმო გვირაბებით არის დასერილი. მაგრამ იქ მატარებლების მაგივრად ურიკები დაგორავენ და ვეება ღვინით სავსე კასრები განისვენებენ. იქ შესვლისთანავე ძველი ღვინის საამო სურნელს იგრძნობთ. და კიდევ უჩვეულო სიგრილეს. იქ ზამთარ-ზაფხულ მუდმივი ტემპერატურა, თხუთმეტი გრადუსია.

ამ ბუნებრივ მაცივარში თითქმის მთელი კახეთის ღვინო ინახება, — დაახლოებით სამი მილიონი დეკალიტრი. სამი წლის შემდეგ უკვე დაძველებული სხვადასხვა ჯიშის ღვინო ბოთლებში ინახება, უკეთდება იარლიყები და მიდის თბილისსა თუ მოსკოვში, ღვინგარდასა თუ ტაშენტში, შორეულ აღმოსავლეთსა თუ ჩრდილოეთის მხარეში.

არ შეიძლება ეს გვირაბი ნახო კაცმა და არ გოცდე.

არ შეიძლება ყვარლის ზღვა ნახო და არ გაიხარო.

არ შეიძლება ილიას გორაკიდან გადმოიხედო და არ აღფრთოვანდე.

არ შეიძლება იწმომის ხეობას აჰყვე და...

ყვარელიდან ხუთიოდე კილომეტრზე, შიგ შუატყეში საკმაოდ წყალუხვი ტბაა (ყვარელები მას ზღვას ეძახიან).

ტბას გარშემო, ოთხივ კუთხივ, დაბურული ტყე ავლია. იგი არც ერთ რუკაზე, არც ერთ ატლასზე არ არის აღნიშნული. ახლახანს დაიბადა, სამი-ოთხი წლის წინათ და საკუთარი სახელიც კი არ გააჩნია. აი, როგორ გაჩნდა იგი: დღევანდელი ტბის ადგილას ლაქში და ჭყანტობი იყო. მოვიდნენ ადამიანები, მოიტანეს ბუღდობურები, გაწმინდეს ჭყანტობი და მიუშვეს შიგ პატარა მდინარე ჩაგურგურა. ნაჭობარო აივსო და ტბად იქცა. შიგ თევზი გაჩნდა, ზედ ნავეებით დასერილობენ. მაგრამ ამ ტბას სხვა, უფრო დიდი დანიშნულება აქვს. იგი ასობით ჰექტარ ფართობს მოარწყავს, სიცოცხლეს დაუბრუნებს გვაღვისგან შეღონებულ ზერებს.

გავიდა კიდევ სამიოდე წელი და ილიას გორაკთან ახლოს, ნაჭობარო, გაჩნდა კიდევ ახალი ტბა, რომელსაც ყვარელები პირველი ტბის უმცროს ძმას ეძახიან. ამჯერად დურუჯი დაავებეს.


ილიას გორაკზე, ილიას ძეგლთან ვდგავართ.

შეღამება. ძირს, როგორც ხელის გულზე ისე მოჩანს სიმწვანეში ჩაფლული ყვარელი. შორს დაცემულ ველზე გაფანტულან კოხტა სოფლები თავისი ბაღ-ვენახებით. სადღაც, შირაქის სოფლებისკენ მიიკლავება შარავზა. დიდებული სურათია, ვერც ერთი ოსტატი ვერ შესძლებდა ტილოზე გადატანას. მარჯვნივ კი, ილიას ძეგლის ახლოს ლურჯად ლივლივებს ტბად გადაქცეული დურუჯი.

მზე ჩადის და ბინდი მოიწვეს. მე ერთხელ კიდევ გამიზრის თვალი იმ ადამიანის ძეგლისკენ, ვინც მთელი საქართველოს სიამაყეა და პირველი რბეში, რა თქმა უნდა, ყვარელი კაცისა. იგი ბრძენის თვალებით გადაჰყურებს ყვარელს, შორს გაფანტულ სოფლებს და თითქოს ჩურჩულებს: ჩემო კარგო ქვეყანავ!

სოლომონ დემურხანაშვილი,

უზანაგი ბადია.



თორავა ქათათებს აეროვაგალო, როგორც აისბერგი ოკეანეში. ნელ-ნელა მოცურავს ჩვენკენ.

თვითმფრინავი დაეშვა.

თითქოს გამოქვაბულში გვეძინა — მოთენილები შევხვდით მშვეს, მზე გვეძახდა გარეთ, მზისა და ქვის ქალაქში.

გზის ორივე მხარეს სხივანი, მერე სხივანი აღმართი, წარავი, უდაბნო, ველი და უცბე იწყება ქალაქი.

ქალაქის შოფერი შავტუხა ქაბუკია, მკვირცხლი და თვალბაკვესებული. მწვანე ხავერდის არახჩინი ახურავს. მშვენიერ ხასიათზეა. ალბათ, წუხელის კარგად ეძინა, ან ძალიან უყვარს თავისი საქმე. თბილისშიც ბევრია ასეთი ტაქსისტი. რუსულად მელაპარაკება. ეს ბაზარიაო, ეს რეგისტრის მოედანი, აგერ მდერესები აწოწილი მინარეთებით. მოვედითო, მითხრა, გავსწორდით.

საჩრდილოელს ვერსად იპოვი ვიწრო, სველისძველ ქუჩაბანდზე.

კედელზე ფირნიშია გაკრული: „ქუჩა იტიფაკი, № 25“, სწორია უზბეკურ ენაზე.

ბანზე ერგაშ ახმედოვი დგას. პირში ორი თითი ჩაუდგია და უსტვენს. მტრედებმა კამარა შეჭრეს. ბოლოწყვეცილი ფრთოსნები სახურავზე დაფოფინებენ, დუღუნებენ. სრულიად მოულოდნელად დავინახე ერგაში. მან ჩემთან ერთად მოიარა ჩარი. ბავშვობის წლებიდან გამოწყობილია მტრედების სიყვარული, უსტვენს, დარბის, ხელებს იქნევს, აპურებს, ალბათ აგრეთვე ცოცხარე.

— ერგაში! — შევძახე.

თვალბაკვესებული მიყურებს, პირდაპირ ბანიდან ხტება, მკერდზე მაფრინდება და, იქაური ჩვეულების თანახმად, ორჯერ მესხვევა.

ერგაში შინ მებატიუება, ფხსაცმელს იხდის დერეფანში. მეც ვიხდი. კედლებზე, იატაკზე, ყველგან ხალიჩები; ფარდაები ჰქვია და აფენია. მასპინძელმა ბალიში შემომთავაზა და თვითონ ფხმორთხმით დაჭდა. ნამგავარ-ნაწვალეებმა ამოვისუნთქე. „თბილისი — ტაშკენტი“, „ტაშკენტი — სამარყანდი“. მე ღრუბლებში ვავტებე ღამე.

რამდენი ფერია ოთახში, მკვეთრი და მყვირალა.

იღიმება ერგაში. გავისხენეთ ძველი, ახალი. მერე ჩარისკაცულ სურათებს მაჩვენებს ხელში და ოთახიდან გადის.

ფოტოსურათზე ტრამლი ჩანს, თოვლით დაბურული. ფეხი გავიჭერი იმ დღეს. მე და ერგაში სკამებზე ვხსენდვართ მობუზულები და მოლოდინით შეწუხებულნი. სურათი ოლეგმა გადავიღო და ოცეულთან ერთად სადილზე წავიდა. სამუშაო პოლიგონზე ჩვენს მეთი არავინაა.

ერგაშია გაკრული ფეხი შემისვია და პოლკში დარეკა. აქამდე ბიჭებიც მიიტანდნენ ამბავს, მანქანა კი არა და არ გამოჩნდა.

ქარმა დაჰქროლა და ყინვაშემხმარი ხეები ააცეკვა. ერგაში მხარში ამომიღვა, დიდი თოვლიანი მინდორი გაკვერა და პოლკში მიმიყვანა, ყავარკენით მდებარე მეგობარი...

...ერგაშს ჩაი შემოაქვს, სუფრას უღოს, ჩაიდანს, ფილებს დგამს და გადის.

ხშილი დატეხა და ნატეხები ტრადიციულად სუფრის გარშემო შემოაწყო. ისევ გავიდა, ამხანაგებთან, მეზოლლებთან შეუვლია. ჩარის მეგობარი მესტუმრა და მეწვიეთო.

ვღებები, ხელს მართმევენ ბიჭები. ყველა ცალცალკე მეკითხება: ხომ კარგად იმგავარყო? შინ ხომ მშვიდობაა? მშობლები და ახლობლები როგორ არიანო?.. ღმერთმა გაბედნიეროთო.

ვისაუშმეთ, ავიშაღენით. ბიჭებმა „ხაიო“ უთხრეს ერთმანეთს, შევხვდებითო, და მიმოიფანტნენ.

— სად წავიდეთ? — მეკითხება ერგაში.

უცხო ქალაქში, როგორც წესი, მაღაზიებში დარჩნენ. ჩვენ რა გვაქვს საყიდელი?

— არაფერი..

* * *

ერგაშ ახმედოვი სამარყანდის ავტო-სატრანსპორტო დაწესებულებაში მუშაობს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქაბუკმა ჩარისკაცის მიმე ჩექმები და სამხრეები ატარა. მერე კი შოფრის გზა აირჩია. სამი წლის მანძილზე შეიძლება კარგი შოფერი დადგე, ტვირთიც ბევრი გადაწილო. გეგმაც შეასრულო და გზადმიმავალ მგზავრსაც პატივი დასლო. ეს კი შენი პროფესიის სიყვარულია.

ერგაშს თავისი მანქანა თუ არა, პროფესია როგორ ეყვარება? ამიტომ არის რომ მანქანას ცოცხალ არსებასავით ეკიდება. მანქანა ბავშვივით სათუთია, გაფრთხილება უნდა. ახმედოვმა იცის მისი ყადრი და მანქანის ყველა ნაწილი თადარიგზე აქვს.

შოფრობა ბავშვობიდანვე ჩემი გატაცებააო, გეგმის შესრულების დროს გამომუშავებაც მაქვსო კარგი, — ამბობს ერგაში.

— სწავლა რატომ არ გააგრძელებ, ერგაში?

— რა იცი, რომ არ გავაგრძელებ? — მიპასუხა.

— ფული ბევრი იქვს? — ვკითხე.

— ფულს ძალიან არ ვამს, მე რად მინდა. თუმცა, მინდა, ვის არ უნდა? მაგრამ არა მაქვს.

მამა ადრევე დაეღუპა. ჩარიდან დედასაც ვეღარ მოუსწრო.

ადამიანთა წადილზე და ნებისყოფაზე დამოკიდებული თუ ვინ როგორ გზას აირჩევს ცხოვრებაში.

გზა კი ათასია, აღმართ-დაღმართი, სახიფათო მოსახვევით, სწორი ან გაუვალა, ჭერ გაუვალავი. გზის არჩევაც არის და გავლაც, გზაზე დაყენებაც და გადახვევაც.

ერგაშ ახმედოვის გზა კეთილსაწყისიანია.

გადააქვს ტვირთი.

გზა კი მიდის, იკეცება კილომეტრები და ისევ მიდის.

* * *

რეგისტრის ქუჩას ავედენეთ. მზე ეთამაშება მდერესებს, თაღებს, გუმბათებს, ქუჩებს ცეცხლს უკიდებს.

ბრწყინავს ქვის ქალაქი.

მიმოდიან ტროლეიბუსები, ტაქსები, ჯახახებენ ტრამვაის ვაგონები, მობაკუნობენ დიდთავა და თეთრდრუნჩინი სახედრები.

ქუჩის ორივე მხარეს მაღალი, გადაფოფრილი ხეები დგას. მარცხნივ რეგისტრის „შერ-დორის“, „ტილია-კარის“ და „ულულების“ მდერესები.

მარჯვნივ ახალი, სამ-ოთხსართულიანი სტანდარტული ბინები. პირდაპირ, ახალდაარსებული შენობის ეზო ჭერ კიდევ საამშენებლო მასალებითაა მოხორხლილი.

მუზეუმი იქნებაო, მითხრა ერგაშმა.

ჩაღმამოხვეული ბერიკაცები; არახჩინიანი, მშით დამწვარი ქაბუკები; ქალიშვილები — ფარის კაბებში და ატლასის შარვლებში. გათხოვილები შარვლებით დადიან, გაუთხოვრები უშარვლოდო, მითხრეს. მხრებზე ოთხ-ოთხი ნაწნავი ჰქონდათ ჩამოყრილი.


რეგისტრის მოედანზე ფეხის აქცევა ჭირდა. დადიოდნენ მშით გაბრუებულები და მოთენილები. ჩრდილს არავინ ეძებდა, ყველას საზრუნავი გასჩენოდა.


ხმაურობდა მზის ქალაქი. ცისკრის დადგომიდან მწუხრამდე მზე გაუთავებლად მდეროდა ქვის ქალაქში და მზის სიმღერა ჰგავდა აღმოსავლურ მელოდიას.

„ულულების“ მდერესე (XV საუკუნის ძეგლი) ხარაჩოებში ჩაუვამთ.

„შერ-დორის“ ბაშთაქზე ბრჭყალებით ჩაფრენილი ლომებია გამოსახული. თვალთამბურელია ამდენი ფერი და ქვეთა ღაღადისი.

აქამდე ხილულს, ყველაფერს თხელი, ჭეჭილივით ნაწი ფარდა ჩამოეფარა. ფარდის მიღმა განვლილი საუკუნეებია. მეჩვენება, ყველაფერი შეჩერებულია და ერთ უმოქმედო წერტილს დაშხავსებია. მერე ნელ-ნელა გაიცრისა ბურუსი და ქალაქს თავისი იერი დაუბრუნდა.





მხატვარი ზ. შორაჩხიძე.

რეგისტრაციის ორასიოდე მეტრზე „ბიბი-ხანუმის“ მეჩეთია. მისი გრანდიოზულობა და ფერთა სიმდიდრე წარსულის სილამაზეს შეგაგრძნობინებთ. მაგრამ რა უნდა იყოს იმაზე ლამაზი, ეზო რომ მწვანე ხასხასა მოლითაა მოჩითული.

დღეს გაცრეცილ ფოტოსურათს ჰგავს „ბიბი-ხანუმის“ მეჩეთი... სალოცავის ახლოს ბაზარია, აღმოსავლური ბაზარი. თუ სამარყანდი წუნარზე წუნარი ქალაქია, ბაზარია ძალზე ხმაურიანი. იგი თვითონაა პატარა ქალაქი თავისი ხალხით, მაღაზიებით, დუქნებით, კრულა-ჭრულა პავილიონებით, ჩაიხანებით, ბრინჯის, ნესვებისა და საჭამიროს მთებით.

დახლებში წვრილფეხა ბალებიც ჩაუქნებიან — აქედანვე ერევიან საქმეს. შავგვრემანი, წველინაწინავებიანი გოგოებიც ვაჭრობენ, მწვანილს, ბრინჯს, თხილსა და ქიშმიშს ყიდიან.

იქვე დაწვერულვაშებულნი, მზით მხრებდამწვარი ქაბუკი ნესვებზე მიწოლილია და სძინავს უდარდელად. ვაჭრობას არ ეხარბება, ალბათ, ღამენათევია. ერგაშმა ბრინჯი და ქიშმიში იყიდა. მერე ხორცის რიგთან მივიდა. ცხენის ჩალაღაჩი გასინჯა. ააწონინა. ორი მუთაქასავით ნესვიც ამოიღო ილიებიში. უველაფერი ეს ვილაცას მიიბარა და ჩაიხანაში შემიყვანა.

— ბაზარში მოვიდე და ერთი ფიალა ჩაი არ დავლიო, არ შემძლიაო, — მითხრა.

ტაქსში ჩავსხდით, ჩემმა მეგზურმა — ახალ სამარყანდს გაჩვენებო. მანქანა რეგისტრაციის ქუჩაზე მიქროდა. მოძრაობა არ იყო დიდი. ვისაც სად მოესურვებოდა, იქ გადაჭრიდა ქუჩას.

— ეს ოქერის თეატრია, — მაჩვენებს მასპინძელი, — სიმღერით ვის გააკვირვებ, აღმოსავლეთი იქნება თუ დასავლეთი! გორკის სახელობის პარკს ავუარეთ გვერდი. და მერე რამხელაა ეს პარკი. უზარმაზარი. სამარყანდი ხროცი ქალაქი მეგონა, შეუღარებელი ოაზისი ყოფილა.

ტაქსი გავისტუმრეთ და ბულვარში შევედით, აგერ სამარყანდის ალიშერ ნავოის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

— რამდენი სტუდენტი სწავლობს? — შევეკითხე მეგობარს.
— რა ვიცი? თუმცა... — ქალიშვილს აჩერებს.
— 15.000, — იყო პასუხი.

ქალიშვილმა გაიღიმა. ერგაში მშობლიურ ენაზე დაელაპარაკა. გოგონამ თვლები შემომამბღვრია და გრძელი კაბის ფლასუნით წავიდა. მერე სტუდენტები გამოიშალნენ.

მოდა უველგან მოდაა, ასეა სამარყანდშიც. აქეთ, მართლაც ახალი ქალაქია, ფართო, მშვენიერი ქუჩებითა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით.

„გურ-ემირის“ მავზოლეუმის ეზოში შევედით. მუხლის კანკალით, ფრთხილი ნაბიჯით მივიდოდით, თითქოს გასამარცხავად ვიყავი მისული. არაბესკას მივაჩერდი. ცხოველების, მცენარეების გამოსახულებებს, ხაზებს, გეომეტრიულ ფიგურებს და არაბულ წარწერებს შვის სხივები ეწნებოდა და თვალისმოშორებულად აბრწყინებდა.

შესასვლელთან მაგიდა იდგა. იდაუვებზედაურდნობილ ბიჭს წინ ბილეთები ეწყო. ერგაშმა ორი ბილეთი შეიძინა.

შეგნით ცალხელა კაცი დაგვხვდა. მან მავზოლეუმის აშენების თარიღი შეგვხსენა.

ფარშევანგის ბოლოსავით მოხატულ კერს მივაჩერდი. ერთმანეთში ათასი ფერი შენივთებულა. აგერ მეგონა ფერადუდიანი ზღაპრების წიგნს ვფურცლავდი.

ფერი წითელი და ლურჯი, მწვანე და მარჯნისფერი.

თემურ-ლენგის საფლავს შევხედე. თვალწინ საფლავები და აკვნები დამიდა — სიკვდილ-სიციცხლის ორი სიმბოლო. დრომ როდი იცის, რომ უველა აკვანი გასათლელი არ არის.

ქალაქი თონესავით ვარვარებდა. სიკვდილის ხეობაშიც კი არ იქნებოდა ასეთი სიციხე. მერე მზე გადაფრდდა, მიიწურა...

ჩაიხანას ეზოში ონკანთან თმახუჭუჭა ბიჭი ჩაცუტკულიყო, წინ ვეება თასი ედგა და ბრინჯს რეცხავდა.

ჩაიხანაში შევედით. ორი ქაბუკი გამეცნო, სადრი და ნეგმატი. მოგროვდნენ ნაცნობ-უცნობნი. მგზავრობის, ოჯახის და ჯანმრთელობის შესახებ მკითხეს. მერე გიტარა მოიტანეს, ააჟღერუნეს. კამათელი გააგორეს და ჩაი დაასხეს.

გარედან ხმაური შემოგვესმა. ქორწილიაო, მითხრეს. ერგაში გავიყოლდე გარეთ გავვარდი. ცხელი ქარი ქროდა, ქუჩა საგვს იყო ახალგაზრდებით.

რიტმულად ტაშს უკრავდნენ, ჩირაღდნებს ანთებდნენ და — იორ, იორ, იორ-ამი!

— იორ, იორ, იორ-ამი! — ერთხმად იძახდნენ.

ქარი ძლიერდებოდა. წინ სიძე და მისი მეგობრები მოდიოდნენ. მანქანებით მოსულან შორიდან. სანამ პატარძლის სახლს მიუახლოვდებოან.

ტოვებენ მანქანებს და კარგა მანძილზე ფეხით მიდიან. გამშული ტაშისცემა და შეძახილი მთელ ქალაქს ედებოდა.

— რას იძახიან? — კითხე მეგობარს.
— ნეფე-პატარძალს ლოცავენ.

მტკრიანი ქარი თვლებს გვახუჭვინებდა. მაურიონი იღებდა.

— ქარი კი არა წარღვანაც რომ იყოს, ჩვენებური სიუვარული ძალიან ძლიერიყო, — ამბობს ერგაში...

ჩაიხანაში დავბრუნდი. კვამლის ბული იდგა და ჩხარუნობდა კამათელი. მაგნიტოფონი ჩაურთავე. გამშული, ერთფეროვანი სევდიანი სიმღერები. ერთი რამ არ მავიწყდება. ძალზე ტკბილი ხმა აქვთ.

გაქუჩაზე ფლავი იხარშება. ფეხსაცმელი გავიხადეთ და ტახტზე ფეხთ მოვირთხეთ.

კიდეუ ერთი ახალგაზრდა გამეცნო. შარავი რქმევია.

— გურჯი ხარ?
— გურჯი ვარ!
— სადაური?

— მე უყოფილვარ თბილისში. — იღიბება შარავი. ალბათ, იფიქრა ვასი-ამოვნეო. მერე ფიალა მომაწოდა.

— დალიე, მწვანე ჩაი სიციცხლეს ახანგრძლივებს. — როცა რაიმეს გთავაზობენ, მარცხენა ხელს გულზე ეიდებენ.

— რახმატ (მადლობთ)! სვენებ-სვენებით მოვათავე. დალიეს და კიდეუ მომაწოდეს.

ერგაშმა ნესვები შემოიტანა. სუფრა გაშალეს, ხშიადი დატეხეს და სუფრის გარშემო შემოაწყვეს. ჩაი მოამარაგეს. მერე არაუცი მოიტანეს. ნეგმატმა მწვანილი მაწვნიო და ორი ლაგანი ფლავი ჩადა სუფრის შუაგულში.

ჩაიხანაში ყმაწვილი შემოვიდა. ხელი ჩამომართვა, სამუშაოდან მოვდივარო. კალოშები გაიხადა და ტახტზე გადმოვიდა.

— ჩემი ძუძუმტეა, — თქვა ერგაშმა. ვიფიქრე ქუდეშს მოიხდიან-მეთქი. უმეტესნი არახჩინებით დასხდნენ.

კოვზი მომაწოდეს. თვითონ ხელით შექცენენ ფლავს. მალე კოვზი გვერდით გადავდე. ფლავს თითებით მივწვდი, მერე თავი დავანებე. გემრიელია, მაგრამ ძალიან ცხიმიანი! კვიცის ხორცს ოდნავ მოშავო გემო დაჰკრავს.

— ხაი, — თქვა ანვარმა, არაუი გადაჰკრა. ფლავს მისწვდა და ცხიმდანი თითები გაილოკა.

„ხაი“ უველაფერს ნიშნავს თურმე. ერთმანეთს ემშვიდობებიან — ხაი! მოილაპარაკებენ და ხაი! სადღეგრძელოს ნაცვლადაც კი — ხაი!

გარეთ ქარი მძლავრობს. კარები ჩარაჟულია. ჩვენი ხალხების მეგობრობის სადღეგრძელო დავლიეთ...

ნესვი გაჭრეს და მარილი მოაყარეს. უტკბილესი იყო...


ჩაიხანაში ქუჩიდან იპარებოდა სინათლე. ფანჯრიდან შუქზე აციაგებული ნესვი მოჩანდა — დატყვევებული და მიტოვებული მთვარე.

ნელა მიიწყოლდნენ მატყლის ფაროებით დაწეწილი, თივთივი ღრუბლები.

ვარსკვლავები აციაგდნენ. თემურ-ლენგის მავზოლეუმი ელვარებდა, თითქოს კოცონი აანთესო ქალაქის შუაგულში.

რეგისტრაციის მოედანზე სულდგმული არ ქაქანებდა. ირგვლივ გაზეთები, ქალაქის ნაგებობები იყო მიმოფანტული. ქარს დაუფლეთავს უველაფერი, ახლა ალბათ შორს, უდაბნოებს აუენებს თავდაყირა.

რადიო-რეპროდუქტორიდან თარის კვინა ისმოდა.



ავთანდილ ჭყვიძე.



ანზორ გოგოლაძე.



გიორგი კურტიანიძე.

სამუშაო დღე იწყებოდა. ოსტატმა ივანე ფრიდონაშვილმა, ლითონსაჭრელი ჩარხის დგანის ჩამოსხმისათვის საჭირო კოპს ვულდასმით რომ სინჯავდა, აკაოფილებით გადახედა ბრიგადის წევრებს:

— დღეს კარგად ვმუშავეთ. მეგობრებო! ეს მეხუთე ზეგეგმითი კოპია!

მართალია, თბილისის ფოლად-თუქსასხმელი ქარხნის მესამე საუბოთო საამქროს საკოპე უბანზე საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულება იშვიათი მოვლენა არ არის, მაგრამ მაინც ყოველი ახალი წარმატება დიდ სიხარულს ანიჭებს მეკობეებს.

— კარგი ამბავია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ლავრენტი იანტმელიძეს კვლავ არ გავცდინა სამუშაო! — გულსტივილი თქვა ანზორ გოგოლაძემ.

— მართალი ხარ, ანზორ, მეც მაფიქრებს მაგ ბიჭის ამბავი. ვერ იქნა და ვერ მოვამლევინეთ ეს გაცდენა-დაგვიანება. ისე ცუდი ბიჭი არა ჩანს. რაღაც უნდა მოეუხეჩხოთ მათ.

ამ საუბარში იყვნენ მეკობეები, როცა საამქროში იწყებოდა გურამ ასათიანი შემოვიდა. ფრიდონაშვილი ახლა მას მიუბრუნდა:

— ეს უკვე მეხუთე ზეგეგმითი კოპია, ამხანაგო გურამ, თანაც ყველა კოპი საუკეთესო ხარისხისა!

— მარჯვე ხალხი ხართ! — შეაქო იწყებოდა მუშები. — ახლა იცით რატომ მოვედი თქვენთან. ქარხანამ სასწრაფო შეკვეთა მიიღო: ხუთ-ექვს დღეში თუჯის დგანები უნდა ჩამოვასხათ ახალი

ივანე დღის ბოლოს შინ დაფიქრებული მიადიკებდა. ახალგაზრდა კაცის ბედი აფიქრებდა. რა-მე ხომ არ შეემთხვა, რატომ არ მოვიდაო, ფიქრობდა: უცბად აზრმა გაუელვა. რკინა მაშინ იქედება, როცა ცხელია. მობრუნდა, ლიბანის ქუჩას დაუყვა ქარხნის საერთო საცხოვრებლისაკენ. საერთო საცხოვრებლის ერთი ოთახიდან საუბრის ხმა და სიცილ-ხარხარი ისმოდა. ივანემ იცნო ლავრენტის ხმა და კარზე დააკაკუნა. ოსტატის გამოჩენაზე იანტმელიძე სკამიდან წამოხტა და მოსულს მიეგება.

— ლავრენტი, თუ გცალია, გავიაროთ ცოტა ხანს, სუფთა ჰაერზე...

— რა ექნა ძია ვანო, შვერცხვი თქვენთან, გუშინ სიტყვა მოგვცით და ვერ შევასრულე.

— რა ვუყოთ, იქნებ ისეთი რამ შეგემთხია, რომ...

— არაფერიც არ შემემთხვა. ბიჭებმა ამიყოლიეს, წამო, თითო ბოთლი დავლითო. ერთს მეორე მოყვა და დილით თავი ველარ ავწიე.

— ეგეც ხდება ხოლმე ხანდახან, — მცირედუმლის შემდეგ უპასუხა ივანემ, — მთავარი კი ის არის, რომ კაცმა შეიძლოს და თავისი შეცდომა გამოასწოროს...

ამ საუბარში ბორცვზე ავიდნენ, იქიდან ხელისგულივით მოჩანდა ფოლად-თუქსასხმელი ქარხნის უზარმაზარი კორპუსები.

— გიორგი კურტიანიძეს ხომ იცნობ, ლავრენტი? ახალგაზრდა მუშამ თავი ასწია, იფიქრა, გაიციხვას გადავრჩიო, ივანესკენ მიბრუნდა:

ეკთი ნუთის ფასი

მოდელის ჩარხისათვის. არც ისე ადვილი საქმეა. ახალი ფორმის კოპებია საჭირო. აი ნახაზი. ოქვენ იმედი მაქვს. ხვალ დილიდანვე უნდა დაიკაპიროთ ხელები.

— იმედს არ გავიმტყუნებო, გურამ! — მოკლედ მოუჭრა ფრიდონაშვილმა.

მართლაც, მეორე დღეს დილიდანვე შეუდგნენ ოსტატები ახალი დავალების შესრულებას. საქმე შეუფერხებლად დიწყეს. წუთსაც არ კარგავდნენ უქმად, საქმით გარეული ივანე ხშირად გაპხედავდა ხოლმე საამქროს კარს, იქნებ ლავრენტი იანტმელიძე გამოჩნდესო. წინაღობა შინ რომ მიდიოდა, ქუჩაში შეხვდა, დაარიგა, თანაც გააფრთხილა, მეტად პასუხსაგები დავალება მივიღეთ და ხვალ აუცილებლად მოდი სამუშაოზეო. ლავრენტი დაპირდა, მაგრამ... დრო გადიოდა, საცაა შესვენება დაიწყებოდა, ის კი არა ჩანდა.

ივანე ფრიდონაშვილს უკვე მერამდენე წელია ავტოტატობა აქვს მინდობილი. მონდომებითაც მუშაობს. მის სიტყვას და რჩევას ყველა ანგარიშს უწყევს, მაგრამ ამ ბიჭზე, ამ ახალგაზრდა მუშაზე არ იქნა და არ გასჭრა მისმა სიტყვამ. ვინ იცის რამდენჯერ ესაუბრა მისივე ამხანაგების ვაჟკაცურ შრომაზე, მრავალი ცოცხალი მაგალითიც დაუსახელა. ლავრენტი თითქოს ყოველთვის გულსყუროთ უსმენდა, მაგრამ შემდეგ ყოველივეს ივიწყებდა. ფრიდონაშვილი ფარხმალს მაინც არ ყრიდა.

იმ დღეს დიღხანს მოელოდნენ ლავრენტის გამოჩენას ივანეც და სხვა მუშებიც.

შესვენებაც დამთავრდა. მეკობეები კვლავ შეუდგნენ საქმეს. ლავრენტი არ ჩანდა.

— ხედავ, ვანო, ლავრენტი არა მართო სამუშაო გავცდინა, სიტყვაც გაგიტეხა. გუშინ ხომ შეგპირდა მოვალეო, — შეახსენა ოსტატს გივი არველაძემ.

— სე მეკითხები, თითქოს უცხო ვიყო... კურტიანიძეს ვინ არ იცნობს! სასახელო კაცია.

— მართალი ხარ, გიორგი სამაგალითო ადამიანია. აგერ, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მისცეს. ხალხიც აფასებს და პარტიაც. ათეული წლებია ვიცნობ და ერთხელაც არ გაუცდენია სამუშაო უმიზეზოდ. თუ კაცს საქმე უყვარს, ერთი წუთითაც არ უღალატებს მას. მაშ შენ რათ აიყარე გული საქმეზე? იქნებ რაიმე გაუწუხებს, გიჭირს. გულში ნურაფერს ჩაიხვევ, შენი ახლობლები ვართ, გვითხარი, დაგვხმარებთ, შეგეშველებით...

ლავრენტი გულსყუროთ უსმენდა უფროს ამხანაგს. ივანე განაგრძობდა.

— ჩვენს ქარხანას მრავალი ჰყავს გიორგისთანა ოსტატი. აი თუნდაც ვასილ ბოროდავკა. სოციალისტური შრომის გმირია. უყვარს ქარხანა, სადაც მუშაობს, პატივს სცემს კოლექტივს და მისი გამარჯვებისათვის ენერგიას არ იშურებს. იცი რა-შეა მუშათა კლასის ძალა და ღონე? თაობიდან თაობაზე გადადის ეს მშვენიერი ტრადიცია. კარგად დაწყებულ საქმეს კარგი განმგრძობი უნდა. ვინ უნდა გააქეთოს ეს, თუ არა შენ და შენმა ტოლებმა. თქვენ ხომ ახლა იწყებთ შრომასაც, ცხოვრებასაც და მით უფრო უკეთესია, რაც უფრო კარგად, ლამაზად და სახელოვნად დაიწყებთ მას.

— ნუთუ გგონიათ, რომ ჩემი ქარხანა მე არ მიყვარს?

— ამას საქმით უნდა დამტკიცება! აქ ცარიელი სიტყვით ვერაფერს გახდები.

ლავრენტი თანამოსაუბრეს შეხედა. ივანე ფრიდონაშვილი ფიქრით გაპყურებდა სივრცეს.

— გამოგიტყდებით, გუშინ სიტყვა რომ მოგვცე, — მოვალ-მეთქი, მოვდიოდი კიდევ, მაგრამ გზაზე ბიჭები შემხვდნენ და ამიყოლეს. მოე-



გომენატრებით, ჩემო ველებო
და გული იწვის თქვენთან შეხვედრით,
მეალერსებით, მესახელებით.
და მეც შორიდან გკოცნით, გეხვევით.
კვალი გატყვიათ ჩემი გუთნისაც,
სულ მერხინია. არ დამეკარგოს...
იმ გუთნისდედას,
იმ ჩვენს გულთმისანს,
რითი ვარგო და როგორღა ვარგო!
ასე ყოფილა წუთისოფელი,
ხნულიდან გვერდზე გახვალ, მიდიხარ...
გეძახის, გიხმობს მიწა შშობელი,
— ისევ მჭირდები! ისევ მიწისხარ!
შენ წაუყრუებ, გული ცვიდება,
და ღარიბდები შენივე ნებით...
სევდა მოგძებნის აუცილებლად,
ფიქრით გზას უკან გაუდევნები.
მაგრამ ეს ფიქრით...
ეს მხოლოდ ნატვრით...
მხოლოდ ოცნებით სოფლად ბრუნდები.

შენ მისი ღერო,
შენ მისი ბარტყი,
სოფელს სიყვარულს ებუღბუღები.
იმ გუთნისდედას,
იმ ჩვენს გულთმისანს,
რად განუდექი?
რად გაეცალე?
იქ გისამხრია,
იქ წყარო გისვამს,
ოცნების ფრთებით ასულხარ ცამდე...
ახლა შორიდან ეალერსები,
რატომ და რისთვის?
რისთვის და რატომ?
გული ტყვილით. სევდით გევსება,
მამულში ხარ და მის სიტკბოს ნატვრით!


ჩემი მასპინძელი

ასე გულდაგულ რატომ ირჩები...
ისედაც მავსებს სოფლის სურნელი,
მე დამიჭერე
მხოლოდ და მხოლოდ
ვიყავი შენი ნახვის მსურველი.

მხოლოდ ამიტომ გესტუმრე იცი...
შენ კი დარბიხარ,
სტუმრისთვის ცდილობ,
შემომაგებებ ღიმილს და სიცილს...
და ჰა, ხელდახელ სუფრაც გაშლილა.
ასე ძალიან რომ გიხარია,
ის არის მხოლოდ ჩემთვის მთავარი,
მენატრებოდი დიდი ხანია
და დღეს ვარ შენი ეზოთ დამთვრალი.

ასე გულდაგულ რატომ ირჩები,
ქალო, მცინარო ამ ვაჟკაცებთან,
თავჩალუნული ხმედან ბიჭები,
ეჭვით უმზერენ შენს ალტაცებას.

შენ კი სუფთა ხარ,
როგორც მთის წყარო,
წყაროსავითაც მიტომ იცინი,
სბეტაკი გრძნობით გულეებს მიმწვდარო,
არ მიიკარო სუსხი, სიცივე.
ეგ გულის ცეცხლი არ გაგინელოს,
არც დრომ,
არც ეჭვმა
და არც ცდუნებამ...
მინდოდა წუთით რომ შემომეველო,
უბრალოდ მსურდა მონახულება...
ცა მოიქედა ვარსკვლავთ გუნდებით.
ბოლო არ უჩანს, — გრძელდება ღმინი,
ახლა გამიშვი ჩემი ღილინით,
ახლა გამიშვი,
კვლავ დავბრუნდები...



მარცხნიდან: გივი არევაძე, ივანე ფრიდონაშვილი და გიორგი კუტივაძე.

ლი დღე უქმად დავკარგე. ახლა კი ვნანობ, მაგრამ
გვიანია.
ივანეს ვულში მოხვდა ახალგაზრდა მუშის ეს
სიტყვები, ჩანს, ჩემს ნალაპარაკებს უშედეგოდ არ
ჩაუვლიათ, ვაიფიქრა, ხვალ დილით საერთო სა-
ცხოვრებელში გაეუფელი და ერთად წავალთ სამუ-
შაოზე.
ისინი ერთხანს დუმდნენ. უკვე ღამის ბინდი ჩა-
მოწვა.
დაბლა ნაირფრად ციმციმებდა ავტოალე მეტა-

ლურგთა დასახლება. მრავალსართულიანი საცხოვ-
რებელი სახლები, საშუალო სკოლა, საბავშვო ბა-
გა-ბალო, საყოფაცხოვრებო კომბინატი, მუსიკალუ-
რი სკოლა, კლუბი, კეთილმოწყობილი ქუჩები.
— ჩეხოვი ვაგიგონია? — ჰკითხა ბოლოს ივა-
ნემ.
— როგორ არა, ძია ვანო!
— ჰოდა, აი, დაუგდე ყური რას ამბობს.—ფრი-
დონაშვილმა უბის წიგნაკი ამოიღო და ჩანაწერი
წაიკითხა: „თუ ეკელა ადამიანი მიწის თავის ნაყ-

ვეთზე ვაკეთებს იმას, რაც მას შეუძლია, რა
შეგნისიერი იქნება დედამიწა“. ჩვენი მიწის ნაყ-
ვეთი კი, ჩემო კარგო ლავრენტი, ჩვენი ქარხანაა,
ჩვენი საამქრობები, ჩვენი დაზგები, სადაც მე და
შენ ვმუშაობთ.
ივანე ფრიდონაშვილი და ლავრენტი იანტმელი-
ძე მეორე დღეს საამქროში ერთად მოვიდნენ. ივა-
ნეს გზადაგზა უკვე გაეცნო ლავრენტისათვის, თუ
რა უნდა გაეკეთებინა დღეს და ისიც დროის და-
უკარგავად ჩაება შრომის ფერხულში.
შესვენებამდე კარგად იმუშავეს მეკოპებმა,
თითქმის შეასრულეს მთელი დღის ნორმა. ლავ-
რენტი სამი კოპის დამზადება და მეოთხის დაწ-
ყება მოასწრო. ხინჯი არ გამეზაროსო, ყურადღე-
ბით სინჯავდა ყოველ ძეშა სავობე ნაზავს და
გულმოდგინედ აძლევდა მას საჭირო ფორმას...
ივანე ფრიდონაშვილი ღროდადრო გადახედავ-
და ბეჭითად მომუშავე იანტმელიძეს და თავის-
თავს ეუბნებოდა: თუ გინდა ადამიანი სწორ გზა-
ზე დააყენო, უნდა ჰგრძნობინო, რომ შენ მისთვის
სიკეთე გინდა, რომ შენ მისთვის ზრუნავ, რომ
შენ მისი მეგობარი ხარ.
მას შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა. ფოლად-თუჯ-
სასხმელი ქარხნის საყალიბო საამქროს საკოპე
უბნის მეკოპებმა მრავალი სასწრაფო და სა-
ხელდახელო დავალება შეასრულეს. ქარხანამ წარ-
მატებით დაამთავრა მეცხრე ხუთწლედის პირვე-
ლი წელი და კარგად დაიწყო მეორე წელი. მეკო-
პეები კვლავ წინა საზღვე არიან. მოწინავეთა შო-
რის მტკიცედ დგას ახალგაზრდა მეკოპე ლავრენ-
ტი იანტმელიძე. ახლა მან გამოცდილ მუშებზე
ნაკლებად როდი იცის სამუშაო დროის ფასი, ერ-
თი წუთის ფასი.
კომუნისტ ივანე ფრიდონაშვილსაც სიამაყით ევ-
სება გული, როცა საქმეს მარჯვედ შეგვიდებულ
ახალგაზრდა მუშას გადახედავს ხოლმე.
აი, რამდენი რამ შეუძლია კეთილ სიტყვას —
აგიტატორის მთავარ იარაღს.

შალვა გულუა

გაუზანსავით გაცხი ვაჟ

1970 წლის ივლისის თვეში ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დათვალიერების დროს, საბჭოთა პერიოდისაღმე მიძღვნილ ოთახში, ჩვენი ყურადღება მიიპყრო სტენდზე გამოფენილმა გიორგი ლეონიძის ფოტოსურათმა და მის ქვეშ მოთავსებულმა უკვე შეძველებულმა ოთხმა ფურცელმა. იმის გამო, რომ მათზე ნაწერი ცუდად იკითხებოდა, მივმართე მუზეუმის დირექტორის სოფიკო ორჯონიკიძეს, შევეცით ამ ექსპონატების თაობაზე.

— ორმოცდაშვიდი წლის ჯაფხულში ჩამოვიდა აქ ლეონიძე, — მითხრა მან, — მოინახულა ისტორიული ძეგლები... და რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად ჩვენს მუზეუმშიც მოვიდა. დათვალიერებისას ბევრი რამ მოგვიწონა, მოგვცა ზოგიერთი რჩევა-დაჩვენება; „იცოდე ჩემო კარგო, — უთქვამს მამინ გიორგის, — მუზეუმს ყველა ვერ გაუგებს, ვერ შეეგუება... ახალგაზრდა ხარ და შრომას ნუ შეუშინდები. ვინც მუზეუმს ნამდვილ ფასს გაუგებს, ის ვეღარ შეეღება მას და თვითონაც სამუზეუმო გახდება“ — სიცოცხლით დაუმთავრებია დიდ პოეტს.

გიორგი ლეონიძეს გულდასმით დაუთვალიერებია მუზეუმში დაცული ხელნაწერები და როცა ჭერი „ვიწე მესხის“ — ი. გვარამაძის ხელნაწერებზე მიმდგარა, პოეტს მცირე დროის შემდეგ უთქვამს დირექტორისათვის: „იცო, ჩემო სოფიკო, მეც შენსავით მესხ ვარ“, და თანაც კედელზე მიმაგრებულ საქართველოს რუკაზე, თურქეთის მიერ მიტაცებულ მიწა-წყალზე მიუნიშნებია ის ადგილი, სადაც მისი წინაპრების სოფელი იყო. ს. ორჯონიკიძის გადმოცემით, გლეონიძეს უთქვამს: მესხეთს რომ უბედურება დაატყდა თავს, ჩემი წინაპრები ამ სოფლიდან აყრილან. პატარძელში ჩასახლებულან და კახელები გამხდარანო.

გამოთხოვებისას პოეტს რაიონის ხელმძღვანელთათვის უთხოვია, რომ საქმიანად დახმარებოდნენ და ხელი შეეწყობთ მუზეუმისათვის. ს. ორჯონიკიძის თქმით, თავათ პოეტი ამ დროიდან მოყოლებული ყურადღებას და ზრუნვას არ აკლებდა მუზეუმს.

გიორგი ლეონიძის თაოსნობით 1966 წელს მესხეთში მოეწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია. მასში მონაწილეობდნენ აკად. ალ. ბარამიძე, პროფესორები მ. ჩიქოვანი, მ. დედუჩივა და სხვები. სესიის მონაწილენი დანიშნულ დროისათვის ჩასულან ახალციხეში, მაგრამ თავათ პოეტი იმ ხანად მძიმე ავადყოფილა, და მესხებისათვის შემდეგი წერილი გაუგზავნია:

„ძვირფასო დებო, ძმებო, მეგობრებო, მესხნი — ახალციხელნი! ანაწდელ ავადყოფობის გამო, რაჟი სესიის პროგრამის მიხედვით ვერ ვკითხულობ ჩემს დათქმულ სიტყვას რუსთაველზე, ნება მომეცით, ორი სიტყვით მაინც მოგილოცოთ, დიდი „მესხი მელექისი“ საზეიმო მსვლელობის დაწყება შოთას მშობლიურ კუთხეში, რუსთაველის მხარეში. სალაში დიდებულ მესხეთს! წლევიანდელი წელი მას ეკუთვნის, სიამაყით ხარობს ქვეყანა მესხისა, თავისი ნათელი შვილის შარავანდედით გაბრწყინებულთ. ეს ხომ მესხეთის ცაზე ოქვა რუსთაველმა: მშობლური, ტბილი, მოწყალე, ცა წაალობისა მთოველი! ხარობს ძველი მესხეთი! — დიდი კერა და საყვანე დიდ მომღერალთა და მხატვართა, დიდ მეცნიერთა, დიდ სარდალთა, დიდ მოღვაწეთა — მესხეთი მთაწმინდელუბის, მერჩულეების, ზარზმელეების, ახალციხელების, პეტრაწის, ოპიზარების, თოგველების, მესხეთი — სამეცადრებელი რუსთაველისა! ოდესაც დიდი და ძნელი მონობის გადამტანი, აკლებული, გათქვრილი, გაყიდული, სისხლით მორწყული მესხეთი თითქოს სანაცვლოდ ბედმა რუსთაველის ბედნიერი სახელით დააქილდოვა! და სამართლიანადაც ამაყობს და ზეიმობს ამ უკვდავი სახელით, რომელმაც მესხეთსა და მთელ საქართველოსაც უკვდავება მისცა! და განა მხოლოდ ზეიმი! რუსთაველის სახელი, მისი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ მოგვაგონებენ ჩვენს მოვალეობას — პამულიშვილობისას, ჩვენი ქვეყნის აღორძინებასა და გაიღვივებაში ჩვენი წვლილის შეტანისას, კერძოდ, მესხეთის პატრონობისას.

„ვეფხისტყაოსანი“ ყოველწამებრად გავახსენებს ჩვენი ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას, ქართული ენის ფაქიზად შენახვას, ზნეობის დაცვას, ერის გამრავლებას და ეროვნულ აღზრდას:

დადგით მესხეთში აყენები
აღზრდეთ კვლავ რუსთაველი!

ღიას. სამასი წლის მონობით დაჩუქებულ მესხეთს მართებს გადაიხადოს ეალი სამასი წლის აჩუქების. დაე, ახალი სახელებით ამეტყველდეს მესხეთის მდიდარმოსავლიანი მამული. კვლავაც მოგვეცენ ახალი წიგნები, ახალი ნაგებობანი მესხეთა შემოქმედთა, ახალი „ვეფხისტყაოსანი“, თოგვი და ვარძია. ახალი დიდი კულტურა!

რუსთაველის სახელი თითოეულ ქართველს და კერძოდ თითოეულ მესხს ავალებს, რათა შრომითა და შემართებით, ნიჭიერებითა და მხნეობით, ვაჟაკობითა და მამულიშვილობით ვასახლოთ ქართველი ერი და ვადიდოთ საქართველო უკვდავი შოთას მშობელი.

ამაში დიდება რუსთაველისა!
კიდევ სალაში!

თქვენი გიორგი ლეონიძე


21 აპრილი 1966 წელი, ქ. თბილისი.

როდესაც სოფიკო ორჯონიკიძემ გ. ლეონიძის წერილის კითხვა დაამთავრა, დასძინა: „ეს სიტყვა სესიის გახსნის დროს იქნა წაკითხული და დამსწრეთ იგი დიდის გულისყურით მოისმინეს, შემდეგ გადმოსცეს მუზეუმს დასაცავად. ჩვენ იგი გადავწერეთ, რადგან იმთავითვე ცუდათ იკითხებოდა და, თუ არ ვცდები, მგონი აქაურ გაზეთშიც გამოვქვეყნეთ. თავათ სიტყვა, როგორც ხედავთ, უბის წიგნაკის 4 ფურცელზეა დაწერილი. პოეტი უკვე მძიმე ავადყოფობას შეეპყრო, ეს ნაწერსაც ეტყობა: სხვადასხვა მელნითაა დაწერილი და ასობი ზოგან ძლივს ჩანს. მიუხედავად ამისა, ამ ნაწერში იგრძნობა ადრინდელი სულიერი სიმტკიცე და მესხური შემართება. რაც შეეხება ამ ფოტოსურათს, — დასძინა სოფიკო ორჯონიკიძემ, — როდესაც შევიტყვე, რომ პოეტი გამოკეთდა, პირადად მოვიწველე იგი ლიტერატურის ინსტიტუტში და ვაცნობე, რომ მისი „მესხთა მიმართ“ ინახება ახალციხის მუზეუმში და ვთხოვე მას მუზეუმისათვის სახსოვრად გადაეცა ფოტოსურათი ავტოგრაფით“.

* * *

ახალციხის მუზეუმში სტუმრობამ მომცა სტიმული მეც გამეზარებინა ჩემი მოგონებები მეითხველისათვის. გიორგი ლეონიძესთან დაახლოებული ვიყავ. არაერთი საგულისხმო აზრი გამოუთქვამს პოეტს საუბრის დროს ამა თუ იმ საზოგადო საკითხზე; მათი გამომწერება, ვფიქრობთ, საშური საქმეა, რადგან დრო პირვინებას და მის მესხიერებას არვითარ შეღავათს არ ჰპირდება.

გ. ლეონიძე, როგორც პოეტი, ყრმობის წლებიდან შემავყარეს დაბა ბაღდათში (ამჟამად მაიაკოვსკი) მინაგო ფურცელაძის ოჯახში სტუმრად ჩამოსულმა მომღერლებმა. ისინი იმ ჭერად იქ



კონცერტებს აწყობდნენ და თავიანთ რეპერტუარში, სხვა ქართველ პოეტების ქმნილებათა გვირდით, ლეონიძის სახმელერო ლექსებიც ჰქონდათ შეტანილი.

ეს მომღერლები თვითონ თხზავდნენ ამა თუ იმ ავტორის ლექსისათვის მუსიკას და ასრულებდნენ მათ თარის, ჩონგურის, სალაშურის, დოლის, ზურნა-დუდუკის და ფანდურის თანხლებით. ისინი შესანიშნავად მღეროდნენ ადგილებს ლეონიძის ეპოპეიდან „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“, „ვეფხისტყაოსანს“ და სხვ.

გიორგი ლეონიძე განეკუთვნება იმ რჩეულ პოეტთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაც ერის სულიერ საზრდოდ იქცევა ხოლმე. ჩვენ ამაში ომის წლებმა ერთხელ კიდევ ნათლად დაგვარწმუნა; როცა ოჯახში ან სადმე საზოგადო თავყრილობის დროს სიტყვა ომში დაღუპულთა, თუ უგზო-უკვლოდ დაქარგულთა გამო ჩამოვარდებოდა, არ შეიძლებოდა მისი „არ დაიდარლო დედაო“ არ გაეხსენებინათ.

ერთი სიტყვით, დიდი იყო ომის წლებში ლეონიძის ლექსის უხილავი ძალა. ვფიქრობთ, ამან განაპირობა ისიც, რომ ბევრი ეს ლექსი იმთავითვე სიმღერად იქცა.

მე თავიდანვე ექიმის სპეციალობა ავირჩიე, მაგრამ პოეზიისა და მწერლობისადმი სიყვარული ამან როდი გამინელა. მით უმეტეს, რომ ინსტი-

ტუტში აღმოჩნდნენ ამხანაგები, რომლებიც ასევე თაყვანს სცემდნენ ჩვენს მწერლობას და პოეზიას. და აი, ერთ მშვენიერ დღეს უკვე მესამე კურსის სტუდენტებმა — გ. სარალიძემ, რ. სიგუამ, ე. დოლიძემ, ი. კიკვიძემ, ი. გოგობერიძემ, კ. გეგუაძემ, ც. ანდრიაძემ და სხვებმა გადაწყვიტეს მოგვეწყო საღამო-შეხვედრა და ჩვენი მადლობა გვეთქვა იმ ადამიანებისათვის, ვინც ჩვენს წმინდობასთან ერთად გვზრდიდა, ომის წლებში სულიერ სიმშენვეს გვინერგავდა; იმჯერად ჩვენი არჩევანი პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეზე შევაჩერეთ. ჩვენი განზრახვა ინსტიტუტის დირექტორს კონსტანტინე ერისთავს ვაცნობთ. მან უშუალოდ თანხმობა მოგვცა. საღამოში მოწვეულების სურვილი გამოთქვეს აგრეთვე მეზუთე კურსის სტუდენტებმა — ე. ქურდიანმა, შ. ანდრიაძემ, თ. მათიკაშვილმა და სხვებმა.

შევადგინეთ პროგრამა: გ. ლეონიძის შემოქმედებაზე მოხსენების წაკითხვა დაევალა გ. სალარიძეს, ეპოპეა „ბავშვობა და ყრობა“ — ე. დოლიძეს, გ. ლეონიძე, როგორც მკვლევარი — ი. კიკვიძეს, ხოლო დანარჩენ ამხანაგებს, მათ შორის მეც, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები უნდა წავკითხა და მისასაღებელი სიტყვები წარმოგვეთქვა.

ერთ დღეს გ. სალარიძე, რ. სიგუა და მე პოეტს ბინაზე ვესტუმრეთ. შინ დაგვიხვდა, შეგვიპატიუთაის სამუშაო ოთახში და გვთხოვა დავმსხდარიყავით. მერე სათითაოდ ვინაობა გამოგვკითხა და მისვლის საბაბითაც დაინტერესდა. ჩვენ გავცანით ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის კომპოზიციის ორგანიზაციის და დირექციის გადაწყვეტილება, მისთვის შემოქმედებითი საღამოს მოწყობის თაობაზე და ვთხოვეთ თანხმობა.

პოეტმა სამივე აგვათვალღიერ-ჩუგვათვალღიერა და ღიმილით თქვა: აბა ამისთანა კარგ ბიჭებს ჰქარი როგორ გაგიბედოთ. თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით — თუ საღამოზე წამოვიტყვის გრძნობა იქნება დაცული. ჩვენ თანხმობა მივიცით და ვთხოვეთ გ. სარალიძეს პოეტისათვის საღამოს პროგრამა წაეკითხა. გიორგის ეტყობოდა, მოეწონა ჩვენი პროგრამა; გ. სარალიძემ პოეტს სთხოვა მოეთხრო მისი ბიოგრაფიიდან რაიმე ისეთი, რაც ფართო საზოგადოებისათვის ჭერ-ჭერობით უცნობი იყო. პოეტმა მირავალი საგულისხმო ამბავი გაიხსენა, ამ ნაამბობიდან ბევრი რამ მან მოგვიანებით „ნატვრის ხეში“ გააცნო მკითხველს.

ბუნებრივი იყო, რომ სულ მალე საუბარი სამედიცინო თემებზე ჩამოვარდებოდა და პოეტმა ჩვენს მომავალ პროფესიაზე დაიწყო ლაპარაკი.

— აი, თქვენ დღეს თუ ხვალ ექიმები იქნებით, როგორ მოგწონთ ამორტიკანერ-ექიმთა საქმიანობა... ამგვარი „სპეციალისტები“, ჩემის ღრმა რწმენით, საქართველოს მტრები არიან და ნამატზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ გზით ვინ იცის რა ნი-

ჭის მქონე ადამიანებს არ უღებენ ისინი ბოლოს, — თქვა პოეტმა. იქ მყოფებმა ჩვენი კურსის ამხანაგების სახელით აღუთქვა პოეტს, რომ ვიბროძობდით ამგვარი „სპეციალისტების“ წინააღმდეგ და პირადი ცხოვრებითაც და საქმიანობითაც მივცემდით ყველას მაგალითს ყველა ამგვარ უწესობასთან საბრძოლველად.

ჩვენ ვუამბეთ პოეტს იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებს ჩვენი ინსტიტუტი და პირადად ჩვენ რუსთავის და სამგორის, მშენებლობებზე, როგორ ვამწვანებთ კუს ტბის და ვაკის მომავალი პარკის მიდამოებს და საკუთრად სამედიცინო ქალაქის ტერიტორიასაც.

პოეტს ესაბოვნა სწავლის გველით ჩვენი შრომითი საქმიანობის ამბავიც და გახარებულმა სთქვა: ახალი მშენებლობები, მარტო თქვენ კი არა, პოეტებსაც ახალ შთაგონებას გვაძლევსო. მე კარგა ხანია ვმუშაობ პოემა „სამგორზე“, მოკლე ხანში დავამთავრებო. ჩვენ ვთხოვეთ პოეტს რამდენიმე ადგილი წაეკითხა ამ პოემიდან.

გ. ლეონიძემ გვითხრა: რა ვქნა, ვიდრე ნაწარმოებს მთლიანად არ დავასრულებ, ჩვეულებად არ მაქვს წინასწარ ვინმეს იგი წავუკითხო, მაგრამ ამჟამად რა გეწყობა, ჩვეულებას უნდა ვუღალატო. მხოლოდ ისეთ ადგილებს წავგიკითხავთ, რომლებიც როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მაქვს დაწერილი და მათ, ალბათ, პოემის საბოლოო გადახედვის დროს ხელს აღარ ვახლებო, და შემდეგ თავის ლომისებრ ბუხუნა ხმით წაიკითხა:

სუფრის გამშლელი ქალები...
პირველ თბილისის ქალები...
ფერთოვლი დილაგარდისა,
რიყრაყის ნაშუქალები...
ქე სიყვარული დამწამდა...
ვერცხლის თვალბის წამწამთა...
სიცოცხლე მაშინ დამწარდა,
თუ მათ არ მივეთვალე...
თქვენი ყაყაროს ტუჩები...
ბუღმურული თვალბები...

ამას გარდა, პოემიდან კიდევ რამდენიმე ადგილი წაიკითხა.

ჩვენი აღტაცება პოეტს გაუფიქრებელი, ის დიდად ნასიამოვნები დარჩა. შემდეგ ვთხოვეთ პოემის ჩვენთვის ნაცნობი ადგილები ჩვენი ამხანაგებისთვის საღამოზე წაეკითხა. წამოსვლას ვაპირებდით, რომ შეგვაჩერა, გვანიშნა დავმსხდარიყავით და გვითხრა — „სამგორს“ დალოცვა სჭირდებაო. ამის შემდეგ რაღა გვეთქმოდა, სამივემ ფარხმადი დავყარეთ და პოეტის ნება-სურვილს დავემორჩილეთ. ამიერიდან გვინდოდა გვეხილა იგი, როგორც მასპინძელი და თამადა.

ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ გიორგი ლეონიძე ისეთივე ხელგამოწილი და გულუხვი იყო თავის სუფრაზე, როგორც თავის პოეზიაში.

საღამო-შეხვედრა მოეწყო 1947 წლის 28 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ციკავშირის კლუბში (ლენინის მოედანი, № 7). ხალხით გაჭედო დაარბაზში სინათლემ ჭერ იკლო, მერე უდევრად ზომბაზე მეტად იმატა. სცენიდან ფარდის წინ გაისმა:

ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბალი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიბის,
სურნელუბოს დაჰქარის ქარი.

ამ დროს ფილო დარბაზის კარი, გაისმა მრავალყამიერი, სტუდენტთა გუნდმა დარბაზში პოეტი შემოიყვანა, ატყდა ტუჩი და როცა გუნდი მას სცენისაკენ წაუძღვა, ფარდამ ნელ-ნელა იწყო გახსნა, ხოლო დარბაზის ორივე მხარე პოეტს მხრებზე და ფეხქვეშ უყვავილებს აყრიდნენ. მთელ დარბაზს ენით გამოუთქმელი საყიგო ელფერი დაეფუფა.

მოხსენებების შემდეგ მე, პირველს მხვდა ბედნიერება წილად წამეკითხა პოეტისადმი მიძღვნილი ჩემივე ლექსი. უნდა გამოვტყდე, იმ დღეებში ნაადამყოფარი ვიყავ და საოცრად ველლავდი, სიცხე ისევ მქონდა. მაგრამ ყველაზე უფრო იმისი მეშინოდა; ვაითუ კითხვისას ხმამ მიღალატოს და ხალხს და პოეტს გუნდ-განწყობა წავუბღინო-მეთქი. ჩემი შიში ამო გამოდგა, ლექსი კარგად წავიკითხე. პოეტი ჩემსკენ გამოემართა, როცა მომიახლოვდა, მე, სამახსოვრო ფურცელზე დაწერილი ლექსი გავუწოდე. მან ხელი მომკიდა, თავისკენ მაგრად მიმიზიდა, შუბლზე მაკოცა და გოცუბულმა დაბალი ხმით მითხრა: „ექიმო, სიცხე გაქვს, მაგონ ავდა ხარ, თავს მოუარეო“, მერე ისევ მაკოცა და გამოჯანმრთლება მისურვა... დარბაზი კი ტაშს უკრავდა...

კვლავ ლექსების კითხვა, მისაღებები და ბოლოს კონცერტი. სხვა სიმღერებთან ერთად, შესრულებული იქნა პოეტის ტექსტზე დაწერილი სიმღერები. დამსწრე საზოგადოება და თვით პოეტი დიდად კმაყოფილი დარჩნენ იმ საღამოთი, ხარობდნენ ჩვენი მასწავლებლებიც. საღამოდან პოეტი მის საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე მიიწვიეს. იქ რა მოხდა, ვერ გეტყვით, რადგან მე, სიცხიანმა მაშინვე სტუდენტთა ქალაქს მივაშურე. მეორე დღეს ამხანაგებმა გადმომცეს პოეტის ფოტოსურათი (აქვე ვაჭვევებთ), რომელიც მას გამოგვავნა ჩემთვის სამახსოვრო წარწერით. მათვე მიაბამეს: ვახშამმა კარგად ჩაიარა, ოღონდ გიორგი სწუხდა შენი ავადმყოფობის გამოო.

როცა მოვიკეთე, პოეტი ვინახულე ლიტერატურულ მუზეუმში, ვისაუბრეთ და ყურადღებისათვის მადლობა მოვასხენე. დამწვიდობებისას პოეტმა მთხოვა — ხშირად შემომიარე, ნუ დამივიწყებო. მას შემდეგ პოეტს დროგამოშვებით ვნახულობდი ხან ლიტერატურულ მუზეუმსა და ხან ინსტიტუტში.

პავლე ფირფილაშვილი.

პლარ ქარძევეძე

ს ა ლ ა მ ო

ნუთუ ეს არის რასაც ვეძებდი,
ნუთუ, ესაა სულ ყველაფერი?
როგორ ბრჭყვიანებს შენი ბეჭედი
ჩამავალი მზის სხივით ნაფერი.
ქარებს მივდევთ, თუ ქარი მიგვდენის
ისევ ფრიალებს შენი მანდილი,
რა ცოტა დაგვრჩა დღე გუშინდელი,

როგორ იზრდება დღე დღევანდელი.
რა ვქნათ,
რა ვუყოთ,
როგორ მოვრიგდეთ?
კლებულვობს სივრცე — ტუავი შაგრენის.
დამიდასტურე, ჩემო თოლიკო,
რომ მეც საკუთარ გზებს მივაგენი.
დამიდასტურე ძველი ზღაპარი,
აღსავსე ღელვით და ურუნტელით,
იმედის კალთა გადამაფარე
და დამბრუნე დილის ნათელი,
რომ ვთქვა, ვიპოვე, რასაც ვეძებდი,
რომ არ არსებობს სხვა არაფერი,
რომ კვლავ ბრჭყვიანებს შენი ბეჭედი
დილის ცინცხალი სხივით ნაფერი.

ტ რ ა მ ვ ა ი

შეიცვალა ბუნება და ჰავა,
ოქროსფერი დასდებია ბალებს,
ტრამვაი რომ დიდუბისკენ წავა,
გაიყოლებს სევდასა და ნაღველს.

მაგონდება შენი მეზობელი —
ფანქარასთან გადმომდგარი ცირა,
ხეტიალი ქუჩა-ქუჩა ჩვენი,
ტრამვაი... შუაღამე... წვიმა...

როგორ ვთხოვე ერთხელ ცირას ხელი
და ლოდინში როგორ დავიდალე.
სად წავიდნენ, საით გაქრნენ დღენი,
საუკუნე საით მიგვაქანებს!

თელავს მეგობრები ეწვივნენ

რაიონული გაჯათის ფარულაზე

საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური ოჯახის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე — ეს დიადი ისტორიული თარიღი — ახალ სიხარულს, ხალისს, შემოქმედებითი ძალების ახალ მოზღვავებას იწვევს ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. ზეიმისათვის მზადების პათოსით და რიტმით არის გამსჭვალული ჩვენი ყოველი დღე. ეს იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე, ფაბრიკა-ქარხნებსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებში, და ყოველივე ეს თავის ნათელ გამოხატულებას პოელობს ჩვენს პრუსაში.

ამას წინათ თელავის რაიონულმა გაზეთმა „ლაზნის განთიადმა“ მთელი ნომერი მიუძღვნა უკრაინელ, სომეხ და აზერბაიჯანელ მშრომელთა დელეგაციების სტუმრობას. ეს იყო ზეიმიც და უაღრესად საქმიანი შეხვედრაც, რომელსაც მოძიებ რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმართა გარდა, ესწრებოდნენ მეზობელი რაიონების გორისა და ზესტაფონის მშრომელთა დელეგაციები. სტუმარ-მასპინძლებმა ურთიერთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, შეამოწმეს სოციალისტური შეგებრების მიმდინარეობა, დასახეს წინსვლის ახალი პერსპექტივები.

„ჩვენი საბატიო სტუმრების მასპინძელია თელავი, წინანდალი, იყალთო, აკურა, ნაფარეული, სანიორე, ყარაჯალა, რუისპირი. მასპინძელია თითოეული ადამიანი, მთელი რაიონი“ — ვკითხულობთ გაზეთის ფურცლებზე.

გაზეთის ამავე ნომერში საქართველოს კბ თელავის რაიონის პირველი მდივანი ა. ბატიაშვილი წერს:

„ძვირფასო სტუმრებო, მეგობრებო! აი, უკვე

ათი წელია, რაც ჩვენ ერთმანეთთან სოციალისტურ შეგებრებაში ვართ ჩაბმული. მინდა გულწრფელად მოგახსენოთ, რომ იმ წარმატებებში, რაც ჩვენი რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს ამ ხნის განმავლობაში, თქვენი წვლილიც არის, თქვენთან შეგებრების შედეგიც არის, ამიტომ ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ შეგებრების მნიშვნელობას...“

უკრაინის კბ ვინიცის ოლქის მიროგოროდის რაიონის მდივანი ა. ჩუპელუკი ამავე ნომერში დაბეჭდილ წერილში აღნიშნავს:

„ქართველი ხალხის ღებგენარული გმირი ვასილ კიკვიძე ცხრაასთვრამეტის სუსხიან თებერვალში 1500 მეტრძლით 8 დღეს იგერიებდა უიტომირ-ბერდიჩევის რაიონში კაიზერული გერმანიის კარბი ძალების შემოტევას; უკრაინის მოწაზე ერკინებოდნენ ჰიტლერელებს ქართველი მხედართუფროსების — კ. ლესელიძის, პ. ჩანჩიბაძის, მ. მიქელაძისა და ვ. ნანეიშვილის მეტრძლიები, საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაქრაძის პარტიზანები.“

მეგობრობის, ძმობის საწინდარია დღეს ჩვენს რაიონებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეგებრებაც, რომელიც ამ რვა წლის წინ წამოიწყეს ჩვენი რაიონის სოფელ ლოხოვიაის და აკურის კოლმეურნეობებში.“

„გამარჯობა თელავო, წინანდალო, აკურავ“ — ასეთი სათაური აქვს ვინიცის ოლქის შარგოროდის რაიონული გაზეთის რედაქტორს ანდრეი კატერინიჩის წერილს, რომელშიც ვკითხულობთ:

„მე ანგარიში უნდა ჩავაბაროთ არა მარტო, როგორც რედაქტორმა, არამედ როგორც მეგობარმა,

ძმამ. 1966 წლის შემდეგ თელავი ჩემთვის მეორე შარგოროდად იქცა. მდებარე მეწვრიშვილი, ნიკოლოზ იანვარაშვილი, ილია მესტირიშვილი, შოთა როსტომაშვილი, ქიტო კირვალიძე, ნიკო ქვეციშვილი და ათობით თელაველი ჩემს ნამდვილ დვიდლ და-ძმებად იქცნენ. მათ გაუშხებელ ჩემს „ოჯახურ საიდუმლოს“ წლების განმავლობაში ჩემი ოჯახის „გაქართველების“ შესახებ. მე უკვე თავისუფლად ვწერ და ვკითხულობ ქართულად, ცოტა ჩამოშრჩა ჩემი მეუღლე გალენა, მაგრამ სამაგიეროდ ქართულ სიმღერებში მგობნის; ჩემს ოჯახურ ბიბლიოთეკაში დაგროვდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანის“ რამდენიმე გამოცემა, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალია ქავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის მშვენიერი ქმნილებები...“

სომხეთის სსრ ეხეგნაძორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნ. ბაბაიანის წერილში ვკითხულობთ:

„ჩვენი რაიონის ცენტრში — ეხეგნაძორში, ჩვენი მეგობრობის აღსანიშნავად და ურთიერთ სიყვარულის გამოსახატავად, ერთ-ერთ მთავარ ქუჩას ჰქვია თელავის სახელი.“

ჩვენ თელავში შეხვედრების შემდეგ გამგზავრებისას ყოველთვის თან მიგვდევს აღზნის ველის მშრომელთა გულის სიტბო, სტუმართმოყვარეობა და უძველესი და ნიჭიერი ქართველი ხალხის დიდების გრძნობა.“

გაზეთში უხვად არის წარმოდგენილი მასალები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ ჩვენი ხალხების ლენინური ოჯახის მტკიცე ერთიანობასა და განუხრებელ წინსვლაზე.

Handwritten signature

მეჩი ნულისპირი

მზიანი თოვლი

ვუსკერდით კლდეებს, ხეები მოგვდევდნენ, ხეები მოგვდევდნენ ქარების ყეფით და იყო სივრცე — სავსე, უძირო, მზიანი თოვლით, იების უხეფით. ქუდები ეხურათ, ეხურათ გლახურად შფოთიან ტყეებს, თოვლიან მუეებს. და იქვე ვილაც ხურჩინში ჰყრიდა გაფრენილ დღეებს, ფიჭვიან დღეებს. ჩვენ მას ვშველოდით და ვიცინოდით, ჩვენ მას ვშველოდით გაღვრილი ოფლად; მზიური თოვლის თეთრი ციგებით მიჰქრლდა მალა ყოფნა-არყოფნა! ცა ირხბოდა მართლაც საოცრად. ქარი გვეგონა დევი ცალხელა, და ჩვენ წავგიდეს ტანისამოსად მზიანი თოვლის თეთრმა ტალღებმა.


აკრილის დილა

ქალაქზე აკრილის ქოლგები ჰკიღია, რტოებზე ჰკიღია რამდენი სათქმელი! და ანტენების შრიალში იღება — ივსება სინათლით მაღალი სარკმელი. ქუჩების ხმაურში მესმის სიმღერა მტკვარზე სიზმრებად დახრილი წნორების... და თითქოს გულზე დაყრილ ფიჭქებად ქცეულა ბგერაც ტრანზისტორების... ქალაქზე აკრილის ქოლგები ჰკიღია და შენს პატარას კბილები ეზრდება, — ო, ყოველი დღე მზისკენ ხიღია, მზეს ხელებს უშვერს ბავშვი, ვით ენძელა...

კ ვ ი რ ტ ე ბ ი

აქ შუალამეს გახსნილ მკერდზე ჰკიღია მთვარე და მდინარეში ჩახატულა სურათი სოფლის, უკრავენ ტბილად სალამურებს

შინა და გარეთ, და სილურჩეში ჭრილებენ ურმები ხორბლით... სიზმრებს ხედავენ ტოტები და ჩიტები ერთად, მოტაცებული ბურჯი მთები მიდიან ტივით, გადიშლება აკვარელი მძინარე ფერთა, დამძიმებული ნუშის ტოტი ვერ უძლებს ტივილს. სკდება კვირტები ნაღმებივით, სკდება კვირტები, მოდის აღმური, მოაბიჯებს ლაღად, უიჟინით... მზე გაიშლება როგორც ვარდი, ვარდი უვითელი, — გაღვიძებული შოშიების ხმებით, უიჟივით. სიზმრებს ხედავენ. ტოტები და ჩიტები ერთად, გადიშლება აკვარელი მძინარე ფერთა...



ალ. ლომონოსის დაბადებიდან 100 წლისთავის
გახმოვანება

გამოჩენილი მეცნიერი, დაუღალავი მკვლევარი, მაღალი ზნეობრივი სისპეტაკით შემკობილი, უბრალო, თავმდაბალი, გულითადი კაცი, მუდამ ძიებით, საქმიანობით გატაცებული შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე. საუკეთესო ლექტორი და აღმზრდელი — ასეთია პროფესორი ალექსანდრე ლომონტი, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ახლახან მას დაბადებიდან სამოცი და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 38 წელი შეუსრულდა.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ალ. ლომონტის მეცნიერული კვლევის ინტერესები. იგი არ იფარგლება მხოლოდ საენათმეცნიერო, წმინდა ლინგვისტური „ინტერესებით“ ამოხსნით; ქართული ენის სტრუქტურის, მონათესავე ენებთან მისი მიმართების, ქართული ენის ლექსიკის, ლექსიკოგრაფიის ზოგადენათმეცნიერული საკითხების რკვევასთან ერთად მისი კვლევა-ძიების სფეროში შედის დიალექტოლოგიის, ონომატოლოგიის, ანთროპონომიკის, ტოპონომიკის, ქართული ფოლკლორისტიკის, მწერლის ენისა და სტილის ძირეული მნიშვნელობის პრობლემები.

პროფ. ალ. ლომონტის კალამს ეკუთვნის 350-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი და სტატია, რომელთა შორის 120 მეცნიერული გამოკვლევაა. აქედან 26 ცალკე წიგნადაა გამოცემული. ამ ნაშრომთა მეტ წილზე, განსაკუთრებით მონოგრაფიული ხასიათის ცალკე წიგნებზე, დაბეჭდილია მრავალრიცხოვანი რეცენზია ქართულ, რუსულ და უცხოურ (ფრანგულ, გერმანულ, უნგრულ) ენებზე.

ოც წელიწადზე მეტი მონაწილეა პროფ. ალ. ლომონტი მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის აქამდე უცნობი ქართველი ლექსიკოგრაფის ნიკო ჩუბინაშვილის ძვირფასი მემკვიდრეობის მეცნიე-

რულ შესწავლასა და გამოძიებურებას. 1961 წელს მან პირველად გამოაქვეყნა ლენინგრადისა და თბილისის არქივებში მის მიერ აღმოჩენილი ნ. ჩუბინაშვილის კაპიტალური შრომებიდან ერთ-ერთი ყველაზე უშესანიშნავესი განძი ჩვენი მეცნიერებისა „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანით“, რომელსაც დართული აქვს მისი ვრცელი გამოკვლევა. იგი ამჟამად ყველა ქართველოლოგის სამაგიდო წიგნად არის აღიარებული. გასულ წელს ალ. ლომონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოვიდა ნ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ პირველი ტომი 55 თაბახის მოცუ-

ლობით. იბეჭდება და უახლოეს დროში გამოვა ამ ლექსიკონის მეორე ტომი, რომლის შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის დიდებული ღვაწლი. მართა ამ შრომების მზის სინათლეზე გამოტანა და ამ საქმეში ჩაქსოვილი დიდი სიყვარული და ენერჯია ფასდაუდებელს ხდის იმ ამაგს, რაც მიუძღვის პროფ. ალ. ლომონტს ჩვენი ხალხისა და ჩვენი კულტურის წინაშე.

კვლევის ღვანული და ახალი

ლობით. იბეჭდება და უახლოეს დროში გამოვა ამ ლექსიკონის მეორე ტომი, რომლის შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის დიდებული ღვაწლი. მართა ამ შრომების მზის სინათლეზე გამოტანა და ამ საქმეში ჩაქსოვილი დიდი სიყვარული და ენერჯია ფასდაუდებელს ხდის იმ ამაგს, რაც მიუძღვის პროფ. ალ. ლომონტს ჩვენი ხალხისა და ჩვენი კულტურის წინაშე.

მაგრამ ეს მისი დამსახურების მხოლოდ ერთი მხარეა, ლინგვისტი მეცნიერის გამუდმებული დაკვირვებისა და ყურადღების საგანია აგრეთვე ლიტერატურისმცოდნეობითი და ფოლკლორული საკითხები, ქართული ლიტერატურისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების განვითარების აქტუალური ზოგადმეცნიერო პრობლემები. ჯერ კიდევ ადრე, 1934 წელს დაწერილმა მისმა პირველმა სერიოზულმა გამოკვლევამ „ეგნატე ნინოშვილის ენა“ ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია მწერლის ენისა და დიალექტური ფორმების ურთიერთობის „კანონზომიერებათა ცოდნით, საკითხისადმი ახლებური და სწორი მიდგომით, აზრის მკაფიო და თანმიმდევრული გამოხატვით.

წერითი აზროვნების მაღალი კულტურისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები ბოლომდე შერჩა ჩვენს საშს და იგი არანაკლები სისასებით არის გამოვლენილი უკანასკნელ პერიოდში, 1968 წელს გამოქვეყნებულ მეტად საინტერესო ნაშრომში „პოეტის ენის საკითხები“, რომელშიაც განსაკუთრებული სიმახვილით არის ვარკვეული გიორგი ლეონიძის პროზისა და პოეზიის ენობრივი საუნჯის ხალხური საფუძვლები. ქართული ფოლკლორისტიკის დარგში პროფ. ალ. ლომონტი შექმნილი და გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი თვალსაჩინო ნაშრომი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1963 და 1966 წლებში ორ ტომად

გამოცემული მონოგრაფია „ქართული ხალხური ნოველა“.


ალ. ლომონტი ჩვენს სინამდვილეში ფუძემდებელია ონომატოლოგიის, როგორც ლექსიკოლოგიის, დარგისა. მისმა პირველმა შრომამ „ქართული ლექსიკოლოგია“ (1964), ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნებულმა სპეციალურმა ნაშრომმა „ქართველური საკუთარი სახელები“ (1967) სათავე დაუდო ქართული სინქრონიული და დიაქრონიული ონომატოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, გააღვივა ინტერესი ქართულ (ქართველურ) საკუთარ სახელთა სისტემის

შესწავლისადმი; ასევე ორიგინალური და საინტერესოა მისი ტოპონომიკური ძიებანი. ალ. ლომონტი ავტორია უმაღლესი და საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა, რომლებიც წარმატებით ემსახურებიან მათი სწავლისა და აღზრდა-განათლების საქმეს. მისი რედაქტორობით თუ თანარედაქტორობით არის გამოცემული 20-ზე მეტი წიგნი, კრებული თუ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, კერძოდ, „ხალხური სიბრძნის“ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტომები.

ყველაფერ ამას პროფ. ალ. ლომონტი საუცხოოდ უხამებს სალექციო-პედაგოგიურ და აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 1935 წლიდან ის კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში გორისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მთელი რიგი წლების განმავლობაში ამავე ინსტიტუტებში ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას. 1958 წლიდან, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სამუშაოდ გადმოსვლის დროიდან, კიდევ უფრო ფართოდ გამოჩნდა მისი მჩქეფარე შემოქმედებითი ენერჯია, მისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგები, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდაში მისი თვალსაჩინო წვლილი და როლი. ყოველივე ამან დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოუტოვა მას პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტ ახალგაზრდობაში, მეგობრებსა და კოლეგებში, ჩვენს საზოგადოებრიობაში.

დაე, ხალხის ასეთი წრფელი სიყვარული არასოდეს მოაკლებოდეს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემო ალექსანდრე, შენა ღრმამინაარსიანი ცხოვრების მთელ გზაზე. დაე მუდამ და ყოველთვის ამკობდეს იგი შენს სპეტაკ სახელს!

აკაკი თოფურია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



მოლსდორფის სასახლე (ერფურტი).



დარბაზი მოლსდორფში, სადაც გამოფენილია პეტეხის სურათი


„მეჭეხი“ პეიზაჟი

შარშან ოქტომბერში ქ. ვაიმარში ემყოფებოდი. გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა პროფესორმა ჰოლცჰაუერმა დამათვალიერებინა ქ. ერფურტის მახლობლად მდებარე მოლსდორფის სასახლე, რომლის ყველა დარბაზი მორთულია უამრავი ფერწერული სურათით. ერთ დარბაზში ჩემი ყურადღება მოულოდნელად მიიპყრო სურათმა (75x150 სმ ზომისა), რომელსაც აწერია „მეტეხის ტაძარი“. მოლსდორფის სასახლის დირექტორის თქმით, ეს სურათი XVIII საუკუნის 30-50-იან წლებშია შექმნილი და XIX საუკუნის შუამდე სხვა სასახლეს, ვაიმარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე „ქრისტიანს-ცელბაი ლობენსშტაინს“ ამკობდა. „ნატურის“ მიმართ ერთგულება ამჟამად მოწმობს, რომ ამ სურათის უცნობ ავტორს უშუალოდ უნახავს ჩვენი დედაქალაქი.

ავტორი, ცხადია, თბილისში ჩამოსული უცხოელი მოგზაური ან მისიონერია. შეიძლება ძველ წყაროებში სადმე აღმოჩნდეს ცნობა, რომელიც გაარკვევს მის ვინაობას.

ოთარ ჯინორია,

გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე.



მეტეხი. შესრულებულია უცნობი მხატვრის მიერ.

ჯეორჯ უიგე - თგილისელი ჯანბი

ამ წაშობსადე კას თითქმის ეკლა
თბილისელი იკნობს. ხოლო თუ კინებე
არ იცის და იციხავს — ეინ არისო, ეშალ
უქაღუებებე:

— ეენანბრე, გაბედული ვაჯაკო, ეინ
მიოღლის, რამდენი ადამიანი გაღაუოჩინია
ხანმოღან

ბაშირ შამბემ სახანრო საქმეში გმირ-
ბისა და მამაკობის გამოჩენისათვის მთავ-
რობის მადლიე ჭიღლი — წითელი ვარს-
კლავის ორდენი დამსახურა.


ამას გარდა თავისი ხანგრძლივი მუშაო-
ბის მინიმალე ბაშირს მიღებული აქვს
მრავალი მედალი, სიგელი, სამკერდე ნი-
შანი, ფულადი პრემია თუ ფასიანი საჩუ-
ქარი.

ბაშირ შამბეს შრომბლები რომელიდაც
მღღარამა ირანულმა იეიდა და აფრიკიდან
თიურანში ჩაიუნანა მიუნება. ბაშირი 1904
წელს დაიბადა. პატარა ბიჭი ბედმა ხან სად
ატარა, ხან სად. 1916 წელს კი 12 წლის
ბიჭი ქართველმა ოფიცერმა ხუმბაშვილი-
მა თბილისში ჩამოიყვანა.

ამ დღობას ბაშირ შამბემ მთელი თავისი
ცხოვრება თბილისს დაეუკუშორა. საბჭო-
თა საქაოთველო აფრიკელი მონა ზანგე
ბის შვილის — შამბესათვის ბედნიევი-
ბისა და თავისუფლების მომტანი საშობ-
ლო გაბდა.

ბაშირმა ქაოთულ ენაზე დაამთავრა სა-
ლაშოს სკოლა. შეევიდა კოპეკუშოში. პა-
ტიოსანი და თავდადებულე შრომით თავი
ისახელა. ზანგი ვაჯაკო პარტიის თბილი-
სის კომიტეტის წევრად აირჩიეს, იგი
თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატც
იყო.

ამჟამად იგი პერსონალური პენსიონე-
რია. საქმეს რა გამოუღევს დღენიდაც
შრომას დაჩვეულ კას! იგი ხან ოჯახში
ფულფუსებზე, ხან კულტურის სამინისტრო-
ში მესანბრე ინსტრუქტორად მომუშაევი
ვაიშვილს ეწვევია, ხან კიდევ შეილოზე-
ლუნეს აიფილიებს და სკეერებსა თუ ბა-
ღებში დასეირინებს...



სახანრო მილის გამოეუნება ეველამ ენდა იყოღეს



სასა და შვილოშვილი

პარტია შოგებუღია



ფობო
შ. ჩხებტიანისა

ბაშირი თავის
ახლობლებთან

რეპეტიციაზე.



პეტრე იბერიელი

ამას წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა სასიხარულო ცნობა, რომ დაწყებულია მზადება პეტრე იბერიელის 1500 წლის იუბილეს ფართო მასშტაბით აღნიშვნისათვის. შექმნილია სპეციალური საკოორდინაციო კომისია აკად. ირაკლი აბაშიძის თავმჯდომარეობით; გადადგმულია ნაბიჯები, რომ მოწვეულ იქნას თბილისში არეოპაგიტის პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო სიმპოზიუმი.

ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ცნობილი იყო ე. წ. არეოპაგიტული თხზულებანი. ტრადიციულად ამ თხზულებათა ავტორად მიიჩნევენ დიონისე არეოპაგელს, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ცხოვრობდა.

მაგრამ მეცნიერებაში დიდი ხანია აღძრული იყო ეჭვი — არეოპაგიტულ წიგნებს გაცილებით გვიან დაწერილად სთვლიდნენ ავტორის ვინაობა კი უცნობი რჩებოდა.

ქართველმა საბჭოთა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ 1942 წელს, ხოლო შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, ბელგიელმა მეცნიერმა ერნატ ჰონიგმანმა 1952 წელს, დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი არის V საუკუნის ქართველი მოაზროვნე — პეტრე იბერიელი ანუ პეტრე ქართველი (409—491).

პეტრე იბერიელის მოძღვრებამ იდეური საფუძველი შეუმზადა ევროპის რენესანსს.

პეტრე იბერიელი იყო ქართლის მეფის ბუზმირის შვილი; V საუკუნის დასაწყისში, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, ქართლის მეფე იძულებული იყო თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი, 12 წლის მურვანოსი (ასე ეძახდნენ პეტრეს ერისკაცობაში) მძეილად გაეგზავნა ბიზანტიის კეისრისათვის, ოათა საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობას ანტიბიზანტური მიმართულება არ მიეღო.

კეისრის კარზე ახალგაზრდა ქართველმა უფლისწულმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, მაგრამ მან მაინც არ ისურვა



პეტრე იბერიელი.

ბიზანტიის სამეფო კარზე ცხოვრება; თავის მასწავლებელთან, იოანე ლაზთან ერთად გაიპარა კეისრის სასახლიდან, ჩავიდა სირიაში და იქ ხელი მიჰყო ფილოსოფიურ-მეცნიერულ შემოქმედებას; აქ იგი დანიშნულ იქნა ქ. მაიუმის ეპისკოპოსად.

პეტრე იბერიელის არეოპაგიტული კორპუსი შეიცავს შემდეგ ნაშრომებს: „საღმრთოთა სახელთათვის“, „ზეციური იერარქია“, „საეკლესიო იერარქია“, „საიდუმლო თეოლოგია“ და ათი ეპისტოლე.

პეტრე იბერიელი თავისი ეპოქის უდიდესი ადამიანი ყო. როგორც თანამედროვენი, ისე მომდევნო დროის გამოჩენილი ისტორიკოსები მას იხსენიებენ ეპითეტებით: „მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმული ადამიანი“, „შვენება და დიდება საქართველოსი და მეოხე მთელი ქვეყნისა“; ქართველ თანამემამულეთ კი პეტრე მიაჩნდათ „სამკაულად და სიქადულად ქართველთა“.

ვასილ ჩაჩანიძე.

ბახსუნება

ოთხი გული

ერთხელ შალვა დადიანი და მე, სუფსის გზით, ფოთიდან ბათუმს გავემგზავრეთ. ძლიერმა ქარმა ზღვის მოქცევა გამოიწვია და გზა წყლით დაფარა. ეს იყო გრიგოლეთის ნაპირზე.

შოფერი შეუყოყმანდა: ხომ არ შეგეშინდებათ წყალში რომ შევცუროო? თუ თქვენ გაბედავთ, ჩვენც თქვენთან, — ვუთხარი ჩვენ.

ზღვა მართლა საშიშარი იყო. წყლით დაიფარა არა მარტო გზა, არამედ მთელი გრიგოლეთის ნაპირი. ძალიან ღამაში სურათი იყო და ძალიან საშიშიც. შოფერმა მაინც გაბედა და მანქანა შეაცურა წყალში.

მიდის მანქანა ქშენით და ქოთქოთით. წყალი უკვე მანქანაში შემოიჭრა. გადავხედეთ ერთმანეთს შალვამ და მე. უცებ ტალღა მანქანას და გაჩერდა მანქანა. მიწამდე კი კარგა მანძილია. ზღვიდან ჰქრის ქარი, ტალღა ტალღას მოსდევს და ქოთქოთებს მოტორი. მაგრამ გაჩერდა მანქანა.

შოფერს ფერი ეცვალა და შალვას შემოხედა. შალვამ გაუღიმა და ხუმრობით უთხრა, დამშვიდებით:

— ახლა აქ ოთხი გული ცემს: სამი ადამიანისა და ერთიც მანქანისა. ამ ოთხმა გულმა უნდა აჯობოს ზღვას.

შოფერსაც გაეღიმა. დააჭირა ფეხი აქსელატორს, მიაბრუნ-მოაბრუნა საკეტი, დაიგუგუნა მანქანამ და გაიჭრა წინ. გავცურეთ ზღვით დაფარული გზა. ქარი ისევ ჰქროდა. ზღვა ისევ დელავდა. ხოლო ოთხი გული აუღელვებელი სიმშვიდით განაგრძობდა გზას.

ორი ლომი

ელბაქიდის ხიდის უკრესთან ოციან წლებში ცირკი იდგა. ცირკი მუდამ გაქედელი იყო ხალხით.

ერთხელ ამ ცირკში გაწვრთნილ მხეცებს აჩვენებდნენ. ხმა გავარდა: ინდოეთიდან ერთი უშველებელი ლომი ჩამოიყვანესო. ხალხი მიაწყდა ცირკს. ლომის სანახავად შალვა დადიანიც წავიდა. ადმინისტრაციამ შალვა ლოქაში მოათავსა, წინა სკამზე.

დაიწყო წარმოდგენა. ნომერი ნომერს მოსდევს. ხალხი ტაშს არ იზურებს. მაგრამ ყველა მაინც ლომს მოეღოს. ლომია დღეს მთავარი გმირი.

დადგა ლომის გამოყვანის დროც.

უზარმაზარი რამ იყო, შესახედავდაც საზარი, მაგრამ ღამაში კი... მაღალი, ფართო მკერდი, მსხვილი თავი, შავი დრუნჩი, მოქნილი ტანი, ხშირი, ძალზე ხშირი და გრძელი ქარვისფერი ფაფარი მართლა რომ თვალისმომკრელი სანახაობა იყო.

— უმ, შენი სულისა! — აღმოხდა ქანდარას და იგრიალა ტაშმა.

ლომი იდგა თავაწული და უსმენდა ტაშს. თითქოს მეფე ღებულობდა ქვეშევრდომთა შექებას. ტაში რომ დაცხრა, ლომმა მოავლო თვალი ხალხს და შალვაზე შეაჩერა მზერა. მწვრთნელმა ნიშანი მისცა ლომს, რომ „ნომერი“ დაეწყო, მაგრამ ლომი უძრავად დგას. დგას და უუურებს შალვას.

ცირკი გარინდდა. ყველამ იგრძნო, რომ ლომი გამოვიდა მწვრთნელის გავლენისაგან, რომ მოსალოდნელია კატასტროფა.

მართლაც და ლომი გაემართა შალვა დადიანის ლოქისაკენ.

მწვრთნელი და მსახური აედევნენ ლომს, მაგრამ ვერ გააჩერეს.

ლომი მიუახლოვდა შალვას ლოქას და ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა. მიაჩერდა შალვას, დააქნია კული და უუურებენ ერთმანეთს ადამიანი და მხეცო...

ცირკი გაინაბა. სუნთქვა შეიკრა მრავალათასმა ლიანგმა. არც არავის უკვირია, არც არავის დაუუვირია. ეგებ მიხვდნენ, რომ ხმაურობა გააბრაზებდა მხეცს, ფეხებ იფიქრეს: მორიგი ნომერიაო — თითქოს და ლომს ვინმე ცნობილი ადამიანისათვის თავი უნდა დაეკრა.

შალვა დადიანი კი მიხვდა, რომ ლომი არ ემორჩილება მწვრთნელს. მიხვდა და გაინაბა. თვითონ მიაჩერდა ლომს თვალეში და გაუღიმა...

შემდეგ აი, რა მოხდა შალვამ:

— თმა ამებურძგნა. ტანი ამეჭავა. თითქოს ჭიანჭველები დამესია. ვიგრძენი კი, რომ არ უნდა გავნძრეულიყავი. ჰოდა, ვიჭექე უძრავად და მივაჩერდი ლომს... არ ვიცო რამდენ ხანს გაგრძელდა ასე... შეიძლება წაში და წუთი... შეიძლება დიდი დრო...

შემდეგ მიცვიდნენ ლომს და მიაბრუნეს. ლომი მივიდა შუა არენამდე. შედგა და ისევ მოიხედა შალვასაკენ. შალვა კი ისევ ისე უძრავად იდგა და იღიმებოდა.

ლომი გაიყვანეს. გასასვლელში ლომი წამით შედგა, ერთხელ კიდევ მოხედა, დაარხია ფაფარი და გავიდა...

რაც აქ დავწერე, ერთი სიტყვაც არაა ფანტაზიიდან. ასე მოხდა ეს საოცარი ამბავი. ასე მიაშბო შალვა დადიანსაც.

— ასწერე ეს სცენა, საინტერესოა, — ვუთხარი შალვას.

— თვითრეკლამად ჩამითვლიან, — გაიღიმა შალვამ. — ისე კი საოცარი სურათი იყო. და თან ღამაშიც...

ჰოდა, მეც ამიტომ დავწერე ეს საკვირველი ამბავი — როგორ შეხვდა ერთმანეთს ორი ლომი. ლომი ინდოეთისა და ლომი საქართველოსი.

ცოცხალი მისვალეზული

შალვა დადიანი ორიგინალური კაცი იყო. უყვარდა უჩვეულო და მოულოდნელი. თან ისეთი გამაღებით ცხოვრობდა, თითქოს ყველას მაგივრად ცხოვრობდა. თითქოს სურდა ყველაფერი განეცადა.

ერთხელ მოიწვია თავისი მეგობრები — თეატრალური კრიტიკოსი ალექსანდრე ბურთიკაშვილი, პოეტი ცვარ-ნამი, მსახიობი ნიკო გვარაძე და მწერალი ლეო ქიაჩელი.

— ერთი კარგი კაცის პანაშვილზე უნდა წავიდეთ, — უთხრა შალვამ მეგობრებს.

— ვის პანაშვილზე? — ჰკითხეს მათ.

— წამოდით და ნახავთ!

წავიდნენ. ჩავიდნენ რესტორან „უაზბეგში“.

— დღეს ჩემი პანაშვილია და ქელები უნდა გადავიხადოთ, — უთხრა შალვამ მეგობრებს.

მეგობრებმა გაოცებით შეხედეს.

— დაიხ, ასე! — მშვიდად სთქვა შალვამ. — მე ყველაფერი გამოვცადე ცხოვრებაში, გარდა პანაშვილისა. ახლა ესლა მაკლია. მინდა ესეც გამოვცადო, გავთავაშო სიკვდილს. ჰოდა, ვნახო ერთი როგორ გადაიხდით ჩემს პანაშვილს და ქელებს...

დაიკავეს კაბინეტი, რომელსაც კარები არ ჰქონდა. მაგიდას რომ მოუსხდნენ, შალვამ თქვა:

— მაშ ასე! დავიცვათ ყველა წესი და ვინც უნდა შემოგვესწროს, ადათის ნირი არ შეცვალოთ... ცხონებული შალვა დადიანი მთელ თავის სიცოცხლეში უცნაურად ცხოვრობდა. დაე, ესეც მისი უცნაურობა იყოს იყავნ ესრეთ! მეგობრები მიუხვდნენ, სურვილი დაუდასტურეს და ერთხმად უპასუხეს:

— იყავნ ესრეთ!

— მაშ დავიწყოთ! შალვა დადიანი აღარ არის!..

დარეკეს ზანაღალი. შემოვიდა ოფიციალტი და მიაჩერდა შალვა დადიანს. დაჩვეული იყო, რომ შალვა დადიანი შეუკვეთავდა ხოლმე. მაგრამ ახლა ბურთიკაშვილმა მისცა შეკვეთა:

— ოთხი ბოთლი ნაფარეული, ცოცხალი, ხიზილადა, ზეთისხილი, მწვანელი, ორი სულგუნიც შეწვით. ყველაზე ადრე კი ლობიო მოიტანეთ.

— ლობიო, ბატონო? — გაუკვირდა ოფიციალტს. ის შეჩვეული იყო შალვა დადიანის სუფრაზე მწვადებს, ვარიებს, გოჭს და ამ შეკვეთას ვერ შეურიგდა.

— დაიხ, ლობიო! — უპასუხა ბურთიკაშვილმა. — ჩვენ ქელები გვაქვს.

— ქელები? — ოფიციალტი დააკვირდა კლიენტებს. სდუმდნენ კლიენტები და ისხდნენ თავჩაჩინდრულნი.

ოფიციალტმა ჩქარა მოიტანა შეკვეთილი.

— სულგუნი ჩქარა იქნება, ბატონო! — და დაიწყო ბოთლების თავის მოხსნა.

ჭიქები აავსეს. ლეო ქიაჩელმა ამოიოხრა, ჭიქა აიღო, წამოდგა, დალუნა თავი დაიწყო.

— მეგობრებო! მძიმე დანაკლისი განვიცადეთ ჩვენ ყველამ და მთელმა ქართველმა ერმა. გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი და საყვარელი შალვა დადიანი. მძიმეა ეს დანაკლისი და აუნაწლავებელი... მეძნელედა სიტყვა... ღმერთო, აცხონე მიცვალებული!

ლეო ქიაჩელმა ჭიქა ასწია. წამოდგნენ ყველანი, მხოლოდ შალვა დადიანი იჭდა ჩუმად, ლომის ფაფრიანი ქალარა თავი უძრავად ეჭირა, თვალეში თითქოს სიცოცხლე ჩაჰქრობოდა, სახეზე არც ერთი ნაკვეთი არ უჭროდა, გაფითრებოდა ტუჩები და საფლავეზე დადგმულ ქანდაკებას ჰგავდა.

ახლა სიტყვა ბურთიკაშვილმა აიღო.

— მუდამ მხიარული, სიცოცხლით სავსე, უბერებელი ადამიანი იყო ჩვე-

ნი ძვირფასი შალვა. მაგრამ უველაფერს აქვს დასასრული. და, აი, დასრულდა ჩვენი ეპოქის დიდი ადამიანის ხანგრძლივი და ხალხისათვის სასარგებლო სიცოცხლეც... ღმერთო, აცხონე სული მისი და შეუნდე შეცოდებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი..

ოფიციალტი გაოგნებული დგას. რა ხანია მოხსნა თავი მეოთხე ბოთლს. მაგრამ არ მიდის. რაღაც უცნაურობას ხედავს — ცოცხალ მიცვალებულს.

ახლა ცვარ-ნამმა დაიწყო:

— ღმერთმა აცხონოს ჩვენი ძვირფასი შალვა. დიდი მწერალი იყო, დიდი ბუნების ადამიანი: ნამდვილი ქართული ბუნების კაცი იყო: მუდამ მოღიზიანი, სიცოცხლის მოყვარული, ჭირში დინჯი და ლხინში გამოსაჩენი. ჭავარი და მშვეინება იყო ჩვენი ლიტერატურისა, უყვარდა ქალები და ქალებსაც უყვარდათ ის... ღმერთო, აცხონე სული მისი..

ახლა ნიკო გვარამძემ დაიწყო:

— შალვა დადიანი რეჟისორიც იყო, მსახიობიც იყო. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ზურგით მოჭკონდა ქართული თეატრი... ის იყო ქართული თეატრის მამა... ღმერთმა აცხონოს..

დალიეს შესანდობარი. შეუდგენენ პურადღებას. თან გაიხსენეს შალვას ცხოვრების ეპიზოდები. შალვა დადიანი იყო დიდი ისტორიული გვარის ჩამომავალი, უბრალო ხალხში კი გავიდა... თავისი დიდი ძალი მამულ-დედული სამეგრელოში და იმერეთში გლეხებს დაუბრუნა... უყვარდა ქეიფი, მაგრამ უყვარდა შრომაც... იყო საბჭოთა კავშირის უმადლესი საბჭოს დეპუტატი და ორ სოფელში წყალი გამოიყვანა... წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თეატრალურ საზოგადოებას... პარტიამ და მთავრობამაც დაუფასეს და რამდენიმეჯერ გადაუხადეს ობიექტი...

ოფიციალტი კი დგას და არ იცის რას დაუჭეროს: თვალს თუ ყურს? თვალს თუ დაუჭერა — აგერ ზის შალვა დადიანი. ყურს თუ დაუჭერა — მომკვდარა და რასაც ამბობენ, სულ მართალია.

— კაცო, სადა ხარ? დაიწვა სულგუნი, — და... კარს მოადგა მეორე ოფიციალტი, გამოუძახა პირველს.

— სსს! — ანიშნა პირველმა ოფიციალტმა მეორეს. — ვერა ხედავ, შალვა დადიანი მომკვდარა?

— ვაი ჩემი ცოდვა! — წამოიძახა მეორე ოფიციალტმა და შუბლზე ხელი იტყუა.

ამ დროს სუფრაზე ნაღვლიანი გალობა გაისმა:

„სულთათანა აღსრულებულთა მართალთასა...“

სულსა მონისა ამის შენისა შალვასი განუხვენი მაცხოვარი... ამ დროს შალვამ თავი ასწია. შეირხა ქანდაკება.

— შე კაცო, ეგერ არაა შალვა დადიანი? — გაიოცა მეორე ოფიციალტმა.

— ქვე რა ვიცი, შენი ჭირიმე! ესენი პანაშვიდს კი უხდებიან და... მაგათ უკეთ ეცოდინებათ.

— ამხანაგო, მოიტანეთ შემწვარი სულგუნი — მიუბრუნდა ოფიციალტს ბურთიკაშვილი და ამოიხსრა. — ეჰ, შალვა შალვა! ეს რა გვიყავი? როგორ დაგვაობლიე?

პირველი ოფიციალტი ძალიან შეწუხებული იყო, მაგრამ შემწვარი სულგუნის გახსენებამ მასში პროფესიულმა მოვალეობამ გაიღვიძა და სულგუნის მოსატანად გაიქცა. რომ დაბრუნდა, ისევ დააკვირდა ცოცხალ მიცვალებულს. ცოცხალმა მიცვალებულმა კი ჰქა აიღო და თქვა:

— მეც ვიცნობდი შალვა დადიანს. ჩემი მტერ-მოყვარე იყო. მაგრამ ამჟამად მიცვალებულზე ცუდს ვერ ვიტყვი... საერთოდ ხომ მიცვალებულზე ცუდს არ იტყვიან?.. ეჰ, შალვა! შალვა!.. რა იყავი და რა ხარ ახლა?.. მაგრამ სჯობს მოკლედ მოვჭკრა და ხალხურ კილოზე თქმული სხვანაირად, გაჩემბურებულად, გითხრათ.

ახლა კი დაიჭერეს ოფიციალტებმა რომ ნამდვილი შალვა დადიანი მართლა მომკვდარა, ეს კი... ეს, ალბათ, ჰგავს იმას.

ქეღების იმიტაცია კი ისეთი უშუალო იყო, ისეთი გულწრფელი, რომ უველას ცრემლი მოადგა თვალზე. ოფიციალტებმა ქეღების წესით დაუკითხავად აავსეს ჭიქები და ამოოხრებით შეჭლადდეს:

„ღმერთმა აცხონოს მიცვალებული!...“

შალვა დადიანმა კი თავისი შესანდობარი ასე სთქვა:

შალვა დადიანი ვიყავ, კარგი სახელი დავიგდე, ხელში ავიღე კალამი, ბევრი ნაწერი დავიგდე. ისე კარგი კაცი ვიყავ, რაც მქონდა ყველა გავიღე. სცენაზეც მიბუშავნია, მუნ ბევრი წვლილი გავიღე. ქართლს გადამწვარი მინდვრებსა „უწყლოსა წყალი ვადინე“, პატარმეულსა და ქსანში მიღები ჩამოვადინე. ამდენი საქმის მომქმედმა ესრა აღლი ტილო წავიღე...

ასეთი იყო შალვა დადიანი. უყვარდა სიცოცხლე და გაეთამაშა სიკვდილს.

იბაჰუნი

ზინად გამსახურლი

თვალხილული და ბრმა

თვალხილულმა უთხრა ბრმადშობილს: ძმობილო, მებრალები ასე უმწოდ რომ დალასლასებ სინგელში, წადი ქირურგთან, ოპერაცია გაიკეთე. თვალი აგეხილება და მზის სინათლეს დაინახავო.

ბრმადშობილმა კი მიუგო: უცნაური ფანტაზიის კაცი ხარ, გეტყობა. ვერ ერთი, არავითარი „თვალხილულები“ არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ბრმები, შენც ჩემსავით ბრმა ხარ, ოღონდ თავს იტყუებ. მეორეც, არავითარი სინათლე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სინგელი. „სინათლე“ კი, უბრალოდ, „სინგელის“ საპირისპირო ცნებაა, რომელსაც ქუთაზე გადამცდარი ხალხი სინამდვილედ სთვლის. სიგიჟის უმადლესი გამოხატულებაა შენს მიერ ხსენებული სიტყვა „მზე“, ვითომდაც რაღაც სინათლის წყარო. ეს ყოველივე სიტყვების თამაშია მხოლოდამხოლოდ. მესამეც, არავითარი თვალის ქირურგი არ არსებობს, არსებობს კუჭის, ბრმანაწლავის, ნაღვლის ბუშტის და სხეულის სხვა ორგანოების ქირურგი, თვალები კი მისათვის აქვს ადამიანს, რომ სინგელე დაინახოს.

ცვარი და მზე

ცვარმა უთხრა მზეს: ხომ ხედავ, მთელი სისრულით მხოლოდ ჩემში ირეკლები, ნუ დამაშრობ, თორემ საკუთარ თავს ველარ დაინახავო.

მზემ კი მიუგო: ნუ გეშინია, თუ დაგაშრობ, ისევ ღრუბლად გაქცევ და უფრო დაგიახლოვებ, სარკეებად კი ტბები და ზღვებიც შეუოფიანო.

ფუტკარი და კეპელა

ფუტკარმა უთხრა კეპელას: მე და შენ ორივენი უკავილების ნექტარს ვისრუტავთ, მაგრამ სად შენი სარგებლიანობა და სად ჩემი: მე თავლს ვაძლევ ადამიანს, შენ კი ქარს ატანო შენს მოწავარს.

კეპელამ მიუგო: სამაგიეროდ მე უკავილების მშვეინების სული მეუფლება და უცხოდ მიხატავს ფრუებს, რათა ადამიანი დავატებო ჩემი სიმშვეინებით.

მორალ: ასევე უჭირს ზოგიერთ გონებაშეზღულულ მეცნიერს ხელოვანის დანიშნულების გაგება.

თვითგონების გამომგონებელი

ერთმა კაცმა გააკეთა თვითგონების მოდელი და უჩვენა ამ ავტოკონსტრუქტორს. ათივე ავტოკონსტრუქტორმა მოიწონა მოდელი, ხოლო ავტოკონსტრუქტორმა დაიწუნა. „გამომგონებელმა“ ბანკეტი გადაუხადა ავტოკონსტრუქტორებს, ხოლო ავტოკონსტრუქტორს სამუდამო მტრად მოეკიდა.

თოფი და ღურბინდი

ღურბინდმა უთხრა თოფს: მართლაც რომ ავი, თვალისა ხარ. საითაც გაიხედავ, სიკვდილი უნდა დათესო. ამიტომაც ზარავსო კაცს შენი დანახვისას. ჩემი კი არავის ეშინია, ყველა სიამოვნებით მათვალეობსო.

თოფმა მიუგო: შენ ვითომდაც უვნებელი თვალი გაქვს, სინამდვილეში კი შენს გარეშე მე ვერსად გავაგზავნიდო სიკვდილს. ჩემი პატრონი ვერ შენით ზევარავს მიდამოს, მერემ კი მე ამიღებს ხელში. სამიზნოც შენა ხარ და ბორტებისთვის გეზის მიმეციკო.

აღმნიანი და სარკე

სარკემ უთხრა ადამიანს: სინამდვილეში შენ მხოლოდ ჩემში არსებობ. ფრთხილად იყავი, არ დამამსხვრიო, თორემ განადგურდები და მხოლოდ შენი ლანდილა დარჩებაო ქვეყნად.

კაცმა კი მიუგო: ჩემი ხელით რომ არ იყო გაეთებული, კიდეც დავიჭვრებდი შენს ნათქვამს, ახლა კი უფრო საპირისპირო მეჩვენებო სიმართლედ.

გულგატახილი არწივი

არწივი დიდად დაღონდა, როდესაც ბუყაყებმა იგი მფრინავად არ აღიარეს. საქმე ასე იყო: რამდენჯერაც იგი აფრინდა, მისმა ფრთებმა ისეთი მხუილი შექმნეს, რომ დამფრთხალი ბუყაყები წყალქვეშ გაუჩინარდნენ. შემდეგ კი, როდესაც ისინი თავს ამოკეთდნენ წყლის ზედაპირზე, არწივი უკვე ღრუბლებში იყო. ამიტომაც ბუყაყები ამბობდნენ, არასოდეს გვინახავსო არწივის ფრენა. სამაგიეროდ, მათთვის საფრენი ხელოვნების მწვერვალი იყო ჭაობის ნემსიყლაპია, რომელსაც გველისაჰვის მპარსველსაც უწოდებდნენ ხალხი.

მია ღაღოს გარანი

მლიზბარ მიხუარამე

ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს: ერთხელ ვახტანგ მეფეს სასირეთის ქალღმერთი უნადირია. ნადირობით მდინარე თემამს მალა აჭყლია თავისი ამალით და სოფ. ზემო ხანდაკში პავლე და სპირიდონ გოგიბედაშვილებს სწვევია. ვახტანგ მეფის ამალიში პოეტი დავით გურამიშვილიც უფილა. მეფეს წყალი მოსწყურებია, ხანამ მასპინძელი წყალს მარათმევედა, მეფეს შეუნიშნავს დარბაზში დოს დღეებავდენენ, და წყლის მაგივრად დო დაუღვია. დავით გურამიშვილს ექსპრომტად უთქვამს:

კარგისა მასპინძლისასა
მეფე ჩამოხტა ხანდაკსა,
არარას უკადრისობდა
ხან მაწონს სვამდა, ხან დოსა.

ზემო ხანდაკში გოგიბედაშვილზე იყო გათხოვილი გიორგი სააკაძის მამიდა; 1615 წლის მიწურულს, ირანიდან ახლად დაბრუნებულ დიდ მოურავს რომ თავს დასხმთან ფარსმან ციციშვილი და ქახოსრო ჭავჭავიშვილი სამასი კაცით, გიორგი სააკაძეს ზემო ხანდაკში გოგიბედაშვილების ოჯახში შეუფარებია თავი.

ზემო ხანდაკზე კიდევ ბევრი საინტერესო ამბის თქმა შეიძლება, ამგვარად კი ჩვენ ვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი აქაური გლეხი, იმ პავლე და სპირიდონ გოგიბედაშვილების პირდაპირი შთამომავალი, ხალხური გადმოცემის მიხედვით, ვახტანგ მეფე და დავით გურამიშვილი რომ ესტუმრნენ.

ეს გახლავთ ლადო გოგიბედაშვილი, ჩვენი ძია ლადო, კაცი — ვაჟკაცი, რომელიც თავისი მარან-მუზეუმით, თავისი საზოგადოებრივი თუ საორტული მოღვაწეობით, თავისი საქმით, თუ სტუმართმოყვარე კეთილი გულით, ყველას უწარადლებს იმსახურებს.

ერთი უბრალო ქართული გლეხია ძია ლადო, რომ იტყვიან, გულქართლი კაციო, სწორედ ისეთი. უყვარს შრომა, უყვარს წიგნი, უყვარს ადამიანი. ესმის ხალხის წარსული და იცის თავისი ქვეყნის ფასი.

— თუ ვინმე ოდესმე ზემოხანდაკელთა ისტორიის დაწერას განიზრახავს, რჩევას ვაძლევთ წარსულის კარიბჭე ლადო გოგიბედაშვილის კერძიან შეადოსო, — წერდა ამასწინათ გავეთი „ლელო“; ხოლო კასპის რაიონული გაზეთი „განთიად“ ასე ახსიათებდა ლადო გოგიბედაშვილის პიროვნებას:

— ვისაც ქართველი კაცის გულკეთილობის, სტუმართმოყვარეობის, ღმინისა და თამადობის სილამაზის შეგრძნება უნდა, ზემო ხანდაკში ლადო გოგიბედაშვილს უნდა ესტუმროსო.

გამოჩენილი მწერალი გიორგი შატბერაშვილი, რომელიც დედის მხრიდან ენათესავებოდა ლადო გოგიბედაშვილს და კიდევაც მეგობრობდა მას, ისე იყო მოხიბლული ლადოს გარეგნობით თუ სულიერი თვისებებით, რომ თავის დაუმთავრებელ რომანში „აბოს წამების ათი დღე“, ერთ-ერთი ლიტერატურული გმირის პროტოტიპად ლადო გოგიბედაშვილი აიღო მისივე გვარითა და სახელით.

ერთხელ, საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ, ივანე ურჯუმელაშვილთან და ამ სტრიქონების ავტორთან ერთად, ზედაველა მოინახულა. ეს ველი ხუთიოდე კილომეტრითა და შორებულ ხანდაკიდან. ეს ის ველია, სადაც 1724 წელს ქართველებსა და თურქებს შორის მოხდა დიდი სისხლისმღვრელი ომი; ამ ომში ცხრამეტი წლის დავით გურამიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. ზედაველადან უკან გამობრუნებისას ზემოხანდაკში ჩამოვიარეთ და ლადო გოგიბედაშვილს ვესტუმრეთ. გიორგი ლეონიძე ისე მოიხიბლა მასპინძლის სტუმართმოყვარეობით, მისი იშვიათი გემოვნებათ მოწყობილი მარნით, რომ ადტაცბა

ველარ დამალა და სადღეგრძელოში ასეთი სიტყვები წარმოთქვა: ლადო გოგიბედაშვილი თავისი დევგმირული აღნაგობით, და რაც მთავარია, პატრიოტული შემართებით სწორედ იმ ზემოხანდაკელ გმირთა ტიპური განსახიერებაა, თავიანთი მახვილით არა ერთხელ რომ გადაურჩენიათ საქართველო ალგვას პირისაგან მიწისა. ხოლო თავისი სტუმართმოყვარეობით და კეთილი გულით ლადო ხალხური თქმულების შიოს მოგაგონებს, მისი მარანი-კი შიოს მარანს — რამდენიც არ უნდა დაეღლიათ ღვინო, თავისთავად რომ ივსებოდა ქვევრებით. ნუმც გამოლეულიყო ზენს მარანში ლალისფერი ღვინო, ჩვენო ლადო, მარად ამშვენებდნენ შენისთანა მამულიშვილები ჩვენს საქართველოსო!

ვინ არ მოუხიბლავს ლადოს მარანს, იგი მთავსებულია დიდი გემოვნებით ნაგები ორსართულიანი კვიტიკის ლამაზი შენობის სარდაფში. შესვლისას უშაღვე თქვენს ყურადღებას იპყრობს ფილაქნის კედლებზე კოხტად ამოტივთვრული წარწერები ლექსად; შეხვალთ მარანში და მუზეუმი გეგონებათ. თვალს იტაცებს ოთხასამდე სხვადასხვა ზომისა და სახის აზარფეშა, სასმისები, თიხის ჭამები, სურები, საღვინეები, ხელადები, ლამაზად დაწვობილი, სპეციალურად გაკეთებულ ხის ვერანდებზე. კედელზე დატანებულ ირმის რქებზე დამხობილია ნაირ-ნაირი მოყვანილობის ყანწები, ზედ შუა კედელზე ვერცხლის ძეწკვით ჩამოყიდებულია გიორგი სააკაძისეული ვეება ყანწი, რომელსაც თავისი სიდიდით და იშვიათი სილამაზით საქართველოში ბადალი არ მოეპოვება. დაბლა კი მწკრივად ჩაყრილი ქვევრები, კოხტად გამოთლილი სარკველებით, კვიტიკის საწნახელი და ლამაზად ნაგები ბუხარი.

საკაძისეული ყანწი სიგრძით მეტრი და თორმეტი სანტიმეტრია, ჩადის 21 ჩაის ჭიქა, ე. ი. სამლიტრანახევარი. მის გამკეთებელს ასეთი რამ დაუწესებია: ყანწი იმისი იყოს, ვინც სულის ერთი მოთქმით დაცლისო. ეს ყანწი აგერ-სამი საუკუნეა მოგზაურობს ქართლში და ძალიან ძნელად თუ გადავა ხელიდან ხელში, ოჯახიდან ოჯახში. მისი არსებობა 1935 წელს შეიტყო ლადო გოგიბედაშვილმა უფროსებისაგან და თავისი ამხანაგებით მამინვე სოფელ სამადლოში დაერქო, ზუბიაშვილების ოჯახში. ყანწი ოჯახის უფროსს შაქრო ზუ

ბიაშვილს ნახევარი საუკუნის წინათ ბეთანიაში ღამის სათევად მოსულ, მოქიფე კავთისხვეველებისათვის მოეგო და აგერ, მას შემდეგ მის ოჯახში ინახებოდა. ამ 50 წლის განმავლობაში ვერავის ვერ მოეხერხებინა მისი მორევა.

გოგიბედაშვილის მისვლის მიზეზი რომ შეიტყო შაქრო ზუბიაშვილმა, იქედნურად ჩაიქირჭილა თურმე და უთხრა: შენისთანა ფლავნები ბევრი დასტიდებია, მაგრამ ზურგზე ორივე ბეჭით დაცემულანო.

ლადომ უკან არ დაიხია. გაიმართა დიდი ქიფის სულის ერთი მოთქმით ოთხ წუთში დაცალა ყანწი და ბეთანიიდან ისევ კასპის რაიონში, ამ გერად კი სოფელ ზემო ხანდაკში გადაიტანა.

1948 წელს ქართველი გოლიათი სანდრო კანდელაკი ესტუმრა ლადოს ზემო ხანდაკში. სანდრომ კარგა ხანს ატრიალა ხელში ეს ყანწი, მოეწონა კი არა, თვალი ზედ დარჩა, მაგრამ შეგმა ვერ შეხედა და სინანულით ესლა თქვა:

— ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავ, დავეჭიებოდი, ახლა ტყუილა ფაფხური გამომივიაო.

სანდრო ამ დროს 70 წელს უახლოვდებოდა.

ქართველი ინტელაგენციიდან ძია ლადოს ბევრი მეგობარი ჰყავს, რომლებიც არ იფიწყებენ მას და ხშირად თუ არა, შეგადაშოგ მაინც ჩაუვლიან ხოლმე. ქართველი მწერლებიდან, გარდა გიორგი ლეონიძისა და გიორგი შატბერაშვილისა, სხვადასხვა დროს ამ მარან-მუზეუმში ყოფილან სტუმრად მიხეილ მრეველიშვილი, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ანდრო თევზაძე, პროფესორები — გაიოზ იმედაშვილი, შალვა ლლონტი, ალექსანდრე უსტიაშვილი, აკად. სარაჯიშვილი და სხვები; სტუმართა შორის იყვნენ გამოჩენილი სპორტსმენები, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები — ვახტანგ ბალაძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, გივი კარტოზია, ლავრენტი კაციაშვილი და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

ძია ლადო, რომ იტყვიან, სწორედ რომ წიგნის ტრუიალია. განსაკუთრებით უყვარს „ვეფხისტყაოსანი“. ზეპირად იცის ყველა აფორიზმი და მთელი რიგი თავები. რომელ ენაზე და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა დაიბეჭდოს ქართველი ხალხის ეს ძვირფასი საუნჯე, ერთი სული აქვს, როდის შეიძენს. აბა შეიარეთ მის მარან-მუზეუმში და დაათვალიერეთ მის მიერ ფაქიზად მოწყობილი

ძია ლადო მომავალ ფლავნებთან.



სტენდი. გარდა სხვა ენებზე გამოცემული „ვეფ-
ხისტყაოსნისა“, აქ ნახავთ თითქმის ყველა უნი-
კალურ ქართულ გამოცემას, დაწყებული ვახტანგ
VI-ის დროიდან დღემდე.

1886 წელია. საქართველო რუსთაველის დაბა-
დების 800 წლისთავს ზეიმობს. თბილისის სავსეა
ზეიმზე ჩამოსული სტუმრებით; იმ ხანებში მწე-
რალთა კავშირის ერთი კარგად ჩასწმული, წარ-
მოსადგეი შესახედაობის გლეხი მიადგა. ირაკლი
აბაშიძის კაზინეტის კარი მოწინააღმდეგე შედო და
ზეიმზე ჩამოსული საზღვარგარეთელი სტუმრები
ზემო ხანდაკაში მიიპატიჟა.

ძნელი მისახვედრი არაა, ეს წარმოსადგეი გლე-
ხი ლადო გოგიბედაშვილი იყო...

რა უნდოდა და რა სჭიდა ძია ლადოს?
ქართველი გლეხკაცის სტუმართმოყვარეობა, თუ
შეზობილი კულტურისადმი უსაზღვრო სიყვარული?

რა თქმა უნდა, ერთი-ცა და მეორეც. უბრალოდ.
მას უნდოდა თავის მარაში მიეწვია ისანი, რუს-
თაველის პათვისმცემლები და ამით მდლობა გა-
დაეხადა იმ გაწეული დეწლისათვის. რაც მათ
დასდეს „ვეფხისტყაოსნისა“ და საერთოდ, ქართუ-
ლი კულტურის უცხოეთში გატანის საქმეს.

ზემო ხანდაკაში სტუმრების წაყვანა მართლაც
გადაწყვეტილი იყო, მაგრამ დროის სიძვირის გა-
მო აღარ მოხერხდა, რის გამოც გული ატკინეს
ჩვენს ძია ლადოს.

ამით მთავრდება ლადო გოგიბედაშვილის ცხოვ-
რების მხოლოდ ერთი მხარე. არა ნაკლებ საინტე-
რესოა მეორე მხარე — მისი სპორტული მოღვა-
წეობა, რითაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილ-
ზე სულდგმულვდა და მისაღმი ტრფალი დღესაც
არ განელებია.

არც ერთი სპორტი ისეთი პოპულარობით არ
სარგებლობს ქართლში, როგორც ქართული ჭიდა-
ობა. აქ ყველა ჭიდაობის ტრფალია. ამიტომ ზა-
ფხულობით თითქმის ყოველ კვირა დღეს იმარ-
თება ზემო ხანდაკაში ეს საინტერესო შეჯიბრება,
სადაც თავიანთი ძალისა და ვაჟკაცობის გამოსა-
ვლინებლად მოეშურებიან ტალი-ტალიკი ბიჭები
ახლო მდებარე და მტკვრის გაღმა სოფლებიდან
(კავთისხევი, ნოსტი, მეტეხი, ერთაწმინდა, ყარა-
ლაქი, სასირეთი, ხოვლე, დოესი, ხიდისთავი, სამ-
თავისი, ქვემოქალა, ლამისყანა), ჩამოდიან თბი-
ლისიდანაც კი.

აქ გამართულ შეჯიბრების ხშირი სტუმრები
არიან საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალ-
გზის ჩემპიონები, საქვეყნოდ განთქმული ფალავ-
ნები; ზემო ხანდაკის ასეთი აღიარება კასპის რა-
იონში იმითაცაა განპირობებული, რომ ამ სო-
ფელს საქმოდ მძლავრი მოჭიდავეები ჰყავს. გა-
სულ წელს ზემოხანდაკელმა მოჭიდავეებმა საკოლ-
მეურნეო ფიჭულტურულ კოლექტივებს შორის
გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი
ადგილი დაიჭირეს. ამ არც თუ ისე დიდ სოფელს
ათი სპორტის ოსტატი ჰყავს. ამთგან ორი საქარ-
თველოს ჩემპიონია, ერთი კი — საბჭოთა კავში-
რის ჩემპიონი.

აი ისინიც: ოთარ გოგიბედაშვილი — აშუა-
მად ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარე; ნიკოლოზ გოგიაშვილი — ზემო ხან-
დაკის საშუალო სკოლის ფიჭულტურის მასწავ-
ლებელი, საქართველოს 1954 წლის ჩემპიონი ქარ-
თულ ჭიდაობაში; აღეჭხანდრე ქვიციშვილი, აკა-
კი მალაქიძე, ოთარ კელაპტრიშვილი, საბჭოთა კავ-
შირის 1964 წლის ჩემპიონი და სამგზის საბჭოთა

კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, თვრამე-
ტი მედლისა და მრავალი დიპლომისა და სიგელის
მფლობელი ნუგზარ გოგიბედაშვილი და ნუგზარ-
ის მამა — ჭიდაობის ძველი ვეტერანი, რესპუბ-
ლიკური კატეგორიის მსაჯი, ჩვენი ლადო გოგი-
ბედაშვილი და კიდევ სხვები...

1914 წლის 18 ივლისი... ქუჩებში გამოკრული
აფიშები თბილისელებს ამცნობს, რომ ამ დღეს
დიდებში გაიმართება საინტერესო კავკასიური
ჭიდაობა, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან საქვეყნოდ
ცნობილი წყვილები: კულა გლდანელი და ნესტორ
გაბუნია; ბუზარიაშვილი და მელაშვილი; გიორგი
ჭიბური და ლოკო კუპატაძე; ბებერუა როსტია-
შვილი და ქორჩოა მუხრანელი; ზურაბ ფანოზა-
შვილი და გიორგი ქიციყელი; ნიკა კაკაშვილი და
უსუფ ისმაილოვი; გიგუცა შავსოფელი და სან-
დრო დალაქიშვილი; პატარა ჭიბვირი და აღეჭხი
ლამისყანელი; პატარა ხანდაკელი და პატარა ნახა-
ლოველი და სხვები.

აქ დასახელებული პატარა ხანდაკელი ლადო
გოგიბედაშვილი გახლავთ, ხოლო პატარა ნახა-
ლოველი — ცნობილი მოჭიდავე ა. ბერიაშვილი.
ლადო გოგიბედაშვილი პატარა ხანდაკელის
ფსევდონიმით იმ დღეს პირველად გამოვიდა სა-
ჭიდაო არენაზე. მართალია მას ჭერ არავინ იც-
ნობდა, როგორც მოჭიდავეს და ასაკითაც პატარა
იყო, მაგრამ გაგებული ჰქონდათ რა ჭანის პატ-
რონიც იყო. ამიტომაც დართეს ნება ეჭიდავა გა-
მოჩენილი ფალავნების — კულა გლდანელის, ნეს-
ტორ გაბუნიას და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი მო-
ჭიდავეების გვერდით.

ბერიაშვილმა, რომელიც ხუთი წლით უფროსი
იყო თავის მოწინააღმდეგეზე და იმ დროისათვის
საქმოდ პოპულარულიც, ხან აქედან შემოუჭრო-
ლა პატარა ხანდაკელს, ხან იქიდან. ხან გარეთ
ფხვით სცადა მისი წაქცევა, ხან შუა სარბით, მაგ-
რამ ვერაფერს გახდა და ჭიდაობა უშედეგოდ
დამთავრდა.

იმდღიდან პატარა ხანდაკელი და პატარა ნახა-
ლოველი ძმაკაცები გახდნენ. ბერიაშვილს იმ ხა-
ნად წრე ჰქონდა ჩამოყალიბებული და ბიჭებს ას-
წავლიდა ქართული ჭიდაობის ილიეთებს.

ლადო ბერიაშვილის წრეში დაიწყო ვარჯიში.
მეცადინეობა ეწყობოდა სატივეზე, აშუამად ვერის
ხიდთან, მტკვრის ნაპირზე, ქვიშაზე.

ლადო ბევრი რამ ისწავლა ამ წრეში, მაგრამ
დიდხანს აქ არ გაჩერებულა. პატარა ვერელის,
ცნობილი მოჭიდავის გიორგი კახინაშვილის წრეში
გადავიდა და ახლა იქ ვანაგრო მეცადინეობა.

ლადო გოგიბედაშვილი მალე დაეუფლა ტექნი-
კას, ისწავლა ჭიდაობის ყველა საიდუმლოება და
ახლა უკვე გაბედულად დაიწყო საქიდაო არენაზე
გამოსვლა. ყველაზე უფრო მეტად ემარჯვებოდა
შუა ფეხი და თქოზე მოკიდება. ვისაც ამ ხერხზე
მოიგებდა, მისი საქმე გათავებული იყო.

ლადო მალე გაითქვა სახელი და დაუახლოვდა
ცნობილ ფალავანს მიხეილ შაოშვილს. ერთხანს
შაოშვილის დასში გამოდიოდა, შემდეგ ეფიოვი-
სა და ესოკოვის ცირკში ჭიდაობდა. 1927 წელს
ნესტორ ესებუამ ჩარიცხა თავის დასში და საქი-
დაოდ დასავლეთ საქართველოში წაიყვანა, სადაც
ჭიდაობებს აწყობდა სხვადასხვა ქალაქებში.

ზუგდიდში შეხვდნენ იმ ხანად რუსეთიდან ჩა-
მოსულ ძალოსანს ვინმე ბროდსკის, რომელიც
მხარზე ხეს იდებდა და აქეთ-აქედან თექვსმეტ-
თექვსმეტი კაცი ეკიდებოდა. ყოყლოჩინა ბროდს-

კი, თურმე ვინც შეხვდებოდა, ყველას საქიდაოდ
იბოვდა.

ნესტორ ესებუამ ლადო გადაუყვანა დასაქიდაბ-
ლად. ლადომ შვიდ წუთში დასცა მდევით ვაჟ-
კაცი და გამარჯვებაც მოიპოვა. ამ ჭიდაობას დასწ-
რებიან შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის უფ-
როსი ინჟინერი ბერიძე და ცნობილი რევოლუცი-
ონერი საზა გეგეჭკორი, რომლებიც ალტაცებაში
მოსულან ლადოს ვაჟკაცობით.

არც ნესტორ ესებუას დასში გაჩერებულა დიდ-
ხანს. ბოლოს თვითონ შექმნა გუნდი და მუშტა-
ილის ბაღში მართავდა ჭიდაობებს, ამას გარდა,
მოგზაურობდა ქართლსა და კახეთში. გაზაფხულ-
შემოდგომის პერიოდში კი თბილისის ირგვლივ იმ
დროს არსებულ საქიდაო მოედნებზე მართავდა
ამხანაგურ და საჩვენებელ ჭიდაობებს; იგი არის
ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტი ქართული
ჭიდაობის განვითარებისა და გავრცელებისა.

ვინ იცის ვის არ შეხვდებოდა ჭიდაობაში ლადო
გოგიბედაშვილი: ნესტორ ესებუას შვილებს —
ლადოსა და შალვას, კოლა იარმუკელს, სიმონ
განძიძეს თუ ტოლო ჭოპორტელს, გიგუა ტიქინაძეს
თუ აქია ნახლოველს, შამილა გიგეიშვილს თუ
ლევან დიდმელს. კაკო ადგიშვილს თუ რუხიელ
გურასპაშვილს, დათიკო ხელთუბნელს თუ გოგი-
შვილს, გიგუცა დოლიშვილს თუ ირაკლი კასრა-
ძეს... ვინ იცის რამდენი გამარჯვება უწეიდა,
რამდენი სისხარული განუტოდა.

არც მოჭიდავეთა სტენდის მოწყობა დაფიქვია
ძია ლადოს, ოქანში შესვლისთანავე ყველას ყუ-
რადლებას რომ იპყრობს: ვინ გინდათ, რომელი
დროის ფალავანი, რომ მისი სურათი აქ არ იყოს
გამოკიდული!

მაგრამ ძია ლადოს, საზოგადოებრივი მოღვაწე-
ობა მართო სპორტით არ ამოიწურება. იგი არის
ჩვენი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ვე-
ტერანი, ოცდაათიან წლებში დუშეთსა და მჭადი-
ჯვარში საბჭოს თავმჯდომარედ უოფნის დროს მან
დიდი მუშაობა ჩაატარა კოლმეურნეობების ჩამო-
ყალიბებისა და მათი განმტკიცებისათვის, კარგი
მუშაობისათვის მრავალჯერ იყო არჩეული პარ-
ტიის დუშეთის რაიკომის წევრად, მშრომელთა
დებუტატების დუშეთის რაისაბჭოს დებუტატად
და რაიალმასკომის წევრად. არჩეული იყო საქარ-
თველოს კომპარტიის IX ყრილობის დელეგატად.

გაფრინდა ლადო გოგიბედაშვილის ცხოვრების
მჩქეფარე წლები, მაგრამ ქართული ჭიდაობისადმი
სიყვარული არამც თუ განეღდა მის გულში, პი-
რიქით გაძლიერდა. იგი ყველა ახალგაზრდებს შო-
რის ტრიალებს და სამშობლოს უზრადის ახალ-
ახალ სპორტსმენებს.

სულ ახლახან საქართველოს სპორტულმა საზო-
გადოებრიობამ თავის მშობლიურ ზემო ხანდაკაში
დაბადების 70 და სპორტული მოღვაწეობის 50
წლისთავი გადაუხადა დეწლისმოსილ ვეტერანს; ამ
თარიღისადმი მიძღვნილი საღამო გახსნა საქარ-
თველოს ფიჭულტურის კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილემ, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა
ვახტანგ ბალავაძემ, შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს
კასპის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გივი კი-
კაჩიშვილმა, გ. ხორგუაშვილმა და ამ სტრიქონე-
ბის ავტორმა. ისინი სიყვარულით ლაპარაკობდნენ
ძია ლადოზე, იმ კაცზე, რომელმაც მთელი თავისი
სიცოცხლე, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრე-
ბა, თავისი ცოდნა და გამოცდილება ქართული ჭი-
დაობის განვითარების საქმეს შესწირა.

კვლავაც გვინდა ვუსურვოთ ძია ლადოს დიდხანს
სიცოცხლე და ბედნიერება. დაე კვლავაც აღეზარ-
დოს მრავალი სასახელო ფალავანი ჩვენი სამშობ-
ლოს საკეთილდღეოდ!



მხატვარი
ა. შიშხარია

აკსან ბალაშვილი

გამხდარი კაცი იყო, ქუჩიანი ტანსაცმელი ეცო და აბურძახალი იმედი ღაღიოდა.

ბოლო ხანებში წელშიც მოიხარა, ხელების კანკალი დასჩემდა და თითქოს ხელ ფაფას უბერავს, ტუჩები ისე გამოებურთა.

სირბილი აღარ შეეძლო, ასოდე ნაბიჯს გაივლიდა და მონგრეულ საბურველივით ქშინებდა.

ბავშვებმა დაუსტვინე შეარქვეს. ღამეებს საღ ათედა, კაცმა არ იცოდა. დღისით სასაფლაოს კარწინ იდგა და შემსვლელსა და გამოძვლელს ხვეწებოდა:

— ერთი ჭიკა დამალევიწე, რა! მორღუბლული დღე იყო, მწვერვალზე შემოდგომის ქუფრი იწვა და გარგვალს ელვის ზიგზაგები სერავდა.

დაბა წვიმის მოლოდინში გაჩინდებულყო, ბელურბოც კი აღარ ეივებდნენ.

უამინდობის მოლოდინში შინ დაჩრნილი გლეხები აქა-იქ შეგზუვებულ იყვნენ და თავიანთ გასაჭირსა, თუ წლის მოსავალზე ბაასობდნენ.

დაუსტვინეს იმათი არაფერი გაეგებოდა, არსობის პურის საშოვნელად სასაფლაოს კარებში ჩამდგარყო.

ყოფილებას არაფერს აქცევდა. ისევე მოხუცმა თერძმა გაიხსენა, მხარზე ხელი დაადო და დახლიან ძაიყვანა.

დაუსტვინემ ხელები მოიფშინტა. თერძმა დახლიდარს ფული გადააწოდა.

— ასი გრამი არაყი დაასხი! დაუსტვინემ თერძს შესცინა.

თერძმა დახლიდარს პირთამდე სასვე ჭიკა გამოართვა და დაუსტვინეს წინ დაუდგა.

დაუსტვინემ ჭიკა წამოიტაცა, ჩაახველა და ჩახლყინილი ხმით წამოიდილინა.

— თო ჩემო... — ჰო კარგი, დაღე, — შეუტია თერძმა.

დაუსტვინე სასმელს მოელაცია, ტუჩებთან ხელის კანკალით მიიტანა, გამოცალა და ჭიქას ძირზე აკოცა.

— გაამს, — შეაგება თერძმა და პურის ნატეხი და ყველის ნატერი შეაწოდა.

დაუსტვინე მისატანებელს არ გაეკარა, პირი გაჩინდული სამაჯროთ შეიწმინდა და მაგიდებს ცეკვა-ცეკვით ჩამოუარა.

მოხუცი თერძი კარგ ხასიათზე იყო და დაუსტვინეს მეორე ჭიკაც დააღვივინა.

დაუსტვინე ღიმილად იქცა, ცეკვა კი ვეღარ შესძლო, სასმელმა მუხლი მოჰკვეთა, არაქათი გამოაცალა და მჩვარივით მიავდო.

თერძი გამტერებული უყურებდა. თითქოს ფქვრებში გაერთოთ, დაუსტვინე ერთხანს ისე გაიჩინდა, მერე აბურჩულდა, ქოშინით წამოდგა და ტირილი აუვარდა.

თერძმა საყელოში ხელი ჩაავლო, შეანჯღრია და ჰკითხა:

— რა გატირებს? დაუსტვინემ უკან დაიხია, კედელს მიეხალა და თავი ჩალუნა.

თერძმა კვლავ შეანჯღრია. — ვარამს თქმა უნდა, გულიდან მოგეშვება.

— დედაჩემს ხელი ვკარი, სკივრზე გადავჩეხე და... იმას ვნანობ, წაბუტბუტა დაუსტვინემ და ტირილს უმატა.

თერძს სახეზე სინანული აეხატა.

— შე საცოდავო, ეგ რა დაგმართინა?! — ძლივს გასაგონად წაუჩურჩულა, საყელოს ხელი შეუშვა და ცივ-ცივ გაეცალა.

დაუსტვინეს მამას — ნემსიწვერას დილით მეზობლის ვირი რომ მოეკარა, საღამოთი კოლმეურნეობის მოზვერს დაჰკლავდა, ასო-ასო აჰქნიდა და ხორცს ცხრამთას იქით გაჰყიდდა. მერე სასოფლოზე გამოვიდოდა და ქვეყნის გასაგონად დაიძახებდა:

— ვინ თავმჯდარმა დაგვლუბა, მარჩენალი ხარი რომელმა ოხერ-მუდრეკმა დაგვიკლა?! მეზობლები ჩუმაღ იცინოდნენ.

ნემსიწვერა განაგრძობდა: — ეს გარეწრები ხალხს აღარაფრად სოვლიან, მშრომელებს თავზე გადაასხდნენ და რაც მოესურვებათ, იმას სჩადიან.

ქალები ქოქოლას აყრიდნენ. მამაკაცები ჩურჩულდებდნენ:

— რაღა გვიჭირს, გულშემატკივარი გამოგვივიდა?! — ტბილი სიტყვის თქმა ავ გზაზე მავალს უფრო ეხერხება, — პალუხობდა მეორე.

ნემსიწვერა ახლა უფროსებს ესაყვედურებოდა: — საერთო დოვლათს არ უფრთხილდებით, ხალხის ქონებას ანიავებთ.

ნემსიწვერას ერთადერთი შვილი ჰყავდა და თავისი ჰკვიით იგი ნასწავლ კაცად უნდა გამოეზარდა.

მეზობლებთან ხშირად ტრებახობდა: — ამ ქვეყანას უსწავლული მეც ვეყოფი, ჩემი შვილი აუცილებლად პრადოსორი უნდა გამოვიყვანო.

— ნეტამც აგრე იყოს. — კარგ გზაზე მავალი მარტო თავის თავს კი არა, ქვეყანასაც არგია.

— კეთილის სურვილი ცოდვილსაც კი მადლად ჩაეთვლება, — პასუხობდნენ მეზობლები.

იმ წვლიწვადს გვალვა დაიჭირა. მინდვრები გადაიტუსა და მოსავალმა ბარაქა არ დაიღო.

გლეხებს ძალიან გაუჭირდათ, წლის სარჩო ვერ დაიგულეს და გარე საშოვნობებს მოაშურეს.

თავის სიცოცხლეში დაუსტვინეს ერთი დღეც არ უმუშავნია, საშუალო დამთავრა, ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს ოთხჯერ აბარებდა და ოთხჯერვე პირველ საგანში ჩაიჭრა. ახლაც ქალაქში იყო და კვლავ გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა.

ნემსიწვერას შვილისთვის ფული უნდა გაეგზავნა, ორი დღე მინდორში იხეტიალა, უპატრონოდ მიტოვებულ საქონელს ვეღარ მოატანა და შინ ხელკარიელი დაბრუნდა.

— ხომ ხედავ, ბიჭის იქ შენახვა გვიჭირს, მოგეყვანა, ცოტახანს მხარში ამოგეყენებინა, მოვიძობინებდით და... — ურჩია მეუღლემ.

— აქ მეც ვეყოფი, ულუკმაბუროდ რომ დავრჩე, იმას მაინც უნდა ვასწავლო.

მეუღლე გაუჩუმდა. ნემსიწვერას შინიდან ბაზარზე გასტანად არაფერი ემეტებოდა.

ნემსის ყუნწში გაფეგრები და ორიოდ დღეში ფულს ვიშოვნო, მაინც ამას ვიჭიროებდა.

მინდბუნდი იდგა. ნემსიწვერამ შინ ვეღარ მოიხსენა.

— ცოტახანს გარეთ გავალ, სოფელს თვალს გადავავლებ, — მეუღლეს დაუბარა და წავიდა.

ნახილი მინდვრიდან დაბრუნებულიყო, ცხვრები ბაქებში ბლოდნენ. ვირები დერეფნებში ეხნენ.

აკ. სსრ კ. მარქსის
საზ. საზ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნემსიწვერამ ერთხანს კოლმეურნეობის საწყობთან იტრიალა, შიგ შეხად-
რომი ხვრელი ვერსად მონახა და მერე გარაჟს აუარ-ჩამოუარა.

დარაჟმა რაღაცა იეჭვა, ჩხუტირიდან თოფი გამოიტანა და ნემსიწვერას
ლანდივით აუღევნა.

ნემსიწვერა გარაჟის კუთხესთან შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა.
არაინა ჩანდა.

ნემსიწვერამ ჯიბიდან გაზი ამოიღო; მესერს ფიცარი ფრთხილად ააძრო
და გარაჟში შეტერა. მერე ფიცარი მიხურა.

დარაჟი ცოტახანს შეყოვნდა.
გარაჟიდან ყრუ ხმაური გაისმა.

დარაჟიც გარაჟში იმავე გზით გადაძვრა, მესერს აეკრა და გაირინდა.
ნემსიწვერას მსუბუქი მანქანისთვის საბურავი მოეძრო და მესერისკენ

პოარბენებდა.

დარაჟმა თოფი მიუშვირა და გააფრთხილა:

— შესდექი, თორემ გესერი.

ნემსიწვერამ დარაჟს საბურავი მიუგორა, უცბად შეტრიალდა და გაიქცა.
დარაჟს სასხლეტზე თითი დაუცდა, თოფი გავარდა და ნემსიწვერას ბე-
ჭებში საფანტი შეაყარა.

დარაჟი დაიბნა.

ჭრილობა საშიში არ იყო, ნემსიწვერა მესერზე გადახტა და გაიქცა.
თოფის ხმაზე გარაჟთან ხალხმა მოიბრინა.

დარაჟი ნემსიწვერას დასახელებას მოეროდა და ხალხს ესლა უთხრა:

— ვერ ვიცანი, ისე კი მგონი ბეჭებში დავეჭერი.

საავადმყოფოს კარებზე დამიდარაჯებენ, თავს ხომ ძალად არ ჩავიგდებ.
ეჭა ნემსიწვერამ და ექიმთან არ წავიდა.

დარაჟიც ჯიუტად დუმდა.

ორიოდ დღემ განვლო და ნემსიწვერა მოკვდა სისხლი მოსწამვლოდა.

* * *

ორიოდ დღით ჩამოვიდა.

დაუსტვინემ ცოტახანს სოფელში იბორიალა, მერე დამწუხრებულ ღე-
დას გამოუარა და გამოუცხადა:

— მამაჩემის სურვილს ვერ გადავუვალ, ქალაქში უნდა წავიდე და გა-
მოცდები ჩავაბარო.

— ფული რომ არა გვაქვს? — შეწუხდა დედა.

— ძროხას გავყიდო და... მუშტარი უკვე გამოვინახე.

— მერე უძროხოდ როგორ უნდა ვიცხოვრო? — დაიწუწუნა დედა.

— ვიყიდით.

დედა გაუჩუმდა.

დაუსტვინემ ძროხა გაციდა და ქალაქში წავიდა.

მამა აღარა ჰყავს, ახლა კი ჰყავს ისწავლის, საზრიანად მოიქცევაო, დე-
დამ გული დაიარხენა.

დაუსტვინემ ის ფული ორიოდ კვირაში შეკამა და შინ ხელცარიელი
დაბრუნდა.

— რა ქენი? — ჰკითხა დედა.

— ვაბარებ, — მიუგო დაუსტვინემ და დედის თვალებს თვალები დამ-
ნამაყნავით მოარიდა.

დედამ რაღაცა იეჭვა და შვილს ცივ-ცივ გაეცალა.

დაუსტვინემ დილთ გომიდან ვირი გამოიყვანა და ყელზე ძველი თოყის
ნაწყვეტი შეაბა.

— შვილო, ნეტა გემუშავა? — შეხედა დედა.

— შენც მოგვლია რაღა, ვინცა მუშაობს ხელში რა ჩემი ვეხები უკი-
რავს, — შეაგება დაუსტვინემ და ნაცარა ვირი ბაზრის გზას გაუყენა.

დედამ გული ტირილით მოიხა.

დაუსტვინემ ამ ჯვრად ქალაქში აღარ წასულა, ის ფული იქვე შემოეხარა.
დედამ ნათესავები შეყარა.

დაუსტვინემ ნათესავების რჩევა-დარჩევა არაფრად ჩააგდო და მეორე
დღეს ინდაურები და ქათმები გაყიდა.

იმ დამეს შინ აღარ მოსულა, საიღაცა ქეიფობდა.

დედა გამწარებული იყო, აღარ იცოდა რა ექნა.

დაუსტვინემ მოშუადღევებულზე მოვიდა.

დედამ გული დაიწყინა.

დაუსტვინეს სახე შეშუბებული ჰქონდა და მალმალე იღრჩებოდა.

— სად იყავი? — ჰკითხა დედა.

— იქა... გამოცდებისთვის კაცი ენახე.

— ნეტა გემუშავა.

— ეს შენცა... მუშაობასაც მოვესწრები, ახლა კი ცოტაოდენი ფული
მჭირდება.

დედა მოიღუშა.

დაუსტვინემ თავი ჩაღუნა და ისე ჩაილაპარაკა:

— კაცი უკვე ნაშოფნი მყავს, ფულს მომიცემ თუ არა, წავალ და მამიწვე
ჩამრიცხავ.

დედამ მხრები აიჩეჩა.

— შვილო, რას მავლულებ?!

— შენი რამერუმებზე გავყიდოთ. — შეაგება დაუსტვინემ და პასუხს
არც დაელოდა, სკივრისკენ გასწია.

— ყველაფერი ერთბაშად რომ გავყიდოთ, მერე რილათი ვიცხოვროთ? —
დაუყვავა დედა.

— ნეტავი მაგას რასა დარდობ, აი მოვეწყობი და მერე დედოფალივით
ვაცხოვრებ, — მოუტრა დაუსტვინემ, სკივრს ბოქლომი მოაძრო და გადახუფა.

დედას სკივრი დაუხუფა.

დაუსტვინემ გაძლიანდა.

— მამისეული ყველაფერი გადაჭამე და ჩემს მზითვეს რაღაზე მემართლე
ბი?! — სიღარიბისა და შვილის უქნარობისაგან გაბოროტებულმა ქალმა და-
უყვარა და სკივრს გადაეფაფრა.

— ფული მჭირდება მეტქი, — დაუსტვინემ დედას წაუბუზღუნა და
ხელი ჰკრა.

ქალი სკივრს მაინც არ მოშორდა.

— რაც დაგიომე, ისიცა კმარა, ცოცხალი თავით აღარაფერს გავაყიდინებ
ნასმურევეზე დაუსტვინეს თავი სტკიოდა, მოსაგერისებელი ფული არა


ჰქონდა და დედის ასეთმა საქციელმა ძალიან გააბრაზა; ჯერ უქიმიწა, მე-
რე ფეხი მისცხო და სკივრზე გადაიქნა.

ქალმა ეს შეურაცხყოფა იწყინა, თუ ჩასწყდა რამე, არაინ იცის, ცოტა-
ხანს იავადა და გარდაიცვალა.

ეულად დარჩენილმა დაუსტვინემ სახლი, თუ ქავი ორიოდ თვეში გადა-
ქამა, მამაბაბულზე გასაჩრებელი ადგილი აღარ დიტიოვა და სოფლის
გვერდით მდებარე დაბაში გადაბარგდა.

მას შემდეგ სასაიდლოს კარებში დგას და ორიოდ ჰიჭა სსსმელს დააღე-
ვინებენ თუ არა, ტირის.

პოეტის და მთარგმნელის



პოეტისა და მთარგმნელის ვასილ ლაფერა-
შვილს დაბადებიდან 60
წლისთავი შეუსრულდა
მისი პირველი ლექსები
დაიბეჭდა 1927 წელს.
განვლილი წლების მან-
ძილზე მან გამოაქვეყნა
ოცამდე ორიგინალური
და თარგმნილი ლექსე-
ბის კრებული. ამას გა-
რდა იგი აქტიურად მუ-
შაობს ლიტერატურათ-
მცოდნეობის სფეროში.
აქ პირველ რიგში აღ-
სანიშნავია მისი მონო-

პოეტებისა და მსოფლიოს მოწინავე პოეტების
მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, და ნარკვევების
წიგნი მაიაკოვსკის შესახებ (რუსულ ენაზე).
ჩვენმა პრესამ გულთბილად აღნიშნა პოეტის
დაბადების თარიღი.
„დროშის“ რედაქცია სულითა და გულით
ულოცავს პოეტს მისი დაბადების სამოცი წლის-
თავს, უსურვებს დღეგრძელობას და ახალ შემოქ-
მელებითს წარმატებებს.

ვასილ ლაფერაშვილი

რუსთაველის პროსპექტი

პატარა ქუჩა, ეტლი უღარუნა,
ბაღში ხარობდა ნერგი ვაზისა...
და იდგა სახლი — სტუმართმოყვარე
აქ ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

დღეს მზის ცხრა თვალი ერთად ასხივებს,
ხან კი უშუშუნა წვიმით სველია, —
და ხალხი ლაღად დადის პროსპექტზე,
რომლის სახელი რუსთაველია.
ფიჭრებით მოცულს, დინჯი ნაბიჯით
აქ გაუვლია ხშირად ილიას,
ამხდარა მისი დიდი ოცნება,
სამშობლოს ზეცა მოწმენდილია.
თბილისის ნიავს მკერდშეშვერილი
ოპერის ბაღში მოსჩანს აკაკი...
ფალიაშვილთან, სარაჯიშვილთან
ყვავილნარია ნაზად ნაქარგი.
ლამაზ პროსპექტზე ჰანგების გრგვინით
როს ეგებება ზეიმს მშრომელი,
დემონსტრაციის შხუის მდინარე,
ჩქეფს ხალხის ტაღლა დაუცხრომელი.
დაგვნათის დროში და ბოლნისის ქვა
დედა-თბილისის სამოსელია...
ხალხი ამაყად დადის პროსპექტზე,
რომლის სახელი რუსთაველია.

ალექსი ოჩიაური

ახლანან გარდაიცვალა ალექსი ოჩიაური — პირველი მასწავლებელი ხევისურეთში (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ), ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფების მეგობარი და მრჩეველი, დაუცხრომელი მოღვაწე ქართული კულტურის ზრდისა და წინსვლისათვის; მან დიდი ამაგი დასდო მთელი ბავშვთა სწავლა-განათლების საქმეს. პარალელურად ალექსი ოჩიაური მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან, და დიდი მონაწილეობით კრებდა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს.

ალ. ოჩიაურმა ეთნოგრაფიული მასალების ძიება მაშინ დაიწყო, როდესაც ბევრი სამუშაო იყო და ჯერ კიდევ ცოტა სპეციალისტი გვყავდა; ახლად დაწყებული ეთნოგრაფიული კვლევა მოითხოვდა ბევრ შრომას, საქართველოს ყველა კუთხის სისტემატურ შესწავლას, ორგანიზებულ და ხანგრძლივ ექსპედიციებს. ასეთ ვითარებაში კორესპონდენტთა გამოყენება დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მთაში (ფშავ-ხევსურეთი) მუშაობას გარკვეული სიძნელეებიც ახლდა: ალ. ოჩიაური ამ გარემოში ტრიალებდა, თვით იყო ხევისურთა ყოფის უბედლო მცოდნე, რის გამოც მას არა მარტო უადვილდებოდა პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ სავანებოდ შედგენილი მეცნიერული კითხვარით მასალის ჩაწერა, არამედ საკუთარი ცოდნის საფუძველზეც აქვებდა მას.

ალექსი ოჩიაურმა მასალის საძიებლად შემოვიდა ფშავი, პირაქეთი და პირიქითი ხევსურეთი. ადგილობრივი მკვდარი მას იცნობდნენ და ენობრივად, თავისი კუთხის ყოფის საუკეთესო მცოდნე თავყაცები დაუფარავად უამბობდნენ მას ისეთ საკითხებზე, რომელზედაც სხვას საუბარს არ გაუბამდნენ. ამის შედეგად მან შესძლო აღედგინა ხალხში სათუთად შენახული გადმოცემები, რომელთაც ჩვენი წარსულის შესწავლის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ალექსი ოჩიაურთან ერთად ეთნოგრაფიული მასალის დაუცხრომელი მამაკაცი იყვნენ: ნათელა და მელანია ბალიაურები და აწ განსვენებული ნიკო მაკალათია. ჩვენი საუკუნის 30-40-იანი წლების მანძილზე მათ დაავაროვეს მასალები, რომელსაც ამერიიდან ჩვენი ისტორიისა და ყოფის მკვლევარები გვერდს ვერ აუქცევენ.

მრავალფეროვანია ალ. ოჩიაურის მასალების თემატიკა: სოციალური ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა... ამ თემების უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად გვიჩვენებს ამ ხელშეკრული შეგროვების დიდ უნარს.

ალ. ოჩიაურმა განუზომლად ფასეული ეთნოგრაფიული მასალა შეკრიბა ხალხის ყმობის ინსტიტუტსა და სახალხო მიწებზე. ამ მასალის მნიშვნელობა განსაკუთრებული იმითომაცაა, რომ იგი უმდიდრეს ცნობებს შეიცავს ძველი



მარჯვნიდან მარცხნივ: ალექსი ოჩიაური, თედორე გორელაშვილი, ექიმი გიორგი თედორაძე და სახალხო მოქმედი ბადრიშვილი.

საქართველოს სოციალური სტრუქტურის შესასწავლად. სწორედ მთელითა ამავე წყების მასალებზე პროფესორმა ვერა ბარდაველიძემ აღადგინა ისეთი იერარქიული სისტემა, რომელიც მხოლოდ ადრეკლასობრივ წყობილებას შეესაბამება.

ასევე სრული და სანიმუშო მასალა შეკრიბილი ჩვეულებით სამართალზე, უძველეს მითოლოგიურ გადმოცემებზე ღვათაბათა ბანთონზე, მიცვალებულის კულტზე (დაბეჭდილია კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. III, 1940).

უნიკალურია ალექსი ოჩიაურის მიერ ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების მასალები, რომლის შეკრება მან თავდაპირველად აკაკი შანიძის მითითებით დაიწყო. წლების მანძილზე იგი ამ მასალას თანდათან ხვეწდა და ახალი ვარიანტებით და უცნობი ნიმუშებით ავსებდა (გამოქვეყნებულია მხოლოდ ნაწილი „ფშავ-ხევსურული პოეზია“, თბილისი, 1970).

ალ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილი მასალები სრულად არ არის გამოცემული. ამ მასალების გამომხეურება უნდა ითავონ სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებმა და გამომცემლობებმა.

ჯუღიბა რუხაძე

ბ უ რ უ ლ ე ბ ი ს რ ძ ა ლ ი

ახლა, ხალხთა დიდი დამეგობრების ეპოქაში, როცა სხვადასხვა ერის შვილთა ურთიერთ მიმოსვლა ესოდენ ჩვეულებრივი და ყოველდღიური ამბავი გახდა, ადარავის გაუკვირდება საქართველოში გადაწყდეს ადამიანს, რომელიც შუა ევროპაში დაბადებულია, ჩამოსულა აქ, მომკიდებია ოჯახს და მეროვე სამშობლო უბოვია. ჩვენშიც და სხვაგანაც ახლა ეს ძალზე ჩვეულებრივი ამბავია. ადრე კი უფრო იშვიათი იყო; და ჩვენც აქ გვინდა მოვიხსროთ ამბავი ერთი ჩემი ქალისა, რომელიც გურიის, შუა სურბეში ცხოვრობს.

ამ ქალის სახელი და გვარია ტერეზა მახაჩი.

ამბავი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს.

— 1916 წლის ზაფხული იყო, — იგონებს ტერეზა, — მე სტუმრად ვიყავი დედაჩემის ბიძასთან, ფრანტიშეკ კამენსკისთან ბრნოს ოლქის (ბრნო პრადის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობს) სოფელ რაკვიცაში; იმ ხანებში იქ თხუთმეტი ქართველი. ტყვე მოიყვანეს მეურნეობაში სამუშაოდ. სამი დღის შემდეგ ცაშეთი კაცი გაიქცა, დარჩა მხოლოდ ორი — მიხეილ ბიჭაშვილი (მან იქაური ქალი შეირთო და საქართველოში წამოვიდა) და თეოფილე შათირიშვილი.

თეოფილე შუა ტანისა, შავგვრემანი, სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე კაცი იყო. პირველი შეხვედრიდანვე ამ კაცმა თავისი იერით, თავისი კეთილშობილური ქცევით რაღაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ახალგაზრდა ქალიშვილი ვიყავ, იმ ასაკში, როცა გული თავის ტალს ეძებს; მომეწონა ეს კაცი, შემოვივარდა, მაგრამ ვერც მას, ვერც ჩემიანებს ვერ გავუმიხილე ეს ამბავი. მერიდებოდა, ოდონდ ეს იყო, ჩემს ნათესავთან, ფრანტიშეკ კამენსკისთან სიპარულს მოვუხშირე, რათა ხანდახან მაინც მომეკრა თვლი მუშაობის პროცესში გართული მკვირცხლი გურულისათვის.

ერთ დღეს ჩვენთან ფრანტიშეკი მოვიდა და თეოფილეს დანაბარები გადასცა ჩემს მშობლებს: „თქვენი ქალიშვილი მიყვარს და ცოლად მომათხოვეთ, სამუდამოდ აქ, ჩეხოსლოვაკიაში დავრჩები“. ამავე დროს ფრანტიშეკმა

დასძინა: „უადრესად წესიერი და დიდი შრომისმოყვარე კაცია, მისი თაყვანები მე ვიქნებიო...“ ჩეხოსლოვაკიაში იმდროინდელი ადამიანების მიხედვით, უცხოელს ქალს მაშინ მიათხოვდნენ, თუ სასიძო აღიარებდა კათოლიკურ რწმენას, პატრს რაღაც გამოცდას ჩააბარებდა (ლოცვები უნდა წაეკითხა) და თანაც ერთი ადგილობრივი სანდო კაცი თავდებად დაუდგებოდა.

ტყვე-ქართველის შემონათვალი რომ გავიგე, სიხარულით ცას დავეწიე. მე თვითონ ვერაფერს ვბედავდი და აი, ჩემს იდუმალ ფიქრსა და ოცნებას ფრთა ესხმოდა. შევუდექით ქორწილის სამზადისს. ტყვე ჩეხურ ენას უკვე კარგად იყო დაუფლებული, ჩეხურ სიტყვებს ის ქართული ანბანით იწერდა, რომ ლოცვა ზეპირად ესწავლა, რადგან ახლა ესლა უშლიდა ხელს ჩვენს ბედნიერებას. გამუდმებით ვმეცადინებოდი მე და თეოფილე და სულ მალე ფსალმუნებს ის სულ სხაა-სხუპით წარმოსთქვამდა, თვენახევრის შემდეგ წარსდა პატრის წინაშე გამოცდაზე და კარგადაც ჩააბარა. 1917 წელს ჩვენ დავექორწინდით.

ჩვენმა მშობლებმა პატარა მიწის ნაკვეთი მოგვცეს, ასევე მცირე ნაკვეთი სხვა მემამულიდან ავიღეთ იჯარით, ამ მიწაზე მოგვყავდა ხორბალი, კარტოფილი, ვიყიდეთ მეწველი ძროხა, მოვამრავლეთ ფრინველი.

ჩემი მშობლები დაგვემარნენ და პატარა სახლიც ავაშენეთ. 1918 წელს შეგვეძინა პირველი შვილი, ჩვენს სიხარულს სასწრაფო არა ჰქონდა... პირმშოს მამამ სახელად ვუა დაარქვა. თანაც მიიხრა — ეს ჩვენი, ქართველების დიდი პოეტის სახელიაო.

პატარა ვუამ მალე დაიწყო ტიტინი ჩეხურ და ქართულ ენებზე. ერთ უბედურ და მწარე დღეს გარდაიცვალა ჩემი ბიჭი.

გავიდა დრო. ახლა ქალიშვილი მეყოლა. იმასაც ქართული სახელი, ანიკო დავარქვეთ. იმანაც ჩქარა ისწავლა ქართული და ჩეხური ლაპარაკი.

1924 წელს თეოფილემ ვეღარ გაუძლო უცხოეთში ყოფნას, სამშობლო მოენატრა და მიიხრა შინ წავიდეთო. ჩემი მშობლები და ძმები მტკიცე უარ-



მობრობა

ლილა მესხი

წვიმიანი ღამე იყო, საშინლად დაღლილს, ის წუთი იყო ჩაეძინა...

- ვიღაც იძახის! — ჩაეხმა ცოლის ხმა.
- რაო?
- იძახიან მგონი...

ღამადღვულისრიანი, შუახნის კაცი ზანტად წამოდგა, ფარდა გასწია და გაიხედა. ეზოს ბოლოს, ჭიშკრის სვეტთან ვიღაცას ჩრდილი ირხეოდა.

- რომელი ხარ?
- ერთი წუთით თუ შეიძლება!
- ვინაა ის ოჯახდასაქცივი ამ თავსხმა წვიმაში? — ჩაილაპარაკა თავისთვის.
- ჰკითხე, შე ცაცო, ვინა ხარ-თქო? — შეახსენა ცოლმა.

— მაცალე ერთი! — შეიღრინა მან. — გაგიტეხავდეს თავს, კარგია, — ჩაილაპარაკა ქალმა და გვერდზე გადაბრუნდა. წუთით იყო. რაცა კიბეებზე ჩამავალი ქმრის ნაბიჯების ხმა მოესმა, სწრაფად წამოდგა, სქელი თმები სარკით დაიმაგრა და ხალათს დასწვდა.

ჭიშკრის სვეტს უცნობი ახალგაზრდა აკვროდა. საწვიმარ ლაბადაზე აჭა-იქ წყლის წვეთები ციმციმებდნენ.

- ბოლოში, ასე უდროოდ დროს რომ შეგაწუხეთ!...
- არაუშავს. რა გნებავთ?

— თქვენ მსუბუქი მანქანა გყავთ, ხომ?

- დიახ.
- ვერ წამყვებით? აქვე სულ ახლოს... რა გასაჭირში ვარ, რომ იცოდეთ!..
- კარგი, მაგრამ, ასე... — ერთ წუთს თითქოს შეტოქმანდა მანქანის პატრონი, მაგრამ ისე გაჩვეული იყო გზებზე უდროოდ ხეტიალსა და უცხო მგზავრებს, რომ ბევრი აღარ უფიქრია.

- გვიანაა, ხომ?... რა ვქნა გადაუღებელი საქმე მაქვს.
- თქვენ აქაური არ უნდა იყოთ...
- ეს ჩემი დედუღეთია.
- ჰო?!...

თითქოს მასპინძლის სურვილი გამოიცნო, სვეტზე ჩამოკიდებულ ერთადერთ ნათურას ძალა მოემატა. დამხვდურმა მუშტრის თვალით შეთვალეირა უდროოდ მოსული სტუმარი.

ღამაში ბიჭი იყო, მისი ეშხიანი პირისახე პირველ შეხედვისთანავე იქცეოდა ადამიანის ყურადღებას.

- ახლავე, დამელოდე!
- თანხას, რასაც ითხოვთ... — დაადევნა სტუმარმა სიტყვა.
- ფულზე ხომ არ არის, კაცო, საქმე, ალბათ გიჭირს...
- მასპინძელი მობრუნდა.
- ვინ არის? — ჰკითხა ცოლმა.

— არ ვიცი, უცნობია. მასპინძელი ჩაცმას შეუდგა. შიშველი ფეხები ტუფლებში ჩაჭყო.

- სად მიჰყვები არ იტყვი?
- არ ვიცი.
- რას ქვია არ იცი... ეგება ბანდიტა?
- არ იტყობა.
- რას შეამჩნევ ამ შუალამისას!

— დეტიე მანდ, — ერთი კიდევ შეიღრინა კაცმა და კარი გაიხურა, ცისფერი „ვოლგა“ სოფლის შარაგზიდან ფართო მოახფალტებულ ქუჩაზე გამოვიდა.

ვაჟი უკან დაჭდა. დიდხანს ხმას არ იღებდა. შოფერმა სარკე მოაბრუნა და ხანდახან შემოსული სინათლის შუქზე ცდილობდა მისი სახის დანახვას. უცნობი თვჩაღუნული წვედა თამბაქოს, ჩანდა ღელავდა.

„ვინ არის ნეტავი? არ მეცნობა“, მერე ცოლი გაახსენდა: „უველაფერს იძიებს, ორკვევს... ვინ არის და ვინ არისო?!“ რა ვიცი აბა მე. მაინც რაც ეს მანქანა ვიყიდე, შეუძლებელი გახდა ადამიანური ძილი და მოხვედრა. ცალკე ცოლი ცოცხლად შექმას მიიბრუნებ... ვერც გაამტყუნებ, მარტო ყოფნაც მობეზრდა ქალს. თავიდანვე კი მითხრა: „არ გინდა მანქანა, არ გინდაო“. არ დავუტყვი,

ზე დადგნენ, თეოფილეს უთხრეს — „შენ წადი საქართველოში, ინახულე ყველა ახლობელი და ისევ დაბრუნდრო“. მაგრამ თეოფილეს უჩემოდ წამოსვლა არამც და არამც არ უნდოდა...

და აი, მატარებლით ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მოვალწიეთ მშვენიერ საქართველოს. მე ბევრი რამ გამეგო და წამყვითა აქაური ბუნების სიტურფეზე, მის სტუმართმოყვარე ხალხზე, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ასე ჩამოვედით გურიაში. თეოფილეს თურმე ადრე, ტყვეთა ბანაკში ყოფნის დროს ჭლები დამართოდა, იქ ისე ძლიერ არ აწუხებდა და აქ კი სენმა ერთბაშად შეუტია. საქმე იქამდე მივიდა, რომ მას ფიზიკური შრომა აღარ შეეძლო... ამ დროს შემეძინა მეორე ქალიშვილი — ელენე... გავვიკირდა ცხოვრება. მიჩრჩიეს ფილიპე მახარაძესთან წავსულიყავ. აუღსენი ჩემი ოჯახის მდგომარეობა, ვუთხარი, რომ ოჯახის უფროსს მუშაობა აღარ შეუძლია და ამიტომ ნება მომეცით ჩეხოსლავაკიაში ნათესავებთან დავბრუნდეთ-მეთქი. პატივცემულმა ფილიპემ უარი მითხრა: ქართველ ბავშვებს უცხოებში რა უნდათ, არც თქვენ გაგიშვებთ, დარჩით აქ, ჩვენო რძალო, და უკეთეს პირობებს შეგიქმნითო. დაიმედებული დავბრუნდი შუასურებში... გავიდა თხუთმეტი დღე და მოულოდნელად ფოსტით ვღებულობ ფულს, რომელიც ფილიპე

მახარაძეს გამოეგზავნა. საქმაოდ დიდძალი თანხა იყო. ძროხაც ვიყიდეთ და სახლიც საფუძვლიანად შევაკეთეთ.

1981 წლის ნოემბერში თეოფილე გარდაიცვალა, დამარჩა ორი გოგონა. დიდი ამაგიტა და შრომით ესენი დაწვარადე და გავათხოვე: ანიკო — სოფელ თავპანტაში, იგი ახლა ხუთი ვაჟიშვილის დედაა, ხოლო ელენე — ზემოსურებში, მას სამი შვილი ჰყავს.

ჩემები, ერთმანეთს რომ შეხვდებიან, ასე მიესალმებიან ხოლმე — „ჩესტ პრაცე“ (დიდება შრომას), საქართველოშიც შრომა დიდებითა და პატივისცემით არის მოხილი. ამიტომ მეც ჩემს შვილებს განსაკუთრებით შთავუნერებე შრომისადმი სიყვარული.

ტერეზა აშუამად უკვე სამოცდაჩვიდმეტი წლისაა. იგი დღიდან ჩამოყალიბებისა მუშაობს შუასურების კოლმეურნეობაში, შუასურებში მას ყველა უღრმესი პატივისცემით ეპყრობა.

ტერეზა ძალიან განიცდის ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისაგან შორს ყოფნას. იგი ელის მათს სტუმრობას.

მოსული ჩემი ქალი კარგად ლაპარაკობს ქართულ ენაზე, მაგრამ ჩემური აქცენტი მაინც აქვს. მისი უფროსი ქალიშვილი ჩემურად სუსტად ლაპარაკობს, უმცროსმა კი ჩემური ენა არ იცის.

გალაქტიონ მინდაძე

კაპიკი კაპიკს დავადე, ვალიც ავიღე და სადარ-
დებელიც მოვიმატე. სახლი ავაშენოთო, ახალი
ოდა სახლიო. რათ მინდა სახლი, შვილი მანუხებს
თუ შვილიშვილი, ვიფიქრე ამ მანქანით ცოტას
მანც გავიხარებ-თქვა... მერე რა გავიხარე?! სამ-
სახურსაც თავი დავანებე. ხალხი მაფასებდა, პა-
ტივს მცემდა. რა ვარ ახლა მე?... წინათ მეტ-
ლებს გადაუადრათ ხალხი, ახლა შოფერებმა შეც-
ვალეს... მეტელე ვარ, აბა რა... ცოლიც რომ ამ
სიტყვას ჩამძახოს ყოველდღე. მოგებას მაინც ვხე-
დავდე, რასაც ავიღებ მანქანასვე ვახშარ, ხან წინა
ხიდი, ხან აკუმულატორი და ათასი სხვა გულსა-
ხეთქი, სტუმარმაც ფეხი ამოიკეთა ჩემს ოჯახში.
მარტო ქალი დარჩა კრუხივით გამომწვევით
ცარიელ სახლში... სად მივყავარ ნეტავი ამ ბიჭს?
— პირდაპირ წავიდე? — შეეკითხა მგზავრს.

თანხმობის ნიშნად უცნობმა მხოლოდ თავი და-
უქნა.
„ხმასაც რომ არ იღებს... ეტყობა მაგას ჩემზე
მეტი სადარდელი აქვს“. წვიმის წვეთები უხვად
ასკდებოდნენ მანქანას. „დავტოვოთუაგ სახლში,
ირბინე ახლა ამ შუალაშისას“. ცალი ხელით რა-
დიოპარტოვები მოძებნა. საოცრად მსუბუქი ჰან-
გები დაიჩაბა ირგვლივ. „რა დალოცვილია ეს მუ-
სიკა... არაფერი მესმის რას უკრავენ, მაგრამ მა-
ინც მსიამოვნებს“.

უკან მოიხედა. უცნობი ისევ ჩუმად იჯდა.
— სტუმარად მოდიხარ?
— არა, ერთი აუცილებელი საქმე მაქვს.
„რაც არ ჩანს კარგ საქმეზე მიმავალი... ვაი,
თუ წამართვა მანქანა და... კი ვარ ღირსი“.
მოულოდნელად უცნობმა ფანჯრის მინა ჩასწია
და ქუჩის პირას ჩამწკრივებულ სახლებს დაუწყო
თვალყურება.

— აქ გააჩერეთ.
ჩანებულად ეზოდან დაბმული ძაღლის ღრენა
და ჯაჭვის ჩხარუნის ისმოდა.
„ამ სახლში ჩვენი მოსამართლე არ ცხოვრობს?!“
— გაიფიქრა მძღოლმა. ჭაბუკმა მანქანის კარი გა-
შოალო და დაბალი ხმით დაძახა: — ნუგზარ!
კიდევ ერთხელ გაიმეორა და წინა ოთახში სი-
ნათლე აინთო.

— ვინა ხარ?
— მე ვარ... შურა.
— ვახ! საიდან სადაო, ბიჭო! მოდი, რა შორი-
დან იძახი!
— არა, შენ თვითონ გამოდი ერთი წუთით.
„შო... ის არის! მთლად კარგს არ ამბობენ ამ
მოსამართლის ბიჭზე. დროსტარებას არისო გა-
დაუყოლილი“...

დაუდგა, ნებიერი სახის ქაბუკი უსალოდ შე-
მოკდა მანქანაში. ბიჭები ერთმანეთს ჩეხვიდნენ.
ჩაკოცნეს.
„მისალომბაც არ იყადრა... სტუდენტიაო, ამბო-
ბენ, მერე რამდენი წელია სწავლობს... არ ელისა
დამთავრება“...

— სად იყავ, შურა!
— შენთან მოვედი.
— რატომ არ ჩამოდიხარ?
— ერთ ვინმესთან უნდა წამყვე... საქმე მაქვს!
— გიჭირს რამე?
სახლში ნათურა აინთო.
— ნუგა, დედიკო! სად წახვედი!
— მალე მოვალ, დედა... თუ მივდივარ, წავი-
დეთ — გასცა ბრძანება.

მანქანა დაიძრა.
— რა მოხდა? ინსტიტუტში ხომ არაფერი შე-
გემთხვა?
— არა...
— აბა?
— ის ტიპი ხომ გახსოვს, ამ ბოლო დროს მე
რომ დამყვებოდა...
— რომელი?

— მოედანთან, საჩუქრების მაღაზიაში რომ მუ-
შაობს.
— ჰო, ვიცო... მერე?
— ცუდადაა საქმე.
— რა მოხდა?
— გუშინ, დამით მისი ქაჩი ძმები დამადგინ
თავზე? გინდა თუ არა, უნდა შეერთო!
— ვახ! მართლს ამბობ? მერე?
— გაიქანენ, მაგრამ როგორ... მოგკლავთო...
რა უნდა მეთქვა. ჭერ ვუთხარი მოვიფიქრებ-მეთ-
ქი. გაგიუდინენ...

— გეთქვა, არ ვიცნობ-თქვა.
— როგორ კაცო, ორი წელია დავდივარ... ერ-
თი ორჯერ ძმებმაც კი მნახეს მასთან ერთად.
— მერე?
— რაღაც სხვა უნდა მოვიფიქრო...
— საით წავიდეთ? — იკითხა შოფერმა.
— პირდაპირ.
— ეს კაცი ვინ არის? — მოესმა ჩურჩული.
— რა ვიცი, გაგიუბული გამოვარდი, მატარე-
ბელს გამოვუყვი, ჩამოვედი და აქაურმა ბიჭებმა
მომასწავლეს... არ არის ურიგო კაციო, თანაც
უცნობია, ხომ იცი...

„ჩემზე ჩურჩულდნენ“...
— მაშ კორწილისათვის ემზადებიან ხომ? ხა!
ხა! ხა! — ხითხითებს ნუგზარი.
— აბა.
— შენ, მგონი ფულიც ბლომად...
— ისე რა... ნაგროვები ჰქონდა!
— რა ბედი გაქვს, ჩემმა მზემ! ერთი მეც გა-
მომაქერინე მანეთი მტრედი, ხომ გავიხარე... თო-
რემ მომბეზრდა დედაჩემის ხვეწნა.
— ნუგზარ, შენ რისთვის მჭირდები თუ იცი?
— აბა საიდან?

— გახსოვს, შენსას ამ ზაფხულში პატარა პურ-
მარლიო რომ გვქონდა?
— ჰო, მერე?
— მეზობელიაო... თბილისში რომ სწავლობს.
— რომელი?
— აი, სამედიცინოზე... თიკო!
— ჰო, ვიცი.
— მე შევხვდი მაგას თბილისში. ორ თვეს
ვსდიე.

— რა კაცი ხარ, ბიჭო! საიდან სად? კარგი გო-
გა! მერე მამამისი ხომ იცი ვინაა.
— მოლა, ახლა არდადეგებზეა ჩამოსული. რა
ეიცოდი, თუ საქმე ასე წამივიდოდა. თორემ სად-
გურზე გამოქერილი არ მყავდა?! მე გამოვაცაილე.
— მერე? ახლა რას ფიქრობ?
— ვითომ ივარგებს?
— რას ამბობ ბიჭო! ღმერთივით გოგოა... მერე
რა გემოვნებით იცვამს?!

შოფერი გასუსული იჯდა, საუბარს უყრს უგ-
დებდა და თან საათის ციფერბლატს ხშირ-ხშირად
დასცქეროდა.
— ნუგზარ! რას მირჩევ ახლა? მივიდეთ?
— სად?
— მასთან სახლში. შენ ხომ იცი სადაც ცხოვ-
რობს?

— კაი, კაცო, მივიდეთ... სიამოვნებით. აგერ არ
ვარ! — უყოლია ხმა ჰქონდა ნუგზარს. მე გამოვიყ-
ვან ძმაო და საქმის ჩაწყობა შენზე იყოს... ერთი
მაგრად დააჭირე ჩვენი ძმა!
— კარგი, მაგრამ სად მივდივართ არ უნდა ვი-
ცოდეთ? უკვე გვიანია. ზვალ ადრე უნდა ავდგე.
ერთი საჭირო საქმე მაქვს. — აჩქარების მაგიერ
შეაწინა სვლა შოფერმა.

— ჩვენ მიგვიყვან და მერე სადაც გსურდეს, იქ
წადი! — ამ სიტყვებში მუჭარაც ერია.
ბიჭებმა თავი თავს მიადგეს და დიდხანს ასე
თვჩარგულეები ჩურჩულდნენ. „ამათ დროზე თუ
არ გავცეალებ, შარში გამხვევენ“.
— მართალია, შორს წამოვიყვანე, მაგრამ თქვენს

გასამრჯელოს რასაც მოითხოვთ, მოგართმევთ, —
შემპარავი ხმა ჰქონდა უცნობ ვაჟს.
— ფულზე მე არაფერი მითქვამს, მხოლოდ გა-
მაგებინეთ სად მივდივარ.
— მალე გაიგებ!
გაიარეს ერთი დანათებული ქუჩა. უკვე რაი-
ონის ცენტრში შედიოდნენ. გზადაგზა თითო-ორო-
ლა მანქანა ხვდებოდათ.
წვიმამ იკლო... მოასფალტებულ ქუჩაზე გუბები
დადგა.

— აქ შეუხვით.
ეს ნუგზარის ხმა იყო, მეორე სდუმდა.
— გააჩერე.
ორსართულიანი სახლის ფანჯარაში სინათლე
ენთო.
— ვახ! ეს რა ამბავია! მგონი გაგიბოვდა,
ბიჭო!
— კარგი რა!
ნუგზარმა კარი გამოაღო და გასასვლელად მო-
ემზადა.
— მოიცა! რას ეტყვი?
— მე ვიცი.
— თიკო!
— ვინ არის? — მოისმა ქალის ხმა.
— თიკო მინდა, ქალბატონო!
— ახლავე.
— ვინ მეძახის? — იკითხა წკრიალა ხმამ.
— მე ვარ, ნუგზარი.
— ვინ?

ქალიშვილი კიბეზე ჩამოდიოდა.
— სინათლე ჩართე! — უთხრა შოფერს მანქა-
ნაში დარჩენილმა ბიჭმა.
მანქანის შუქზე ნუგზარის გაბადრული სახე გა-
მოჩნდა.
— ნუგზარ, შენ? მოდი! მოდი! ბავშვობის მე-
გობრები მესტუმრნენ... ჩამოვედი და მინახულეს.
აგერ, ისინი მხიარულდნენ. აბა შენ კი არ გაგაზ-
სუნდებოდი. ჩამოდი! — სხაპასხუპით მიაყარა ქა-
ლიშვილმა.
— მეგობარი მახლავს.
— ვინ?!

მანქანისკენ წამოვიდა. მაღალი, სუსტი გოგონა
იყო, თვრამეტ-ცხრამეტი წლის. შოფერმა სახის
სილამაზე ვერ შეამჩნია, მხოლოდ თვალის უბე-
ებში სქლად შემოვლბებული შავი საღებავი და
ძალზე მოკლე კაბა დაამახსოვრდა.
„რაც აღხანა, ის ჩაღხანაო“ — გაიფიქრა მან.
მაგრამ ქალიშვილის ხმა მაინც მოეწონა: ელურ-
ტულით ლაპარაკობდა, მანქანაში შემოიხედა!
— ღმერთო! შურაბი!

თვალეები აუციციქმდა... „როგორი გულმურწყვი-
ლია“ — გაიფიქრა შოფერმა.
— აქ საიდან გაჩნდი? როდის ჩამოხვედი?
— რომ იცოდეთ როგორ მინდა შენი ნახვა!
ქალიშვილმა ხმა ვერ ამოიღო.
— რატომ სდუმხარ, გეწყინა ჩემი მოსვლა?
— რას ამბობ!

და გაიღმა. ამ ღიმილმა, სუფთა უმანკო ღი-
მილმა გამუდავნა მთელი მისი დიდი სიხარული.
უცებ, ვიდაცაზე გაბრაზდა შოფერი. სისხლი მო-
აწვა სახეზე, წამოიწია, ჩახვედა, უკან არ მოუხე-
დავს, ისე გადმოვიდა მანქანიდან. „ასეთი უნამუ-
სობა გავიგო?... როგორ მოვიტყე?“ მერე ვიდაც
სხვამ თითქოს უურში ჩასჩურჩულა: „შენ ვინ რას
კითხავს“!

ღობესთან ახლოს, მანქანის უკან მხარეზე, დიდ
ქვავზე ჩამოკდა. პაპირისი გააბოლა.
სახლიდან ნელ-ნელა იწყეს სტუმრებმა გამოსვ-
ლა. სიხნულეში გოგონების ფერადი კაბები თო-
ლიებივით აფარფატდნენ.
— თიკო სად არის? — იკითხა ერთმა.
— თიკო, წავიდეთ! — იძახის მეორე.

— თი-იყო! — გაჰყვირიან ერთხმად.
 ქალიშვილი გამოერკვა.
 — სად მიხვალთ? — დაადევნა ვაჟმა სიტყვა.
 — ახლავე.
 ქალიშვილი მეგობრების ჯგუფში გაერია.
 „რა ვქნა?... დავრჩე თუ წავიდე“ — ვერ გადევწყვიტა მოფერს.
 — ერთი წუთით აქ მობრძანდით — მოესმა მოფერს უცნობის ხმა.
 მივიდა. შიგ მჭდომმა კარი გამოაღო და სამი ათმანეთიანი, სულ ახალთახალი ტყიცინა ფული პიჯაკის ზედა ჯიბეში ჩაუტუნა.
 — ეს თქვენი გასამრჯელო იყოს. მამაკითხეთ, რომ გავვიანებთ — მოუბოლოდნა მან.
 „ამით მაჩერებს“, — გაიფიქრა, ხმამაღლა კი ეს თქვა:
 — არა, ძმაო ამდენი ფული არ მინდა ჯიბიდან ამოიღო ფული. შუაზე გაკეცა და მანქანაში მჭდომს გადააწოდა. ყურადღება არ მიუქცევია, აიღეს ფული თუ არა.
 „როგორ მოვიტყე, მე რომ წავიდე, განა სხვას ვერ იზოვნებ? მერე სწორი იქნება ჩემი საქციელი? ამ გოგონას უყვარს მგონი. წახვალ და ტკბილად დაიძინებ. მერე სინდისი დამშვიდებული გექნება?“
 ახალგაზრდები დაიშალენ. თიკო ერთხანს მეგობრებს გაუვა. მათი სიცილ-ხარხარი თანდათან მიწედა.
 — ზურა! ახლა გვაქვს დრო, — მანქანაში ჩაჯდა ნუგზარი, მერე ფანჯარაში თავი გამოყო და მოფერს მიიპატიჟა.
 — მოდი ძმაო, მიუჯექ სპეტეს.
 როცა კარი გამოაღო და შესასვლელად მოემზადა, გაიგონა როგორ შეეკითხა ერთი მეორეს:
 — რა გითხრა? თანახმაა?
 — გაიანაზა.
 ამუშავებული მანქანა ცოტა გაგორდა და სახლიდან ორმოცი-ორმოცდაათი მეტრის მანძილზე გაჩერდა.

მალე სიბნელეში უკან დაბრუნებული ქალიშვილის თეთრი კაბაც გამოჩნდა.
 — რატომ წამოდი? დაბრუნდით. შინ შევიდით.
 — წავალთ, მხოლოდ ცოტა ხნით ჩამოვქე, რაღაც უნდა გითხრა — უთხრა ზურაბმა. ქალიშვილი შეყოყმანდა.
 — ხომ არ გეშინია?
 — რას ამბობ, ზურაბ, ჩვენთან რა აქვს საშიში, მოდე თიკო, ჩემო პატარა დაიკო! — კარი გაუღო ნუგზარმა და თვითონ მოფერის გვერდით მოკალათდა.
 — რომ მოგიტაცო, იკივლებ?
 — კარგი რა... ეგ რა ხუმრობაა?
 — არა, არ ვხუმრობ... მართლს ვამბობ თიკო, მეტის მოთმენა არ შემიძლია. უშენოდ ვერ ვძლებ, — ჩურჩულებს ვაჟი.
 — წავიდეთ, წავიდეთ! — ხმადაბლა უთხრა ნუგზარმა მოფერს. ის კი ისევ ჩუმად იყო.
 — წავიდეთ მეტი! — ახლა უკვე უბრძანა ჯაბუკმა. მანქანა დაიძრა.
 — სად მიდიხარ?... გააჩერეთ! — წამოიძახა ქალიშვილმა.
 — ჩემს სახლში წავიდეთ, — ჩასძახა მოფერს ნუგზარმა.
 — წადი ძმაო, წადი გენაცვალე, — ტკბილი ხმით ჩასჩურჩულებდა ზურაბი. და ყველა ამ ხმამ, ერთმანეთში არეულმა, მოფერს მოსაზრება დაუკარგა. როცა ფართო ქუჩაზე გამოვიდნენ, გონება თანდათან დაუმშვიდა. სარკეს გახედა. მკლავებში მაგრად მოემწყვდია ზურას ქალიშვილის სხეული... ხმის ამოდებას არ აცლიდა. აღერხით გაბრუნებულ გოგონას ვერ მოეფიქრებინა როგორ მოქცეულიყო: — ეკივლა თუ გაჩუმებულიყო.
 — მიდი, ძმაო, მიდი... მხოლოდ სახლი არ შეგეშალოს! — ჩასძახოდა გვერდით მჭდომი ვაჟი.
 მანქანის ციფერბლატზე ისარი ას-ასოცი კილომეტრის სიჩქარეს უჩვენებდა. სიბნელეში გა-

ურკვევლად მოჩანდა სახლები, ხეები, აქა-იქ აქიატებული ფანჯრები.
 — მოიცა, ძმაო, შენ რაღაცა აურიე, — მხარზე ძლიერად მოსწია ვიღაცამ.
 — რაო, ნუგზარ! გზას ავცდი?
 — ნელა კაცო! არ გესმის... რა გიფივით მიგყავს. ველარ გავარკვიე სადა ვართ.
 — მალე მივალთ. დაწყნარდით, — წარმოსთქვა მოფერმა და თითონვე გაუკვირდა ისე დამშვიდებული, მტკიცე ხმა ჰქონდა.
 გაბმულმა სიგნალმა ქუჩა რომ აანაუა, კიშკართან თავშალმობვეული ქალი აისვება.
 — მოხვედი კაცო?
 მანქანაში სინათლე აინთო.
 — ჩამოდი, შვილო, ძირს! — მიმართა მოფერმა ქალიშვილს.
 — ვახ! შენ რა, შინ გვეპატივები, კაცო? — წამოიძახა უკან მჭდომმა.
 — შენ, ძმაო, რას ჩადიხარ... მოიხედე აქეთ, — სტაცა მკლავზე ხელი მეორემ.
 უცებ დატრიალდა მოფერის ცოლი. უკანა კარი გამოაღო.
 — თქვენ სტუმრად მოხვედით, შვილებო, თუ საჩხუბრად? ჩამოდი, შვილო ძირს.
 გოგონა ვაჟის მკლავებს დაუსხლტა, სწრაფად გადმოხტა მანქანიდან და ქალის უკან მიიმაღა.
 ერთდროულად ორივე კარიდან გადმოცვივდნენ ვაჟები, მოფერისაკენ მიიწიეს.
 არ ახსოვს რამდენხანს იგერიებდა დარტყმებს, მხოლოდ ეს იყო, რამდენ დარტყმასაც მიიღებდა, ორი იმდენს პასუხობდა. რამ მიუმატა ძალა, ვერ გაერკვია.
 უკანასკნელი, რაც მან გაიგონა, ეს იყო დანის გახსნის ტყაცუნის შემდეგ მკერდთან მწვავე ტყვილი იგრძნო და ყველაფერი რძისფერ ბურუსში ჩაიძირა.
 ცოლმა იკივლა. ქალიშვილიც აუვა. დაუბატივებელი სტუმრები სიბნელეში გაქრნენ.

ვ ა დ ი ლ ა ი, ვ ა დ ი ლ ა



ახლანან მოსკოვის გამომცემლობა „ხუდოვესტ-ვენანია ლიტერატურამ“ გამოსცა ცნობილი ქართველი მწერლის გრ. ჩიქოვანის მოთხრობების კრებული — „ვადილაი, ვადილა“. კრებულში დაბეჭდილია თარგმანები მწერლის საუკეთესო მოთხრობებისა, რომლებიც ეხებოდა ჩვენი ხალხის წარსულსა და თანამედროვე ადამიანის შრომასა და გმირულ ცხოვრებას. წიგნს წამძღვრებული აქვს კრიტიკოს ვ. ოსკოცკის შესავალი წერილი, „ახლოზელი მიწა ოდიშისა“, რომლის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს გრ. ჩიქოვანის შემოქმედებას. ვ. ოსკოცკი წერს:
 „რუკაზე აღნიშნულ მრავალი დიდი და პატარა პუნქტებიდან, მწერლებს თავიანთი სიტყვით რომ აუთვისებიათ და ჩვენთვის მახლოზელი ადგილებად უქცევიათ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასახელოთ ოდიშის მიწაც, დასავლეთ საქართველოს პატარა კუთხე, პოეტური თვალთ დანახული და აღმოჩენილი ნიჭიერი პროზაიკოსის გრიგოლ ჩიქოვანის მიერ. „ოდიშის ცის ქვეშ“. — ასე ერქვა მწერლის ერთ შემაჯამებელ წიგმს, რომელშიც ყველაზე სრულად იყო წარმოდგენილი რუსული თარგმანები მისი მოთხრობებისა, რომლებიც დაიწერა 30-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე. „ოდიშური მოთხრობები“ — ასეთივე ჭვესათურით გამოვიდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ გრ. ჩიქოვანის წიგნი „ერთი წამის სიხარული“, რომელმაც ჩვენ გავაცნო ეს ავტორი, როგორც ბრწყინვალე

ოსტატი ისტორიულ თემებზე დაწერილი მოთხრობებისა. ოდიშის ციკლს ეკუთვნის ისტორიულ-რევოლუციური თემაზე დაწერილი „თებრ-ვალი“, რომელიც გამოქვეყნდა საბჭოთა საქართველოს 50 წლის საყოველთაო სახალხო ზეიმის წინა დღეებში.
 ყველა ეს წიგნი, — განაგრძობს ოსკოცკი, — წარმოადგენს ოდიშის თავისებურ პოეტურ მატთან, რომელიც შექმნილია მახვილი თვალის მქონე, მგრძობიარე ხელოვანის მიერ. ამიტომ ესოდენ დაუშრეტელად უხვია ეს მატთან, უხვი — განუშორებელი ბუნების, გაუვალი ჭაობების და ნაყოფიერი უბნების, უღრანი ტყეების და მშფოთვარე ზღვის სანაპიროების ფერწერული ასახვითა და გადმოცემით, მკაცრი, ეპიკური თხრობით ამ მხარის ლეგენდარულ ისტორიაზე, რომელსაც სათუთად ინახავს ხსოვნა; აქვეა შთამბეჭდავი მოთხრობები, გამსჭვალული ოქტომბრის შემდგომ-დროინდელი ახლის წარმოქმნის პათოსით, რომელმაც სახე უცვალა ამ ძველთაძველ მიწას.“
 წიგნის ტირაჟია 50.000 ეგზემპლარი.
 წიგნი მხტვრულად გაფორმებულია ლ. ცუცქირიძის მიერ, რედაქტორია — ე. ჯალიაშვილი; მოთხრობები თარგმნილია ი. ნავიბინის, ს. სერბერიკოვის, ე. ფეიგინის, ე. ჯალიაშვილის, ა. ბესტავაშვილის, ე. ელიგულაშვილის, ვ. მიხეილოვის, მ. შკერინის, მ. ლოხვიციის მიერ.

Handwritten signature or mark.

ფსიქოლოგიურ საქანაღაზე

მატჩის მიმდინარეობის დროს

ყველა, ვისაც კი მონაწილეობა მიუღია მატჩებში მსოფლიო პირველობაზე, აღიარებენ, რომ ეს სრულიად თავისებური შეჯიბრებებია, რომლებიც არა ჰგავს ამ სახის სხვა დუელიებს. ასე, მაგალითად, მიხეილ ტალმა, რომელიც გამოვიდა სატელევიზიო გადაცემაში „ოთხი მხედრის კლუბი“, აღნიშნა, რომ წარმატება თუ წარუმატებლობა მატჩებში სპაიდრაკო გვირგვინისათვის, სანახევროდ დამოკიდებულია მეტოქეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, სწორად არჩეულ ტაქტიკაზე, ერთი სიტყვით, სპაიდრაკო ბრძოლის იმ კომპონენტებზე, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული სადებიუტო მომზადებასთან, ვარიანტების გაანგარიშებისა ან ენდშაილში უპირატესობის რეალიზაციის ტექნიკასთან.

როგორ გამოიყურება ამ თვალსაზრისით ნონა გაფრინდაშვილისა და ალა კუშნირის მატჩი მსოფლიო პირველობაზე; ფსიქოლოგიური ბრძოლის ზუსტი სურათის აღდგენას ალბათ ვერ შეძლებდნენ თვით მატჩის მონაწილეებიც, ვინაიდან ყოველთვის ვერ მოახერხებ ობიექტიურად შეაფასო ესა თუ ის საკუთარი ნაბიჯი. ძნელია ეს, მით უმეტეს, გარეშეთათვის. ამიტომ, თუცა მე არა მაქვს პრეტენზია, რომ ასი პროცენტით ზუსტად ჩავწვდები ყველაფერს, მაგრამ მაინც შევეცდები დაგიხატო ამბლიტუდა იმ ფსიქოლოგიური საქანელასი, რომელზეც იმყოფებოდნენ, ერთი მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონი და, მეორე მხრივ, პრეტენდენტი, მით უფრო, რომ ჩვენს ხელთ არის ცალკეული უტყუარი მასალები და დამსწრეთა დაკვირვებანი თუ შთაბეჭდილებანი.

მატჩის დაწყებამდე

ამ პერიოდში მატჩის მონაწილეებს სხვადასხვაგვარი ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდათ. ალა კუშნირისათვის აუცილებელი იყო ჩამოეშორებინა მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთი ორი წინა მწარე დამარცხებისა მატჩებში მსოფლიო პირველობაზე. ამისათვის ალამ აირჩია „თვითშთაგონების“ ანუ „თვითიპნოზის“ რამდენადმე უჩვეულო ტაქტიკა. ბუნებით საკმაოდ თავდაპირველმა კუშნირმა, ესოდენ უხალისოდ რომ თანხმდება ხოლმე ინტერვიუზე, და მუდამ ყურადღებით ადევნებს თვალს ყოველ თავის სიტყვას, პრესის ფურცლებამდე რომ მიადევნებს, უცებ გამოაქვეყნა ლენინგრადის გაზეთის „სმენას“ ფურცლებზე ისეთი მონათხრობი თავის თავზე, რომ ყველანი, ვინც კი მას კარგად იცნობს, გაკვირვებით იჩქრადნენ მხრებს. ამ მოთხრობა-ინტერვიუში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მას, ალა კუშნირს, აბსოლუტური, ფოტოგრაფიული მეხსიერება აქვს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს ერთი დახედვით დაიხსლოს უზარმაზარი ტექსტები, შემდეგ, მოჰადრავს-ქაღის აღნიშნავდა — იმისათვის, რომ სხვადასხვა ხალხთა პოეტების ლექსები დედანში წავიკითხო, რამდენიმე უცხო ენას ვსწავლობო, რომ ბავშვობიდან გამოიყვანა მშვენიერი ნიჭი მუსიკისა, რომ შემძლია ჩემებურად შევაფასო მსოფლიო კულტურის უდიადესი ქმნილებანი და ა. შ.


რბილად რომ ვთქვათ, ეს ინტერვიუ არ იყო თავმდაბლური მარტო კუშნირისთვის კი არა, საერთოდ ყოველი ადამიანისათვის. მაგრამ უნდა გავუგოთ მოჰადრავს: კუშნირი „აჭერებდა“ და „არწმუნებდა“ თავის თავს — ბევრი რამ შემძლია, ამ გზით იგი ისწრაფვოდა მოეპოვებინა აუცილებელი თავდაჭერება და საკუთარი ძალების რწმენა ნონასთან ძნელი მატჩის წინ. ეს „თვითშთაგონება“ და კიდევ — გამარჯვება თითქოს უიმედო მატჩში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მათა რანიკუსთან (კუშნირი აგებდა, მაგრამ შეძლო გაეთანაბრებინა ანგარიში და პირველსავე დამატებით პარტიაში მიეღწია გამარჯვებისათვის) — ყოველივე ეს აძლევდა ძალას პრეტენდენტს ამჯერად ჩამოსულიყო რიგში ისეთი დიდი რწმენით, როგორც წინათ არასოდეს ჰქონია. ეგ კი არა, რიგში მატჩზე ის ჩავიდა მძიმესმეტად დარწმუნებული, რომ მისთვის ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, და უკვე ეს გარემოება გვაძლავდა თვით მატჩის დაწყებამდე მისი შანსი შეგვეფასებინა, როგორც მინიმალური, ან სულაც არ დაგვენახა არავითარი შანსი.

სხვაგვარი ფსიქოლოგიური სიძნელები იდგა მსოფლიო ჩემპიონის წინაშე. მასაც უნდა ჩამოეშორებინა ფსიქოლოგიური ტვირთი, მაგრამ არა დამარცხებისა, არამედ ორი დიდი გამარჯვებისა წინა მატჩებში, უნდა განეწყო თავისი თავი არც ისე ადვილი ბრძოლისათვის მეტოქესთან, რომელთანაც თამაში ჩემპიონმა არაერთგზის დაამტკიცა თავისი სრული უპირატესობა. მოქადარკებმა იციან, რომ ეს არ არის იოლი ამბავი, რომ იმ პარტნიორთან თამაშში, რომელიც ბევრჯერ დაგიმარცხებია, მუდამ ქვეცნობიერად უცდი მეტოქის შეცდომას, უცდი მორიგ გამარჯვებას.

მაგრამ ნონამ კარგად გაართვა თავი თავის ამოცანას. მას არ ავიწყდებოდა, რომ მისი მეტოქე — უჩვეულოდ შეუპოვარი და ჭიუტი მოქადარკა, და ამიტომ ნონა პირველივე პარტიიდან განეწყო აქტიური ბრძოლისათვის, მიმართა თამაშის თამაშისათვის ჩვეულ მანერას, რომელიც დაკავშირებული არ არის იმის მოლოდინთან, თუ როდის დაუშვებს მეტოქე შეცდომას. ნონას წმინდა სპაიდრაკო უპირატესობაც რომ არ გავითვალისწინოთ, უკვე ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობა საწინდარი იყო ჩემპიონის მორიგი გამარჯვებისა.

მატჩის დასაწყისში ნათელყო ნონას ფსიქოლოგიური უპირატესობა. ეს განსაკუთრებით იტყვის მეორე პარტიაზე. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ პოზიცია, რომელიც აირჩია მსოფლიოს ჩემპიონმა, მისთვის კარგად ნაცნობი იყო და შეწირული პაიკისათვის შავები ლეზულადნენ სრულიად საკმარის ინიციატივას. ნონას მცირეოდენმა რაღაც შინაგანმა აჩქარებამ 24-ე სვლაზე ინიციატივა თეთრებს გადასცა და პარტიის ბედმა ქანაობა დაიწყო, როგორც სასწორზე. და აი აქ, მე ასე მგონია, თავი იჩინა პრეტენდენტის ფსიქოლოგიურმა უწონასწორობამ. როგორც კი იგრძნო, რომ მას შეუძლია გაათანაბროს ანგარიში, ალამ დაკარგა თავდაჭერება, თავის თავს რომ შთააგონა, მით უფრო, რომ პოზიცია თხოვლობდა მისგან არა ჩვეულ შეუპოვრობას დაცვაში, არამედ აშკარა და აქტიურ მოქმედებას დაფაზე. ყოველივე ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ თეთრებმა უპირატესობა ძალიან ჩქარა დაკარგეს და მოქადარკემ თითქმის სანახევროდ შოკის მდგომარეობაში ველარ შეამჩნია შამათი ამ პარტიის შემდეგ, კუშნირის სეკუნდანტის ვლადიმერ იურკოვის აზრით, აღარც ქულათა ბალანსი, აღარც ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ უტოვებდა პრეტენდენტს მატჩში წარმატების უმცირეს შანსებსაც კი. ყველაფერი ასეც წარიმართა: ჩემპიონი იბრძოდა, ანგარიში იზრდებოდა მის სასარგებლოდ და 10 პარტიის შემდეგ ნონას ჰქონდა 6,5 ქულა. იმავე იურკოვის სიტყვით, ალა ახლა იბრძოდა მხოლოდ წინანდელი მატჩების ანგარიშის (8,5:4,5) გასაუმჯობესებლად. ცოტა ვინმე თუ ეჭვობდა, რომ ამ მატჩში ცამეტზე მეტა მარტია გათამაშდებოდა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: მე-11 პარტიაში, ძლიერად და ბუნებრივად გათამაშა რა დებიუტი, მსოფლიოს ჩემპიონს მე-20 სვლაზე ასეთი პოზიცია ჰქონდა



ამას მოჰყვა: 20. მ:ძ5! იმ აზრით, რომ 20...d7-ზე ეპასუხა 21. კ:ძ5 ლc7 22. კ:f7+მფ8 23. ლ:h7 მოგებით. წინ აღუდგინა რა ამ ვარიანტს, შავებმა ითამაშეს 20...g6.

და აი, აქ ნერვების დუელი წააგო ნონამ. გრძნობდა რა მოახლოებულ გამარჯვებას, მან ველარ აძულა თავი წუთით ზედმეტად ჩაფიქრებულიყო. თუმცა, კუშნირთან შედარებით, ერთი საათით ნაკლები დრო ჰქონდა დახარჯული, და უნებურად უპასუხა 21. მ:e7+, ხელიდან გაუშვა გამარჯვებაც და, რაც მთავარია, დაღუპა მშვენიერი პარტია, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი საუკეთესო ამ მატჩში.

სხვათა შორის, თეთრებს შეეძლოთ მოეგოთ შემდეგნაირად: 21. მ:f6+ კ:f6 22. ე:d8 (ანდა, 22. ლ:h8 და 23. gf) gh 23. ე:e8+ე:e8 24. გf ან 21. ლ:h4 ed 22. კ:d5 ლc7 23. კ:f7+, ასე მიიღებოდა შემდგომ ძლიერი იერიში, რომელიც შესაფერისი იქნებოდა თვით ნონას თამაშის საბრძოლო სულისკვეთებისათვის.

შემდეგ გაფრინდაშვილმა ვერ შეძლო ყაიმით დაემთავრებინა პარტია და მისივე სიტყვებით, ორ დღეამეს ცდილობდა დაეიწყებინა დაშვებული შეცდომა, მაგრამ, მგონი, ამისი მთლიანად დაეიწყება ვერ შეძლო.

მატჩის შემდეგ

წინასწარმეტყველის როლი მუდამ უმაღურია, მით უმეტეს — სპორტში. მე მაინც გავბედავ და ერთგვარ პროგნოზს გავაკეთებ.

სამჯერ გამოვიდა ალა კუშნირი მატჩში მსოფლიოს ჩემპიონთან შესაბრძოლებლად. ამ ფინალურ დუელში ის წარმართავდა თავის თამაშს მუდამ სხვადასხვაგვარად, და ასე გაიარა გზა თავის თავში დაეტევებინა თავისი წარმატების დიდ რწმენამდე. და სწორედ იმიტომ, რომ ალა კუშნირის ფსიქოლოგიური მომზადების მთელი პალიტრა უკვე ამოწურულია, მე ვფიქრობ, რომ როცა ნონა გაფრინდაშვილი კვლავ დაიცავს სპაიდრაკო გვირგვინს, პრეტენდენტი სხვა ეუოლება. გაფრინდაშვილი-კუშნირის შეიღწლიანი პაექრობა დამთავრებულია როგორც სპაიდრაკო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დამთავრებულია მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

იაკობ ლანსკი,

სპორტის ოსტატი; ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს საკადრაკო კომენტატორი.

მეზაიქა



ქურდი — კომეტი

აქ ლაპარაკია არა პლაგიატორზე, რომელიც სხვის ლექსებს იპარავს, არამედ ნამდვილ ქურდსა და მძარცველზე, რომლის კვლასაც ვერაფერი მიაგნებდა, მის ლექსებში, რეალიზმის პრინციპის შესაბამისად, გამოხატულება რომ არ ეპოვნა მისსავე ბიოგრაფიას. საქმე ის არის, რომ ეს „პოეტი“ — ფრანსუა შვეალიე ქ. ბორდოს (საფრანგეთი) პოლიციაში მსახურობდა და გულმოდგინედ დასდევდა მძარცველებს. მაგრამ როდესაც პოლიციის კომისარმა წაიკითხა მისი ბალადა „მეხუთე სართულზე არავინ არის“, ავტორი პასუხისმგებლობაში მისცა, ხოლო სასამართლომ შევალის თვრამეტი თვით პტიმრობა მიუსჯა.

როგორც გამოირკვა, ამ პოლიციელს თავისი „შრომითი საქმიანობა“ მძარცველობით დაუწყია. „პოეტის“ ბონაში იპოვეს საგმირო პოემის პირველი თავები, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ მოიტაცა ამ პოლიციელმა, თავის კოლეგებთან ერთად, საფოსტო მატარებლიდან (ამ მატარებელს თვითონვე სდარაჯობდა) 140 ათასი ფრანკი.

საიდუმლო არქივები

უცნაური ამბავი მოხდა კოლუმბიის (სამხრეთ ამერიკა) რესპუბლიკის ერთ დაბაში, რომელსაც სან მიგუელ დელ ტაგრე ჰქვია. ამ დაბაში მოეწყო მუნიციპალიტეტის არქივები, მაგრამ ვინ აირჩიეს მცხოვრებლებმა, ეს არავინ უწყის, და ვერც ვერასოდეს ვერავინ გაიგებს.

საქმე ისაა, რომ მშვიერი ვირი, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული, საარქივო შენობის ღია ფანჯრიდან მისწვდა მაგიდაზე დასათვლელად დაყრილ საარქივო ბიულეტენებს და ერთიაროდ გადააშალა ისინი.



კორწილი წყალქვეშ

მსოფლიოში პირველი წყალქვეშა კორწილი გაიმართა საფრანგეთის ქალაქ უპერნეს საცურაო აუზში.

მომავალმა ცოლქმარმა ნელი შევიონმა და ჯეკ ფრიბომ საქორწილო ტანსაცმელზე აკვლანგები მოირგეს და წყალქვეშ ჩაყვინთეს. საცურაო აუზის ფსკერზე ნეფე-დედოფალს მოუთმენლად ელოდნენ ასევე საყვინთავ



კოსტუმებში გამოწყობილი ქალაქის მერი და მოწმეები.

წყალქვეშა კორწილის მონაწილეები აკვლანგისტთა ადგილობრივი კლუბის წევრები და სპორტის ამ სახეობის თავგამოდებული ენთუზიასტები არიან.

რაც შეეხება ჯვარისწერას, იგი კანონის ყველა წესის ზუსტი დაცვით ჩატარდა.

ბრძელცხვირიანთა მიზეზი

ცნობილია, რომ ერთ დროს მოდრაში იყო პოეტების მეფის ამორჩევა. ახლაც ირჩევენ სილამაზის დედოფლებს, ფეხბურთის მეფეებს და ა. შ. მაგრამ ის, რაც იტალიაში მოხდა, სრულიად ახალი ამბავია.

ორმოცდაათი წლის ლუიჯი როსეტამ მსაჯთა ხანგრძლივი დავის შემდეგ, როგორც იქნა გაიმარჯვა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ სორანიაში გამართულ პრეტენდენტთა კონკურსზე და „მთელი იტალიის ცხვირების მეფის“ ტიტული დაისაკუთრა.

ლუიჯი როსეტის ცხვირის სიგრძე 69 მილიმეტრია, ხოლო სიგანე 42 მილიმეტრია.



სამელნი და რეკოლპირი

ოთხმა განგსტერმა ხელსაყრელი მომენტი შეუტრია და პირდაპირ ქუჩიდან მოიტაცა 63 წლის მექსიკელი მილიონერი იენასიო ლიცარაგა ხუერტი. დატყვევებული მილიონერი ერთ განმარტებულ სახლში ჩაყეტეს და თავის გამოსასყიდად უზარმაზარა თანხა — 5 მილიონი პესო (435 ათასი დოლარი) მოსთხოვეს.

პრიონებმა, რომელიც სამი დღე იქნა ჩაყეტილ თათხში, შეამჩნია, რომ მას მორიგეობით ორ-ორი ბანდიტი სდარაჯობდა.

ტყვემ ხელსაყრელი მომენტი შეტრია, ერთ-ერთ მოდარაჯეს დიდი სამელნეთი გაუხეთქა თავი, რევოლვერი წაართვა, ერთი ზუსტი გასროლით მეორე ბანდიტიც იქვე მიაწვინა და წინისაყენ გაიქცა.



გულმავიწყი ექიმი

ლოს-ანჯელოსელი (აშშ) ექიმი რებ სკოტი პაციენტს კბილს უღებდა. გულმავიწყ ექიმს სადღაც დაეკარგა შესაფერი ინსტრუმენტი, პაციენტი დიდხანს აწვალა და საშინელი ტივილი მიაყენა.

ყბაში კბილმასხვრეულმა ტომ უოტერსმა სიმწრისაგან დაიღმუვლა, სავარძლიდან წამოიჭრა, რევოლვერი იძრო და დანტისტს ტყვია დაახალა. ექიმი მძიმედ დაიჭრა და ქირურგმა ძლივს იხსნა იგი სიკვდილისაგან.

სასამართლომ გამართლა ტომ უოტერსი. სხვათა შორის, პროცესის მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ ერთხელ თურმე თვითონ მოსამართლეს ყოფილა ამ ექიმთან მიღებაზე.

გარეკანის პირველ გვერდზე: მარჯვნიდან — ა. მეტრეველი და თ. კაკულია. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

სამ პპ ცპ-ის გამომცემლობა

ტექნიკური რედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კპვ.


გადეცა ახაწყობად 9/VIII-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VIII-72 წ. ქაღ. ზომა 70x108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 2716. უფ. 01999.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.




კახური კოქტეილი.



— საბინაო სამმართველოში მიიხრეს, ეშმაკებს წაუღია შენი განცხადებაო, და მართლა თქვენთან ხომ არ არის?!



— ჩემი ქმარი რესტორანში ჭამას არის შეჩვეული!



— ბიჭო, სად იშოვე სპილოს ძვალი?
— უნაბზ ძროხის ძვალი ეგონა და ერთ კილო ხორცში გამომაყოლა!



— რა დაუკრათ გეთაყვა?
— საკილაო!



ბიკვინთა.



ბიკვინთის ბაღში

ფოტო ი. დვალისა.



ზღვაზე.